ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№004
(12 074)

8 იანვარი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

# საშობაო ზღაპარი

## შანსი აღარაა, მომავლის გუნდი უნდა ვაშენოთ!

კობა ხატისაშვილი

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ჩვენი ნაკრებისთვის კოშმარულად დაიწყო. ლატვიაში 20:38 წაგების შემდეგ, ქართველი გულშემატკივრის უმეტესობამ ალბათ ხელი ჩაიქნია ქვეჯგუფიდან გასვლაზე. თუმცა, ნაკრების მწვრთნელი მერაბ მეტრეველი ასე არ ფიქრობდა და ლატვიიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა: ლატვია ძლიერი გუნდი კია, მაგრამ არა დაუმარცხებელი და ამხელა სხვაობით წაგებას რომ არ ვიმსახურებდით, თბილისში დავამტკიცებთო. გუშინ ეს კი დაამტკიცეს მეტრეველმა და მისმა შეგირდებმა (29:32), მაგრამ მეტისთვის საქართველოს ნაკრებს ძალა არ ეყო და გუშინ, საკუთარ მოედანზე დათმო ისეთი მატჩი, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა, მოეგო. საქართველოს ნაკრებს აშკარად აკლდა შეთამაშება, გამოცდილება, ნერვები, გულშემატკივარი, კლასი და რაც ყველაზე მთავარია, მოედანზე არ გვყავდა გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც კრიტიკულ მომენტებში თანაგუნდელებს ყოჩივით გაუძღვებოდა წინ...

ვრცლად მატჩზე 11



გუშინ სპორტის სასახლეში. საქართველო-ლატვია 29:32. უტევს ვლადიმერ რუსია

ნუგზარ სუარიძის ფოტო



### დინამო ახლებს ანთალიაში ელოდება

საკლუბო ამბები 2



### შედეგები მოსაწონი არ გვაქვს, მაგრამ საქმე წინ მიდის

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან 3



### ხიზანიშვილი თასზე დაშავდა

ლეგიონი 5




# რეალმა ახალი წელი მარცხით დაიწყო

სევილიაც აგებს, მაგრამ ლიდერობას ინარჩუნებს. ბარსელონა: ნაწვალევი ფრე ხეტაფესთან 6

### რონალდო შევჩენკოში იცვლება?

უცხოური ფეხბურთი 7-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# ახლები ანთალიაში ჩავლენ



თბილისის "დინამო" ბაკურიანის შეკრებიდან დაბრუნდა და ახლა მომავალი, ანთალიური შეკრებისთვის მზადებაშია.

*"დუშან უგრინი და საერთოდ "დინამოს" ხელმღვანელობა კმაყოფილია ბაკურიანის შეკრებით და ამ ეტაპს ნაყოფიერად მიიჩნევს. 8-9 იანვარს თბილისში ორჯერადი ვარჯიშებია დაგეგმილი. 10-ში კი "დინამო" მორიგ მოსამზადებელ შეკრებაზე ანთალიაში გაემგზავრება და იქ გაგრძელდება სამზადისი"*, - გვითხრა კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ**.

გაცნობებთ იმასაც, რომ 10-20 იანვრის თურქულ შეკრებაზე თბილისის "დინამო" სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 12-ში უგრინის ბიჭები რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე გროზნოს "ტერეკს" დაუპირისპირდებიან. 15 და 19 იანვარს კი უკრაინის უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებთან - ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" (რომელშიც **დავით კვირკველია** და **ირაკლი მოდებაძე** თამაშობენ) და "ხარკოვთან" მოსინჯავენ ძალებს. ამ შეკრებაზე გადაწყდება **ნედ ზელიჩის** საკითხიც. გიგა გვენცაძის თქმით, ზელიჩის გარდა ანთალიაში გუნდს კიდევ რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი შეუერთდება, რომელთა კლუბში დარჩენა-არდარჩენის საკითხს თურქული შეკრება გადაწყვეტს. ანთალიიდან "დინამო" 20 იანვარს დაბრუნდება, რამდენიმე დღეს თბილისში დაყოფს და ისევ ანთალიაში, მორიგ შეკრებაზე გაემგზავრება.

**დავით ცაბაძე**



ილია კოკაია

ზესტაფონი

# ილია კოკაია საქართველოში ბრუნდება

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერისა და ოქროს მედლების მაძიებლის, "ზესტაფონის" თავს სასიკეთო ამბები ხდება. როგორც ცნობილია, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა და რამდენიმე სხვა ქართული საწარმო ბრიტანულმა კომპანია "სტემკორმა" შეიძინა.

ჩვენს ენაზე კი ეს იმას ნიშნავს, რომ საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონისა" და ხელისუფლებას შორის წელიწადნახევრის წინ წარმოქმნილი პრობლემები წარსულს ჩაბარდა. დაზუსტებული ინფორმაციით, კლუბის პრეზიდენტი **ილია კოკაია** საქართველოში დაბრუნებას აპირებს. წესითა და რიგით, გაზეთის გამოშვების დღეს მისი ინტერვიუც უნდა შემოგვეთავაზებინა, რადგან შობის ღამეს ელოდნენ მის ჩამოსვლას. კოკაიამ ვიზიტი რამდენიმე დღით გადადო, მაგრამ ვითარებას ესეც ვერ შეცვლის.

როგორც შევიტყვეთ, "სტემკორი" და საქართველოში დაბრუნებული კოკაია კლუბის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სერიოზულ პროექტებს ადგენენ.

რაც შეეხება კლუბის გეგმებს, იგი ამჟამად ბაკურიანში ემზადება, საიდანაც ურეკში გადაინაცვლებს, შემდეგ კი დასკვნით შეკრებას თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში გეგმავს.

კლუბი თავდამსხმელმა **გია იმედაძემ** დატოვა. რაც შეეხება შევსებას, "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** ძირითადად უცნობი მოთამაშეებით დაინტერესდა. ესაა ბათუმის "დინამოში ნათამაშები **ჩოხელი** და ხობის "კოლხეთის" ნევრი **ბუკია**.

თუმცა, ზესტაფონელთა სატრანსფერო გეგმები ამით არ ამოიწურება. შესაძლოა, კოკაიას დაბრუნებამ და კლუბის წინაშე გადაშლილი პერსპექტივა, რამდენიმე სოლიდური მოთამაშის შეძენის წინაპირობა გახდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ამერი

# კაკაშვილს აკვირდებიან

"ამერის" ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, გუნდის შემადგენლობაში **ლადო კაკაშვილი** ისინჯება და დიდია იმის შანსი, რომ ბულგარული "რილსკის" ან უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა გლდანელებთან კონტრაქტიც გააფორმოს. მან "ჩერნომორე" სულ ახლახანს დატოვა. შეგახსენებთ, ლადო პოზიციით მცველია.

კაკაშვილი "ამერს" თურქეთში შეუერთდა და მისი მომავალიც იქვე გაირკვევა. როგორც გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, საქართველოს თასის მფლობელებმა მოსამზადებელი შეკრების გასავლელად გეზი ანთალიისკენ აიღეს.

ამერელები ანთალიის მახლობლად მდებარე კურორტ ბელექში, სასტუმრო "ატლანტისში" დაბინავდნენ. **გიორგი ჩიხრაძემ** პირველი მსუბუქი ვარჯიში იმავე საღამოს ჩაატარა. როგორც წესი, ანთალიის მიდამოებში ზამთრის სეზონზეც კი სასიამოვნო ამინდი და იდეალური სავარჯიშო პირობებია და ამჯერადაც ასეა. მალე იმ მეტოქეთა სრული ჩამონათვალი დადგინდება, რომლებთანაც თურქეთში "ამერი" საკონტროლო მატჩებს გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ცხინვალი

# სანაკოევმა სიტყვა გატეხა

## ცხინვალი, ალბათ, აღარ იარსებებს...

ძალიან დიდი იმედი კი ჰქონდათ "ცხინვალის" მესვეურებს, რომ თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის მეორე თვითალიარებული პრეზიდენტი **დიმიტრი სანაკოევი** კლუბს დახმარების ხელს გაუწვდიდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. არადა, არჩევნებამდეც და მის შემდეგაც იგი გუნდის დახმარების პირობას დებდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, დანაპირების შესრულებაზე უარი თქვა.

სანაკოევი "ცხინვალის" პრეზიდენტ **ზურაბ ნასუაშვილს** პირადად შეხვდა და განუცხადა, რომ კლუბის დასახმარებელი თანხა არ გააჩნია. მან ნასუაშვილს ვერც დაფინანსების კონკრეტული ვადა დაუსახელა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ცხინვალი" დაშლისთვისაა განწირული.

*"ენთუზიაზმზე თამაშს ვერავის დავავალდებულებ. ფეხბურთელებს იმისთვისაც დიდი მადლობა ეკუთვნით, პირველი წრე უკაპიკოდ რომ ჩაამთავრეს. დიდი იმედი მქონდა, რომ სანაკოევი სიტყვას არ გატეხდა, მაგრამ როგორც ხედავთ, იმედები გაგვიცრუვდა"*, - გვითხრა ნასუაშვილმა.

შეგახსენებთ, მიმდინარე სეზონში "ცხინვალი" რეგიონალლიგაში ასპარეზობს და უმაღლესიდან მოკვეთის შემდეგ, ალბათ ვერც იქ შეძლებს ასპარეზობის გაგრძელებას. კლუბის დაფინანსებას არც შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია აპირებს. ასეთ პირობებში გუნდის დაშლა გარდაუვალია, რამდენიმე მოთამაშე, სავარაუდოდ, "დილას" შეუერთდება, რომელსაც როგორც იცით, ინვესტორი გამოუჩნდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დიმიტრი სანაკოევი

ლეგიონერი

# აბრამიძეს რუსეთში თამაში სურს

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ლიდერის, ლენქორანის "ხაზარის" ქართველი მცველი **ვალერი აბრამიძე** რუსეთში დაბრუნებაზე ფიქრობს. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ ფიქრია და არა კონკრეტული გადაწყვეტილება, მაგრამ რუსეთის ჩემპიონატის გაზრდილი დონე მას ძალიან იზიდავს.

*"ლენქორანელებთან კონტრაქტი მაისში მიმთავრდება და მერე გადაწყდება, დავრჩები თუ ახალ კლუბს მოვნახავ. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა შედეგით დაასრულებს "ხაზარი" ჩემპიონატს. პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზე ვართ და ჩემპიონობის საკმაოდ რეალური შანსიც გვაქვს. ისე, დასამალი რაა, რუსეთში მინდა თამაშის გაგრძელება. იქ კარგად მიცნობენ. რუსეთის შემდეგ, საკმაოდ დიდი გამოცდილება დავაგროვე, აზერბაიჯანში თამაშიც ძალიან გამომადგა და ვფიქრობ, დაბრუნებას მოვახერხებ. თუმცა, ჯერ კონკრეტულ წინადადებებზე საუბარი უადგილოა. ახლა კონტრაქტი მაქვს და კლუბი არსად არ გამიშვებს"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფეხბურთელმა.

აბრამიძეს მეორე ნაკრებში შესაძლო გამოძახებაზეც დავეკითხეთ.

*"მეორე ნაკრებში თამაში ძალიან კარგი და სასარგებლოა ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. მე არ ვიცი, რამდენად რალურია, თითქოს ამ ნაკრებში მიწვევენ. როდესაც კლუბში ოფიციალური ფაქსი მოვა, მაშინ დავრწმუნდები. საერთოდ, კი მიმაჩნია, რომ თუკი ჩემი პიროვნება კლაუს ტოპმიოლერისთვის ოდნავ მაინც საინტერესოა, საქმეში სანახავად აჯობებდა არა მეორე ნაკრებში, არამედ, ეროვნულის რომელიმე ამხანაგურ მატჩში მიმიწვიოს. კალაძე, ხიზანიშვილი და სხვა ცნობილი ფეხბურთელები ხშირად ტოვებენ ამხანაგურებს და ამ დროს ხომ შეიძლება მიგვიწვიონ? მეორე ნაკრებში კი ბავშვები ათამაშონ, მათში რომელიმე ტალანტი გამოჩნდება. რომც გამომიძახონ, მეეჭვება, რომ "ხაზარმა" გამომიშვას. ჩვენამდე მოვიდა ხმები, რომ თითქოს მეორე ნაკრებში გამოძახებულია გიორგი ადამიაც. ისიც ჩემს დღეში ჩავარდება, საეჭვოა კლუბმა გამოუშვას"*.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# აშვეთია თეთრაძესაც უნდა



**მიხეილ აშვეთიასა** და **გიორგი ქინქლაძეს** ყაზანის "რუბინთან" მოქმედი კონტრაქტები რომ დაუმთარდათ და სხვა კლუბში გააგრძელებენ კარიერას, ეს უკვე გაცნობეთ. თუმცა, ჯერჯერობით, ამ ფეხბურთელებს საბოლოო არჩევანი არ გაუკეთებიათ. ქინქლაძესთან მიმართებაში რუსეთის რამდენიმე გუნდსა და კვიპროსის ჩემპიონს ნიქოზიის "აოპელზეა" საუბარი. აშვეთია კი "მოსკვას" სურს და მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება. სარწმუნო წყაროს ცნობით, მიხეილ აშვეთიას გადაბირებით რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე, მახაჭყალის "ანჟიც" დაინტერესდა, რომლის მთავარ მწვრთნელად ამ ცოტა ხნის წინათ **ომარ თეთრაძე** დაინიშნა. თეთრაძემ კარგად იცის აშვეთიას შესაძლებლობები და რუსულ პრემიერლიგაში ალზევებისთვის ბრძოლაში გუნდის გაძლიერება სურს.

თავად აშვეთიას "მოსკვას" გარდა სხვა უკეთესი ვარიანტებიც აქვს და ამ ეტაპზე "ანჟიში" თამაშის პერსპექტივა ნამდვილად არ ხიბლავს. ყველაფერი წესით, იანვრის ბოლომდე უნდა გაირკვეს.

**დავით ცაბაძე**

თარიღები

# ამ დღეს დაიბადნენ...

**1973 წელი, 7 იანვარი** - დაიბადა **ჯემალ ზეინკლიშვილი** (ფეხბურთი, "დინამო" თბილისი). სპორტის ოსტატი, 1964 წ. სსრკ ჩემპიონი, 1959, 1962 წ. ქვეყნის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი, 1960 წ. საბჭოთა კავშირის თასის ფინალისტი. უმაღლეს ლიგაში ითამაშა 171 მატჩი და გაიტანა 6 გოლი. ერთხელ იყო 33 საუკეთესოთა შორის.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადებიდან საიუბილეო 70 წლისთავს ულოცავენ ცნობილ ვეტერან ქართველ ფეხბურთელს ჯემალ ზეინკლიშვილს.**

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან

# ამ ჯგუფში 15-20 ქულა კარგი შედეგი იქნება

**როგორი იყო გასული წელი ქართული ფეხბურთისთვის? შეფასებები გასული წლის მიწურულს დავიწყეთ და ამ წლის დასაწყისშიც ვაგრძელებთ. ამჯერად ეროვნული და სხვა ასაკის ნაკრებ გუნდებზე ვისაუბრებთ. შეფასება ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს მივანდეთ. სწორედ მას ავალია ნაკრები გუნდების კურატორობა.**

- გასული წლის საფეხბურთო მოვლენათა შეფასებისას ყველაზე ღირსშესანიშნავი ის იყო, რომ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერი დაინიშნა. მეორე უდიდესი პროექტი, რომელიც ყველას ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა, ეროვნული სტადიონის განახლება და თანამედროვე სტანდარტებამდე აყვანა გახლდათ. ამ ორი პროექტის განხორციელებაში ყველას დიდი წვლილი მიუძღვის, როგორც სპორტულ და საფეხბურთო მოღვაწეებს, ასევე ხელისუფლებას...

კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით ნაკრების ძლიერ გუნდად ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო და თუკი ეს საქმე ასეთი ტემპით გაგრძელდება, მჯერა, ცოტა ხანში ეროვნული გუნდის არა მარტო თამაშის ხარისხი იქნება მაღალი დონის, არამედ შედეგებითაც სერიოზულ პრეტენზიას წამოვაყენებთ. ყველაფერს დრო სჭირდება და სამწუხაროდ, მიმდინარე შესარჩევ ციკლში, ნაკრების შედეგებით ჯერჯერობით თავს ვერ მოვიწონებთ.

**- მოდით შევაფასოთ თუ როგორი იყო გასული 2006 წელი ეროვნული ნაკრებისთვის...**

- ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს, რომელმაც გასული წლის დასაწყისში ჩაიბარა გუნდი, გარკვეული კონკრეტული ამოცანები დავუსახეთ. ეს ამოცანები კი შემდეგია: პირველ რიგში ჩვენმა ნაკრებმა ის სახე და სტატუსი უნდა მიიღოს, რომ ჩვენთან თამაშს ნებისმიერი სხვა მეტოქე არა იოლ გასეირნებად, არამედ რთულ მატჩად მიიჩნევდეს. თუკი ჩვენი ნაკრები ამ ჯგუფში 15-დან 20 ქულამდე დააგროვებს, პირადად მე ჩავთვლი, რომ ეს პროგრესი და კარგი შედეგია. მომავალ შესარჩევ ციკლში კი ამას უფრო მეტი შედეგიანობისა და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა მოჰყვება. ანუ მომავალ საკვალიფიკაციო ციკლში, მინიმუმ მეორე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ. აი, ესაა ჩვენი მიზანი და სწორედ ამისკენ მივისწრაფით.

**- ახლა 21-წლამდელთა ნაკრების ასპარეზობა შევაფასოთ...**

- ახალგაზრდული ნაკრების შედეგებით თავს ნამდვილად ვერ მოვიწონებთ. თუმცა, ამ გუნდმა თავისი ფუნქცია მაინც შეასრულა. საქმე ის გახლავთ, რომ 21-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში მოხვდა და ადგილიც დაიმკვიდრა. შესაბამისად, ახალგაზრდულიდან ეროვნულში ფეხბურთელების მიწოდების სისტემა ახლა უფრო უკეთ მუშაობს, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა. ამის დასტურად რამდენიმე ფეხბურთელის დასახელება შემიძლია. მარცვალაძე, ღვინიანიძე, კანკავა, რევიშვილი ეროვნული ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები არიან.

**- გასული წელი უფრო წარმატებული 19-წლამდელთა ნაკრებისთვის იყო...**

- დიახ, ასეა. 19-წლამდელებმა ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს და ელიტრაუნდში გავიდნენ. იმედი მაქვს, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი გაზაფხულზე, შოტლანდიაში გასამართ ელიტრაუნდშიც წარმატებით ითამაშებს და ფინალურ ეტაპზე გამსვლელი საგზურისთვის ბოლომდე იბრძოლებს...

ერთი რამ კიდევ მინდა აღვნიშნო - ამ ასაკში იმდენად ბევრი კარგი ფეხბურთელია და დიდია არჩევანი, რომ ძალიან რთულია შერჩევა. 19-წლამდელთა ნაკრებში მოხვედრის კრიტერიუმი სხვაა, ვიდრე ეროვნულში. ეროვნულ გუნდში აღიარებული, გამორჩეული ფეხბურთელები ხვდებიან, რომლებიც სტაბილურად გამოდიან თავიანთ კლუბებში და კარგ ფორმაში იმყოფებიან. სამწუხაროდ, იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ 50-60 ფეხბურთელში მოგვიწიოს არჩევანის გაკეთება. ეროვნულისთვის დაახლოებით 35 ფეხბურთელისგან შემდგარი ბირთვი გვყავს, რომელიც ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბმა შეარჩია. სწორედ ამ ბირთვიდან ხდება ეროვნულისთვის ფეხბურთელთა შერჩევა. 19-წლამდელთა ასაკში კი უკვე სხვა ვითარებაა. აქ ჩვენ არ გვყავს ლეგიონერები და ცოტა რთულია ძირითადი ბირთვის არჩევა.

**- ახლა 17-წლამდელებზეც ვთქვათ...**

- შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ჰერბერტ ცანკერის გუნდმა ძალიან ბევრი თამაში მოიგო. თუმცა, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ამ გუნდმა სათანადოდ ვერ წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. მიუხედავად ამისა, 17-წლამდელთა რამდენიმე მოთამაშემ უკვე 19-წლამდელების ნაკრებშიც იასპარეზა და კონვეიერული სისტემა აქაც მუშაობს.

ერთ სიახლესაც გეტყვით, ჩვენ გვაქვს პროექტი, რომლის თანახმადაც დაბალ ასაკებშიც, 14, 15 და 16-წლამდელთა შორისაც უნდა ჩამოვაყალიბოთ რეგიონალური ნაკრებები. ძნელია 1500 ბავშვიდან, რომელიც ამ ასაკში ფეხბურთს თამაშობს 20-25, თუნდაც 50 მოთამაშე აარჩიო. ის შეკრებაც არაა ქმედითუნარიანი, რომელშიც 50-60 ფეხბურთელი იქნება წარმოდგენილი. ეს შრომატევადი საქმეა, მაგრამ ერთობლივი ძალებით განვახორციელებთ.

ასე რომ, ყველა ნაკრებ გუნდთან მიმართებაში განსაკუთრებული შედეგებით თავს ჯერ ვერ მოვიწონებთ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ საქმე წინ მიდის. ეს კი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ეროვნულის სამწვრთნელო შტაბს მომავალში უფრო მაღალი მიზნები დავუსახოთ, მეტი მოვთხოვოთ. ჩვენ, ფედერაციასა და საერთოდ ქართულ საფეხბურთო სამყაროს, ძალიან დიდი პატივი გვცა ხელისუფლებამ, როცა ეროვნულ და სხვა ასაკის ნაკრებებთან მიმართებაში მაღალკვალიფიციური მწვრთნელების დანიშვნის პროექტი დაგვიფინანსა. ასევე აღსანიშნავია "დინამო ინვესტის" წვლილი, რომელმაც განახლებული ეროვნული სტადიონის სახით, მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა მთელ საქართველოს. ასევე, საჭირო და აუცილებელია ბიზნესი უფრო მეტად ჩაერთოს ქართულ ფეხბურთში. კარგი იქნება თუკი ყველა რეგიონში 3, 5, 10-ათასიანი კოხტა სტადიონი რომ გვქონდეს.

ასევე 2006 წელს განხორციელებული პროექტებიდან, გამოსარჩევია ეროვნული ნაკრების ფან-კლუბის ჩამოყალიბება, ფილმი და კლიპები ეროვნულ ნაკრებზე. ეროვნული ყველასათვის საყვარელი გუნდი უნდა იყოს და ამით ყველა უნდა ამაყობდეს. განხორციელებული პროექტებიდან ასევე გამორჩეულია ის, რომ ეროვნულ სტადიონზე ვიდეოაპარატურა დავამონტაჟეთ, რომელიც დეტალური ვიდეოანალიზის საშუალებას გვაძლევს.

გეტყვით ჩაშვებულ პროექტებზეც - საგურამოში საწვრთნელი ბაზის მშენებლობა დაიწყო, რომელშიც ფედერაციაც მონაწილეობს. ასევე ჩინებული პროექტია ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე მუშაობა...

**- ე. წ. მეორე ნაკრებზე, მომავლის გუნდზე რას გვეტყოდით, რომლის დებიუტი 6 თებერვალს თურქეთის 21-წლამდელთა ნაკრებთან მატჩში შედგება...**

- მართალი გითხრათ, არ ვთვლი, რომ ამ გუნდმა ეროვნული ნაკრების ყველა მატჩის წინა დღეს უნდა გამართოს თამაშები. თუმცა, სასარგებლო იქნება, თუკი "მომავლის გუნდი" წელიწადში 2-3 მატჩს ჩაატარებს. ამ გუნდში ის ფეხბურთელები იქნებიან, რომლებსაც 21-წლამდელებში აღარ უწევთ თამაში და ეროვნულში ჯერ ვერ ხვდებიან. შესაძლოა 19-20 წლის ფეხბურთელიც მოხვდეს ამ გუნდში. ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს რაიმე ასაკით დოგმირებული ნაკრები...

სხვადასხვა ქვეყნებიდან არის ხოლმე წინადადებები ამხანაგური მატჩის გამართვაზე და ისე ხდება ხოლმე, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო, ეროვნულ ნაკრებს არ აწყობს ის თარიღი. ამ დროს სწორედ "მომავლის გუნდი" ითამაშებს.

**- ამ გუნდს კლაუს ტოპმიოლერი უხელმძღვანელებს?**

- ეს გუნდი აუცილებლად კლაუს ტოპმიოლერის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. თუკი ის ეროვნული გუნდით იქნება დაკავებული, მაშინ, მისი სამწვრთნელო შტაბიდან რომელიმე წარმომადგენელი გაუძღვება ამ გუნდს.

**- ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩების გამართვის საქმე რა სტადიაშია?**

- ერთს პირდაპირ გეტყვით. თუკი ამოსარჩევად გვექნება საქმე, მაშინ ყველანაირად სჯობს უმთავრესად ბრაზილიის ნაკრებზე გავაკეთოთ არჩევანი. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინის ქომაგი ვარ და დიეგო მარადონასაც დიდად ვაფასებ, ბრაზილიის ნაკრების ჩამოყვანას უფრო დიდი ეფექტი ექნება. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბრაზილიის ნაკრებში სუპერვარსკვლავები არიან და მათ სანახავად სტადიონზე ხალხი ისე მოვა, როგორც შოუს სანახავად.

**- ეს პროექტი კომერციულადაც მომგებიანია...**

- ბრაზილიის ნაკრების ჩამოყვანა უფრო ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ კომერციული თვალსაზრისით, ეს პროექტი უფრო რეალურია. თუკი შეიძლება, რომ მსოფლიოში საუკეთესო მუსიკალური ჯგუფი ჩამოვიდეს თბილისში და ბილეთი ჩვეულებრივზე გაცილებით დიდი ფასი ღირდეს, რატომ არ შეიძლება მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებთან მატჩზე ბილეთის ფასი შესარჩევი ციკლის თამაშისგან ოდნავ განსხვავებული იყოს და ნახო საქართველოს ნაკრების თამაში რონალდინიოს, რობინიოს, კაკასა და სხვა სუპერვარსკვლავების წინააღმდეგ.

ჯერჯერობით, ფასზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ის დეტალური დაანგარიშების შედეგად განისაზღვრება. ისიც კარგად გვესმის, რომ ხალხს უჭირს და ამასაც გავითვალისწინებთ. განვითარების გზაზე მდგარ და ერთბაშად რამდენიმე ფრონტზე მებრძოლი ჩვენი ქვეყნისთვის ამ პროექტის რეალიზება მართლაც უდიდესი საქმე იქნება. ყველამ კარგად გაგვიგოს, ბრაზილიასთან თამაში დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და გარანტია უნდა გვქონდეს, რომ ამ ხარჯების 75-80 პროცენტს მაინც ამოვიღებთ. პროექტებზე ვმუშაობთ და იმედი მაქვს, მალე შედეგებიც იქნება.

**დავით ცაბაძე**



რევაზ არველაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა თანაგრძნობას უცხადებენ მამა-შვილს ნუგზარ და თამაზ ბოკერიებს მამისა და ბაბუის

თამაზ ბოკერიას

გარდაცვალების გამო.




სავარაუდო ტრანსფერი

# ლენქორანის ხაზარი კახელიშვილით დაინტერესდა

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ლიდერ ლენქორანის "ხაზარის" რუსთავის "ოლიმპისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის, **გიორგი კახელიშვილის** გადაბირება სურს. ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია ეს ტრანსფერი, რადგან თავად ფეხბურთელს ასეთი პერსპექტივა არ ხიბლავს, მაგრამ ფაქტია, რომ აზერბაიჯანული კლუბის მწვრთნელი მისით სერიოზულად დაინტერესდა. ინფორმაცია გარკვეულწილად "ხაზარში" მოთამაშე ქართველმა მცველმა, **ვალერი აბრამიძემაც** დაგვიდასტურა: *"დიახ, მე მითხრეს, რომ აინტერესებთ ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელი, რომელიც "ლოკომოტივიდან" "რუსთავშია" განათხოვრებული და ახლა თანამეგობრობის თასზე უნდა ითამაშოს. თუმცა ძნელი სათქმელია, ეს ტრანსფერი რამდენად მოხერხდება".*

თავად ფეხბურთელის პოზიცია კი მკაფიო და გასაგებია. ის აზერბაიჯანის ჩემპიონატში გადასვლას კარიერისთვის ნერტილის დასმად მიიჩნევს და მსგავს წინადადებებს არც განიხილავს.

ჩვენი ინფორმაციით, კახელიშვილისადმი ინტერესს არა მარტო ლენქორანის "ხაზარი", არამედ საქართველოს პირველობის რამდენიმე ლიდერიც იჩენდა, თუმცა რუსთავის "ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონობის მოპოვებას გეგმავს და წარმოუდგენელია, ასეთ ვითარებაში გუნდი თავის ერთ-ერთ წამყვან ფიგურას შეელიოს.

როგორც ცნობილია, რუსთავის "ოლიმპიდან" უკვე ორი წამყვანი მოთამაშე ისედაც წავიდა. **როინ ონიანი** ზესტაფონში გადაბარგდა, ნახევარმცველი **რევაზ გეწაძე** კი უახლოეს დღეებში ლატვიაში გაემგზავრება, სადაც მას რიგის "სკონტო" ელის.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# გიგიაძე უკრაინაში მეოთხეა



უკრაინაში ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა "კომანდამ" წლის საუკეთესო ფეხურთელი გამოავლინა. იგი ქვეყნის ეროვნული ნაკრებისა და "დნეპრის" ნახევარმცველი **სერგეი ნაზარენკო** გახდა. მეორეზეა "შახტარის" ბრაზილიელი ლეგიონერი **ფრანსისკო მატუზალემი**, მესამე მისი თანაგუნდელი **ანდრეი ტიმოშჩუკი**, მეოთხეზე კი კრივოი როგის "კრივბასის" ქართველი კაპიტანი **ვასილ გიგაძეა**. გამოკითხვაში უმაღლესი ლიგის ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. 21-ე ადგილზეა კიევის "არსენალის" ყოფილი და ან უკვე "დნეპრის" ნახევარმცველი **ჯაბა კანკავა**.

38-დან 43-ე ადგილზე გასულებმა ერთნაირი ქულათა რაოდენობა დააგროვეს. მათ შორისაა ზაპოროჟიეს "მეტალურგის" ნახევარმცველი **დათო კვირკველია**.

უკრაინული სიახლეებიდან საინტერესოა შემდეგი ამბავიც: დადასტურდა ინფორმაცია, რომ კიევის "დინამო" ქართველ ნახვარმცველ **კახა ალადაშვილს** იბრუნებს. "კომანდას" ცნობით, იგი ტრანსფერზე არაა დაყენებული, არამედ, გუნდმა დაიბრუნა. თუმცა, თავად კახას აღარ სურს "დინამოში" თამაში.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ თორნიკე აფციაურთან

# მე ვარ ხულიგანი?!

## აფციაური რუმინულმა კლუბმა გააცურა

**ზოგისთვის ის ქართული ფეხბურთის დაუფასებელი მარგალიტია, ზოგისთვის - ხულიგანი. ორივეზე შეიძლება კამათი. ჩვენ კი ვთქვათ ის, რაც სადავო არაა: თორნიკე აფციაური საქართველოს ჩემპიონატის პირველ საფეხურზე აღზევებული რუსთავის "ოლიმპის" ერთ-ერთი ლიდერია და უმისოდ ამ გუნდის თამაში ძნელი წარმოსადგენია. საბედნიეროდ, ქართულ ფეხბურთში კიდევ შემორჩნენ "თავისუფალი მხატვრები", რომელთა წყალობით ჯერ კიდევ შესაძლებელია სქემებადქცეული ფეხბურთიდან სიამოვნების მიღება. მაშ ასე, ჩვენი რესპოდენტია თორნიკე აფციაური.**



**- თორნიკე, წარმატებული სეზონია, "ოლიმპი" ლიდერია, პირადადაც ბევრჯერ დასახელდი ტურის სიმბოლურ ნაკრებში. "თბილისის" პერიოდშიც კი ასეთ პატივში არ ყოფილხარ.**

- ვგრძნობ, რომ მაშინდელზე გაცილებით უკეთესად ვთამაშობ. ძალიან მაგარი სეზონია გუნდისთვისაც და პირადად ჩემთვისაც. შეიძლება, ბევრისთვის იყო მოულოდნელი "ოლიმპის" წარმატება, მაგრამ ჩემთვის, არა. ისეთი ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, სამეულში მოხვედრის იმედი თავიდანვე გამიჩნდა.

**- წინ მეორე წრეა და ჯერ ოქროს მოპოვებაზე საუბარი ნაადრევია. რას ფიქრობ, ჩემპიონობის ბედი გუნდების რეალური ძალით გადაწყდება თუ "ქარვასლა" მოეწყობა?**

- ალბათ, სპორტული მხარე მაინც მთავარია. მთავარია, ბირთვი შევინარჩუნოთ. ისე, თქვენ, ჟურნალისტებმა უფრო უნდა იცოდეთ, ვინ რას მაიმუნობს და არაფერი დაიმალება. თუკი ვინმე დაუშვებელს შეეცდება, არა მგონია, ეს გამოგეპაროთ.

**- ძოძუაშვილმა "ოლიმპში" თავიდანვე "კიევური დატვირთვები" დანერგა. დასვენების შემდე მძიმე ვარჯიშებთან შეგუება ძნელი უნდა იყოს.**

- ჯერ მთელი აქცენტი მართლა "ფიზიკაზეა", ცდილობს ჩვენი ორგანიზმი, გული უფრო დიდი დატვირთვებისთვის მოამზადოს. ბავშვები არ ვართ და ნაღდად არ გაგვჭირვებია.

**- ვერ ვიხსენებთ ძოძუაშვილის გუნდს, სადაც "თავისუფალ მხატვრებს" ეთამაშოთ. ალბათ, გადაწყობა მოგიწევს.**

- ზედმეტები თავადაც არ მიყვარს, თორემ ბურთის გაგორებას ვერავინ აკრძალავს. არც ძოძუაშვილია ზომიერად ამის კეთების წინააღმდეგი. ბოლოს და ბოლოს, თამაშის ბედი ყოველთვის ინდივიდუალიზმით წყდება.

**- ფეხბურთელობას არავინ გიწუნებს, თუმცა, ხულიგნის სახელი ჩამოგიყალიბდა, შენი სახელი ხშირად სკანდალებითანაა ასოცირებული.**

- ეს მართლა ძალიან მიკვირს. კი, ფიცხი ხასიათი მაქვს, მაგრამ ხულიგანი და ქვეყნის ამომგდები არასდროს ვყოფილვარ. ალბათ, ასე ის ამბობს, ვინც არ მიცნობს. ადრე კი გამოვირჩეოდი მოედანზეც ფიცხი ხასიათით, მაგრამ წელს მაგრად მინდოდა, რომ ეს სახელი რამენაირად შემეცვალა. მგონი, გამომდის კიდეც.

**- სადაც ჩხუბია, მაინც შენი სახელი ჩნდება...**

- პირველ წრეში მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი მივიღე და აქედანაც ჩანს, როგორი "ხულიგანი" ვარ.

**- ჟირესის დროს ნაკრებში ორჯერ ითამაშე. ტოპმიოლერის დროს ჩრდილში მოექეცი.**

- არანაირ ყურადღებას არ მაქცევს არა მარტო მე, მგონი, "ოლიმპის" სხვა მოთამაშეებსაც ნორმალურად არ იცნობს. ერთხელ დაესწრო ჩვენს თამაშს და ისიც საჩხერეში, თასის მატჩზე. ის ფეხბურთი არც იყო, ტალახში ვითამაშეთ. იმ დღეს არ მითამაშია, მაგრამ მოედანზე რომ ვყოფილიყავი, აზრი მაინც არ ჰქონდა. ატალახებულ მოედანზე ვერავინ გამოჩნდებოდა.

**- თითქმის გადაწყვეტილია, რომ აფციაური "ოლიმპს" დატოვებსო.**

- მე კი, კონკრეტული არაფერი მსმენია და ალბათ, დავრჩები. ერთადერთხელ, შარშან მეგონა შანსი გამომიჩნდა. იანვარში რუმინეთის უმაღლესი ლიგის გუნდში გასასინჯად მიმიწვიეს, მაგრამ ჯობდა არ წავსულიყავი. ანთალიაში შეკრებაზე ჩავედი და მწვრთნელი ყურადღებას არ მაქცევდა, ერთხელაც არ მათამაშა, თითქოს ჩემით ჩავედი და არა მიწვევით. ოთხი დღე ვუყურებდი, ბოლოს ბარგი ჩავალაგე და წამოვედი.

ასეთ წასვლას ისევ საქართველოში თამაში მირჩევნია. ეს ჩემპიონატი წინას ნაღდად ჯობია. ადრე თუ ორი გუნდი იბრძოდა ჩემპიონობისთვის, წლეულს ერთბაშად ოთხი-ხუთი კანდიდატია. ასეთი კონკურენცია ძალიან მომწონს და თამაშიც საინტერესოა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ფრაიბურგი პორტუგალიაში...

ფრაიბურგელებმა ტრადიციას არ უღალატეს და მეორე ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მოსამზადებლად ამჯერადაც პორტუგალიას მიაშურეს. კერძოდ, **ფოლკერ ფინკე** და მისი შეგირდები 14 იანვრამდე კურორტ ალბუფეირაზე დაჰყოფენ. "ფრაიბურგი" პირენეებზე 26 ფეხბურთელით გაემგზავრა, ბუნებრივია, მათ შორის **ალექსანდრე იაშვილი** და **ოთარ ხიზანეიშვილიც** არიან. ასევე პორტუგალიაში ივარჯიშებენ ფრანკფურტის "აინტრახტი" და მიონხენგლადბახის "ბორუსიაც". "ფრაიბურგი" ორივეს გაეჯიბრება, შესაბამისად 9 და 12 იანვარს. ალბუფეირაში ფინკე აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთებს, გერმანიაში დაბრუნების შემდეგ კი ტესტ-მატჩებს უფრო ინტენსიურად ჩაატარებს. უკვე ცნობილია, რომ 22 იანვარს "ფრაიბურგი" როსტოკის "ჰანზას" შეხვდება.

## ...დინამო კი არაბეთში

კიევის "დინამო" 5 იანვარს შეიკრიბა და პირველ შეკრებას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ჩაატარებს. გადაწყვეტილია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე განცდილი კრახის მიუხედავად, უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანს **ანატოლი დემიანენკო** სეზონის მეორე ნახევარშიც დამოძღვრავს. **ოთარ მარცვალაძე** და **დავით იმედაშვილი** ჯანმრთელად არიან და რაც მთავარია, კლუბიდან სავარაუდო წამსვლელთა სიაში არ ფიგურირებენ.

## თარხნიშვილი მესამეა

"შერიფის" გულშემატკივრებს შორის კლუბის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი მასშტაბური გამოკითხვა ჩატარდა, სადაც ტირასპოლელთა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** მესამე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, იგი "შერიფის" ღირსებას უკვე 9 წელია იცავს და გუნდის კაპიტნად თავიდანვე აირჩიეს. აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ იგი კლუბში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას დაიკავებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# გადაფრენა კუნძულზე

სულ რამდენიმე დღე და საქართველოს ფუტზალელთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ ეტაპში ჩაებმება. შეგახსენებთ, შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ყაზახეთის, კვიპროსისა და მალტის ნაკრებები იქნებიან.

მალტაზე გასამართი უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის მოსამზადებელი ეტაპი კარგა ხნის წინათ დაიწყო, საქართველო-საფრანგეთის ორი ამხანაგური მატჩიც სწორედ მალტაში გასამართი საკვალიფიკაციო შეხვედრების უკეთ დასახვედრად ჩატარდა.

ჩვენმა გუნდმა უკვე დაასრულა ორი შეკრება, მესამეს კი 8 იანვარს დაიწყებს. ფეხბურთელები და მწვრთნელები კვლავინდებურად, ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" იცხოვრებენ, ვარჯიშებს კი სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" გამართავენ.

დღესდღეობით, 17 მოთამაშეა შერჩეული, საიდანაც 14 საუკეთესოს დატოვებენ და შესაბამისად, მალტაზეც მათ იახლებენ. გუნდს საბოლოოდ გამოაკლდა ყოფილი ლიდერი **ბესარიონ ზოიძე**, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

მეორე საკვალიფიკაციო რაუნდი თებერვალში გაიმართება. უკვე გარკვეულია, რომ მალტური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, შესარჩევი შეხვედრების თბილისში ჩატარების შანსი არ არსებობს.

როგორც გახსოვთ, ნაკრების მწვრთნელობაზე **ანდრო მიზანდარმა** უარი თქვა. ამიერიდან გუნდს ერთი მთავარი მწვრთნელი ეყოლება – **დავით სოლოლაშვილი**, რომლის ასისტენტადაც ასევე ახალგაზრდა **ლევან გრიგოლია** იმუშავებს.

ჩვენი გუნდი კუნძულისკენ გეზს 17 იანვარს აიღებს, შეხვედრების კალენდარი კი ასეთია: 18 იანვარს ყაზახეთს ვეთამაშებით, 19-ში კვიპროსს, ხოლო 21-ში – მალტას. მთავარ შესარჩევ რაუნდში ქვეჯგუფის გამარჯვებული და 2 საუკეთესო მეორეადგილოსანი გადის (წინასწარ ეტაპზე სულ სამი ოთხგუნდიანი ჯგუფია).

*"საუკეთესო მოსამზადებელი პირობები გვაქვს. რამდენიმე გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ოპტიმალურ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი და ტურნირს იმედიანი განწყობით ველით. ხელწამოსაკრავი მეტოქეები ნამდვილად არ გვყავს, მაგრამ ვითარებას რეალურად თუ შევხედავთ, პირველი ბარიერი აუცილებლად უნდა გადავლახოთ, ჩვენს გუნდს ამის რეალური პოტენციალი გააჩნია"*, - გვითხრა დავით სოლოლაშვილმა.

ნაკრების ერთადერთი წევრი, რომელიც თბილისურ შეკრებაში არ მონაწილეობს, **ალიკ სარქისიანია**. საქმე ისაა, რომ იგი კვიპროსულ კლუბში ასპარეზობს და ჩვენს დელეგაციას მალტაზე შეუერთდება.

აი, ის 17 ფეხბურთელიც, საიდანაც მალტაზე წამსვლელი თოთხმეტეული აირჩევა.

მეკარეები: **ლევან ზაქაიძე, ჯაბა ჯამბურია, ლევან გაბუჩია.**

მოედნის მოთამაშეები: **რევაზ დევდარიანი, ალექსანდრე ძაბირაძე, გიორგი ალთუნაშვილი, გიორგი თოთლაძე, ალიკ სარქისიანი, გიორგი სურმავა, არჩილ ბოკერია, ავთანდილ ასათიანი, ვახტანგ წერეთელი, ლაშა ცნობილაძე, შოთა კუბლაშვილი, ნიკოლოზ ჩალაძე, ნიკოლოზ ოსეფაშვილი, გიორგი შელეგია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხიზანიშვილი ვიგანთან მატჩის დროს

ლეგიონერები

## ხიზანიშვილმა ტრავმა მიიღო

ინგლისის ასოციაციის თასზე **ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნმა" სტუმრად 4:1 გაანადგურა "ევერტონი" და შემდეგ ეტაპზე გავიდა. პირველი ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე, ხიზანიშვილმა ტრავმა მიიღო და ის შვეიცარიელმა **შტეფან ანშომ** შეცვალა. ზურა "ევერტონის" ნიგერიელმა ფორვარდმა, **ვიქტორ ანიჩებემ** დაამტვრია. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია ქართველი მცველის ტრავმა.

## მიკუჩაძეს კვლავ გააქვს

ისრაელის რანგით მეორე ლეუმით ლიგაში შესანიშნავად ასპარეზობს ბეერ შევას "ჰაპოელი" და მასთან ერთად ქართველი ლეგიონერი, ყოფილი "სიონელი" **კოკა მიკუჩაძეც**. ბეერ შევას გუნდი უმაღლესში გადასვლის რეალური კანდიდატია, გათამაშების ცხრილში 14 თამაშიდან 27 ქულით მეორეა. მიკუჩაძის გუნდი ლიდერ ბნეი შახინის "ჰაპოელს" ხუთი ქულით ჩამორჩება, თუმცა თამაშით ნაკლები აქვს გამართული და თან უმაღლესში ორი გუნდი გადადის. ბოლო ტურში მიკუჩაძის კლუბი ბნეი ლოდის "ჰაპოელს" გაუსწორდა - 6:0. მეორე გოლი მიკუჩაძემ 22-ე წუთზე გაიტანა. კოკამ ზედიზედ მეორე ტურში გაიტანა, მან 30 დეკემბერს, "აშკელონთან" 2:2 დასრულებულ მატჩშიც გაიტანა და კლუბი სეზონში მეორე მარცხისგან იხსნა. ქართველს ლიგაში უკვე 4 გოლი აქვს გატანილი. ამავე ტურში **გიორგი შენგელიას** "ირონი" სწორედ ლიდერ "ბნეი შახინთან" დამარცხდა სტუმრად - 0:3. "ირონი" 19 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

## ქართველებს დასვენება გაუგრძელდათ

მორიგი ტური გაიმართა კვიპროსის ჩემპიონატში. **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისმა" წუხელ შინ 2:0 დაამარცხა "არისი", ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. თავად ქართველ მწვრთნელს არ უთამაშია. **კლიმენტი ნიტაიშვილის** აელ-ი სტუმრად 0:2 დამარცხდა "ომონიასთან", კლიმენტის არ უთამაშია. ჩვენთვის საინტერესო კიდევ ერთი მატჩი "ეთნიკოსსა" და "აია ნაპას" შორის 2:2 დასრულდა, თუმცა ქართველებს ამ მატჩში არ უთამაშიათ - არც **ლევან ქებაძე** გამოჩენილა მასპინძელთა რიგებში და არც **კოტე დარსანია** - სტუმრებში.

## ლევან მაღრაძე ოლიმპიაკოსს დაუზავდა

მცირე შესვენების შემდეგ განახლდა საბერძნეთის სუპერლიგის გათამაშება. მე-16 ტურში **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსმა" შინ 2:1 დაამარცხა სალონიკის "ირაკლისი", ქართველ ნახევარმცველს მატჩში არ უთამაშია. **ლევან მაღრაძის** "ქსანთიმ" ლიდერ "ოლიმპიაკოსს" უმასპინძლა, მატჩი 0:0 დასრულდა. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და მარჯვენა ფრთაზე დამაჯერებლადაც გაისარჯა. "ქსანთის" 20 ქულა აქვს, "პანიონიოსს" - 19.

მეტოქის ბანაკში

## შოტლანდიის ნაკრებიდან რეინჯერსში?

მას შემდეგ, რაც გლაზგოს "რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ფრანგმა **პოლ ლე გუენმა** დატოვა, ბრიტანული პრესა მის ერთ-ერთ ყველაზე სავარაუდო მემკვიდრედ **უოლტერ სმიტს** ასახელებს.

როგორც გაირკვა, "რეინჯერსის" ხელმძღვანელობა შოტლანდიის ნაკრების თავკაცს უკვე დაუკავშირდა და ხელსაყრელი პირობები შესთავაზა. სმიტის პასუხი ჯერჯერობით, უცნობია. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა, სულაც არაა გამორიცხული, უკეთესი ფინანსური პერსპექტივის გამო, მან "რეინჯერსი" მართლაც ჩაიბაროს, რასაც ბუნებრივია, მისი ეროვნული გუნდიდან წასვლა მოჰყვება.



ჩამოვა სმიტი თბილისში?

### სიტუაცია ქართულ კლუბებში

| გუნდი | მიდიან | მოდიან | გეგმები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია, სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი (სიონი, დსთ-ის თასისთვის) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), სილაგაძე (მეტალურგი ზ.) | თბილისი, თურქეთი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი (დინამო), კობიაშვილი (ბორჯომი) | | თბილისი, ანტალია (თურქეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?) | მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა) ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (?) | რ. ონიანი (ოლიმპი) | თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები |
| დინამო | ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე (?) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) | ბაკურიანი, ანტალია |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), სირბილაძე (ოლიმპი) | — |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი (ჩიხურა) ჭიჭველიშვილი (?) | ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი, (ოლიმპი,) მამალაძე (ჩიხურა), დარასელია (შახტიორი ყარაღანდა) ყველა დსთ-ის თასისთვის | დსთ-ის თასი, იანვარი |
| ლოკომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი(?). | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე | კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | აკობია (მწვრთნელი, დინამო 2), სტურუა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო) | ორი შეკრება |
| ჩიხურა | მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი) | ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი), ბათიაშვილი (სიონი) | შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი) კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯიაა), ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | შეკრება ბათუმში |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები) | შეკრება გორში |
| კახეთი | სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), იაშვილი (?), კევლიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) | თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVII ტური

# რეალი კრიზისშია!

## კაპელოს ბიჭები რიასორზე მიწასთან გაასწორეს



არისმენდი კასილიასთან პირისპირ ოთხჯერ გავიდა, მაგრამ ვერ გაიტანა

"სარაგოსამ" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "სევილიას" კიდევ უფრო დიდი უპირატესობით დაწინაურების საშუალება არ მისცა. მატჩის დღეს, არაგონელები აცხადებდნენ, რომ **პაბლო აიმარს** ტრავმა აწუხებდა და მოედანზე ვერ გავიდოდა. გაირკვა, რომ მასპინძლებმა უბრალო თაღლითობას მიმართეს. არგენტინელმა ვარსკვლავმა შეუცვლელად ითამაშა. უნდა აღინიშნოს, რომ "სარაგოსის" გამარჯვებაში პაბლიტომ ლომის წილი შეიტანა. მართალია, მას გოლი არ გაუტანია, მაგრამ თითქმის ყველა შეტევაში მონაწილეობდა და თანაგუნდელებს ხელსაყრელ პოზიციაზე გასვლაში ეხმარებოდა. ანგარიში კი **კარლოს დიოგომ** გახსნა. მე-13 წუთზე **ანდრეს დალესანდრომ** კუთხურიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, ურუგვაელმა მცველმა ყველას დაასწრო და თავური დარტყმით გაიტანა. "სევილია" უმალ გააქტიურდა, თუმცა სტუმრები დაცვაში სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ. მუდმივად იქმნებოდა საიმისო საფრთხე; რომ არაგონელები ანგარიშს კიდევ უფრო გაზრდიდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ მასპინძელთა გულშემატკივრებს მეორე გოლის სანახავად საკმაო ლოდინი მოუხდათ.

შესვენების შემდეგ "სარაგოსამ" რამდენიმე მწვავე იერიში მოაწყო. ერთ-ერთი მათგანი **ანდრეს პალოპისთვის** ავბედითად დასრულდა. 51-ე წუთზე **დიეგო მილიტომ** ანდალუსიელთა მეკარეს აუღებელი დაურტყა. **ხუანდე რამოსი** მიხვდა, რომ საქმე ცუდად ჰქონდა და შეცვლები განახორციელა. მან **ჩევანტონსა** და **მარესკას** მისცა შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი. ურუგვაელმა და იტალიელმა თავდაუზოგავად ითამაშეს, თუმცა ამით სტუმრებს არაფერი უხეირიათ. "სევილიამ" მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო. 71-ე წუთზე **ლუიშ ფაბიანუმ დანიელ ალვეშის** კარგი გადაცემა გამოიყენა. საფინალო სასტვენის შემდეგ დიოგომ და ფაბიანუმ ემოციები ვერ მოთოკეს და მსაჯს წითელი ბარათი დასტყუეს.

**ვიქტორ ფერნანდესი** შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა: *"ჩემი აზრით, ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, ჩვენს მოწინააღმდეგეებს ბადალი არ ჰყავთ. ისინი საუკეთესოები არიან პრიმერა დივიზიონში. ამის გათვალისწინებით, "სარაგოსის" წარმატება ორმაგად დასაფასებელია. მიხარია, რომ ჩემპიონატის ლიდერი დავამარცხეთ. მატჩის მსვლელობისას სერიოზული პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ ურთიერთ დაზღვევისა და თანადგომის ფასად სამი ქულა შევიძინეთ."*

ხუანდე რამოსმა გამოუყენებელ მომენტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ "სევილიას" იღბალმა ზურგი აქცია. სტუმართა დამრიგებლის აზრით, ფრე ყველაზე სამართლიანი შედეგი იქნებოდა.

"ბარსელონამ" "სევილიის" წაფორხილებით ვერ ისარგებლა და ლიდერთან სხვაობა მხოლოდ ერთი ქულით შეცვალა, მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ კატალონიელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული და დაკარგული ქულების თვალსაზრისით პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერები არიან. ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ, რომ **რონალდინიომ** და **დეკუმ** სამობაო შვებულებიდან დაბრუნება ერთი დღით დააგვიანეს. გავრცელდა ხმები, ვარსკვლავებს სამაგალითოდ დასჯიანო. პროგნოზი არ გამართლდა, "ბარსელონა" წამყვან მოთამაშეებს ერთი დღის გამო არ გაანაწყენებს... მაგრამ **ფრანკ რიიკაარდმა** რონალდინიო და დეკუ "ხეტაფესთან" მატჩში არ ათამაშა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ეს ფაქტი მარტივი გარემოებით ახსნა. პორტუგალიელსა და ბრაზილიელს სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარების საშუალება არ მისცემიათ. ისინი ფორმაში არ იყვნენ და რიიკაარდმა ბარსელონაში დატოვა. შედეგმაც არ დააყოვნა. სტუმრებმა ორი ქულა დაკარგეს...

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ გუნდები მეორე ნახევარში საგრძნობლად გააქტიურდნენ. მადრიდელები მთელი ძალით უტევდნენ. "ბარსას" მცველებს ძალიან უჭირდათ. საწყის შვიდ წუთში დედაქალაქელებს ორჯერ მოეცარათ ხელი, თუმცა 54-ე წუთზე ანგარიში მაინც გაიხსნა. **რაფა მარკესმა** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და **გუისას** გოლის გატანის საშუალება მისცა. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება რიიკაარდის გეგმებში, რა თქმა უნდა, არ შედიოდა. ამიტომ, ბატონმა ფრანკმა შეგირდებს შეტევაში დიდი ძალებით წასვლისკენ მოუწოდა. თავის მხრივ, მან მოედანზე ტრავმამოშუშებული **ხავიერ სავიოლა** შეუშვა. "ბარსამ" მართლაც შეუტია. კატალონიელთა მცდელობამ მალე გამოიღო შედეგი. 69-ე წუთზე **ჩავიმ** ფანტასტიკური საჯარიმო შეასრულა. ასეთი გოლი იშვიათად თუ გავა ხოლმე. შეხვედრის დასრულებამდე დარჩენილ დროში გუნდებმა რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულმა მწვრთნელებმა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები დააფიქსირეს. თავდაპირველად თქვენს სამსჯავროზე **ბერნდ შუსტერის** განცხადებას გამოვიტანთ: *"ყველა კანონის მიხედვით უნდა მოგვეგო. უპირატესობას ვფლობდით და მომენტებსაც საკმაოდ ხშირად ვქმნიდით. ჩემი აზრით, "ბარსელონამ" ერთი ქულა სრულიად დაუმსახურებლად მოიპოვა."*

ფრანკ რიიკაარდი გერმანელ კოლეგას, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა: *"მე ამდენად კატეგორიული არ ვიქნებოდი. ორივე გუნდმა ღირსეულად ისპარეზა. ცხადია, შეცდომებიც გვქონდა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ "ხეტაფეს" ერთი შეცდომაც არ დაუშვია? "ბარსელონამ" შესუსტებული შემადგენლობით ისპარეზა. ლიდერები არ გვყავდნენ. არ მინდა, დღევანდელი შემადგენლობის მიღწევები დავაკნინო, მაგრამ მიმაჩნია, რომ წამყვანი მოთამაშეების დახმარებით მეტი შანსი გვექნებოდა. ორი ქულის დაკარგვით გულდაწყვეტილი ვარ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ქულა მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული მონაპოვარია."*

**ლუის ფერნანდესს** წარმატებული დებიუტი ჰქონდა. ფრანგმა სპეციალისტმა გასაჭირში ჩავარდნილ "ბეტისს" პირველივე შეხვედრაში გაამარჯვებინა. მან არ დააყოვნა და ტაქტიკა რადიკალურად შეცვალა. **ხავიერ ირურეტა** 4-4-2 ტაქტიკას ანიჭებდა უპირატესობას, ფერნანდესმა კი საჭიროდ ჩათვალა, რომ შეტევა მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა და გუნდი 4-3-3 სტრატეგიით ათამაშა. ანდალუსიელებმა თავდასხმაში მართლაც გაცილებით უფრო აგრესიულად ისპარეზეს. თავად განსაჯეთ, პირველ ტაიმში მასპინძლებმა ოთხი 100-პროცენტიანი მომენტი შექმნეს, მაგრამ ოთხივეჯერ ხელი მოეცარათ. სამაგიეროდ, მათ შესვენების შემდეგ გაუმართლათ. 59-ე წუთზე **ასუნსაომ** ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა, თუმცა დამატებაზე **სობისმა** იყოჩაღა. მოსიე ფერნანდესმა სამი ქულის მოპოვებით უზომოდ გაიხარა. ჟურნალისტებთან საუბრისას ფრანგმა სპეციალისტმა გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ "ბეტისი" მომდევნო ტურებშიც კარგად ითამაშებს: *"გასაკეთებელი ძალიან ბევრია. არ ვამბობ, რომ ირურეტა უსაქმოდ იყო, მაგრამ ფეხბურთელები პროგრესს საჭიროებენ. მრავალი პრობლემა გვაქვს, თუმცა მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. დარწმუნებული გახლავართ, ჩემი ბიჭები შეუძლებელს შეძლებენ და უმცირეს დროში სატურნირო მდგომარეობას საგძნობლად გამოასწორებენ."*

"მალიორკის" ხელმძღვანელობამ **გრეგორიო მანსანოს** კონტრაქტი დიდი ზარზეიმით გაუხანგრძლივა. მწვრთნელმა საპასუხოდ განაცხადა, ნდობას დიდად ვაფასებ და ამიერიდან შინ კიდევ უფრო გვიან დავბრუნდებიო. როგორც ჩანს, კუნძულელთა დამრიგებელს თავდადებასთან ერთად იღბალიც სჭირდება. 2007 წლის პირველ შეხვედრაში ბალეარელებმა "ბილბაოსთან" მატჩში გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს. თავად ანგარიში ამაზე არ მეტყველებს, მაგრამ თამაშის სცენარით თუ ვიხელმძღვანელებთ, ბასკებმა მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს. **ხოსე მანუელ ესნალის** დანიშვნის შემდეგ "ბილბაომ" "რეალთან" ერთი მატჩი წააგო, ერთი შეხვედრა ფრედ ითამაშა, სამი კი მოიგო. დაგვეთანხმებით, ჩინებული მონაგარია...

"რეალს" 42-ე წუთამდე კარში არ დაურტყამს. "დეპორტივოსთან" პაექრობაში სამეფო კლუბი იმდენად უსუსურად გამოიყურებოდა, რომ მათ გასაკრიტიკებლად სიტყვები არ გვეყოფა. სტუმრებს მღელვარება და შეუთამაშებლობა პირველივე წუთიდან ეტყობოდათ. თამაში გახურებული არც იყო, როცა **კაპდევილამ** საჯარიმოს შესრულების უფლება მოიპოვა. გაუგებარია რაზე ფიქრობდნენ **კაპელოს** შეგირდები. **კასილიასმა** ცოცხალი კედელი საშინლად დააყენა. კაპდევილას მიერ დარტყმულ ბურთს ვერავინ გადაუდგა. შედეგად ანგარიში გაიხსნა და "რეალი" ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მალე, **გუტიმ** ტრავმა მიიღო. მისი ადგილი **დევიდ ბექჰემმა** დაიკავა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ინგლისელს ღირებული არაფერი გაუკეთებია. როგორც გითხარით, პირველ ნახევარში "გალაქტიკოებმა" კარის მიმართულებით მხოლოდ 42-ე წუთზე დაარტყეს. გალისიელები კი დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით უტევდნენ. ანგარიში შესვენების შემდეგ გაიზარდა. **კრისტიანმა** მცველების შეცდომით ისარგებლა. მოვლენათა ეპიცენტრში მალე **არისმენდი** მოექცა. "დეპორის" ფორვარდმა ოთხი 100-პროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. კაპელოს ნაქებმა ბიჭებმა ზედიზედ მეორე სამარცხვინო მარცხი იწვნიეს. სახეზე ალბათ, მწვავე კრიზისია...

**მომდევნო ტური**

13 იანვარი. ვალენსია-ლევანტე, ესპანიოლი-ბარსელონა. 14 იანვარი. ბილბაო-ვილიარეალი, სელტა-ატლეტიკო, რასინგი-სოსიედადი, სევილია-მალიორკა, ოსასუნა-ბეტისი, ხიმნასტიკი-ხეტაფე, რეკრეატივო-დეპორტივო, რეალი-სარაგოსა.

**ატლეტიკო-ხიმნასტიკი 0:0**

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, ვალერა, პაბლო, ზე კასტრო, პერნია, გალეტი (90. პოლო), გაბი, ხურადო, ანტონიო ლოპესი (46. მისტა), ფერნანდო ტორესი, აგუერო.

**ხიმნასტიკი:** რუბენ პერესი, რუსი, მატელიანი, ლერა, მინგო, კამპანო (69. დავიდ კუელარი), ხენერელო (63. ირურსუნი), მორალესი, აბელ ბუადესი, ხუან დიასი, რუბენ კასტრო (75. პორტილიო).

**გაძევება:** გაბი (88. ატლეტიკო)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 17(6)-12(2); **კუთხური:** 7-8; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 15-20; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 40 000

**სოსიედადი-ოსასუნა 2:1**

**სოსიედადი:** ბრავო, რეკარტე, ლაბაკა, მიკელ გონსალესი, გარიდო (79. ხერარდო), არანბურუ, რივასი, ურანგა (79. გარიტანო), ხესული (76. აგირეჩე), ჩაბი პრიეტო, კოვაჩევიჩი.

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანიო, კრუჩაგა, ხოსეტო, კორალესი, ხუანფრანი (81. მუნიოსი), პუნიალი (53. რაულ გარსია), ნექუნამი, დავიდ ლოპესი, მილოშევიჩი, სოლდადო (76. ვებო).

**გოლები:** 1:0 ჩაბი პრიეტო (19), 1:1 რაულ გარსია (56), 2:1 არანბურუ (88)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 12(3)-11(6); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 1-5; **ჯარიმა:** 13-15; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 21 753

**სარაგოსა-სევილია 2:1**

**სარაგოსა:** სესარი, სერხიო, გაბი მილიტო, ხუანფრანი, პიკე, დიოგო, საპატერი, დ'ალესანდრო (87. ლაფიტა), ევერტონი (68. ოსკარი), აიმარი, დიეგო მილიტო (90. სერხიო გარსია).

**სევილია:** პალოპი, დაწი ალვესი, ხავი ნავარო, ესკუდე, დავიდი (61. მარესკა), რენატო, პოულსენი, ადრიანო, ხესუს ნავასი (61. ჩევანტონი), კანუტე, ლუიშ ფაბიანო.

**გოლები:** 1:0 დიოგო (13), 2:0 დიეგო მილიტო (50), 2:1 ლუიშ ფაბიანო (69)

**გაძევება:** დიოგო (90+4. სარაგოსა), ლუიშ ფაბიანო (90+4. სევილია)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 12(4)-16(4); **კუთხური:** 7-9; **თამაშგარე:** 0-4; **ჯარიმა:** 22-14; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 35 000

**ბეტისი-სელტა 1:0**

**ბეტისი:** კონტრერასი, ხუანიტო, რივასი, ფერნანდო ვეგა, მიგელ ანხელი, არსუ, ასუნსაო, ედუ, სობისი (90+3. მალდონადო), კაპი (77. რივერა), ფერნანდო (74. დანი).

**სელტა:** პინტო, ტამაში, ლეკი, პლასენტე, ანხელი, კანობიო, გუსტავო ლოპესი (75. გაირე), ნენე (77. დე რიდერი), პაბლო გარსია, ბაიანო, ხორხე (86. ჯონათან ვილა).

**გოლი:** 1:0 სობისი (59)

**გაძევება:** პაბლო გარსია (68. სელტა)

**გაფრთხილება:** 5-8; **დარტყმა:** 16(4)-11(0); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 26-24; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 31 000

**ესპანიოლი-რეკრეატივო 0:1**

**ესპანიოლი:** კამენი, ხარკე, ტორეხონი, ველასკო (79. მოა), საბალეტა, მოისესი, რიერა, დე ლა პენია (71. ხულიანი), რუფეტე (65. პანდიანი), ლუის გარსია, ტამუდო.

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალეხო, მერინო, ბეტო, პოლი, კასორლა, არსო, ხესუს ვასკესი, ვიკეირა (81. ბარბერი), აიტორი (67. ხუანმა), უჩე, ხავი ნავარო (77. როსუ).

**გოლი:** 0:1 ხესუს ვასკესი (55)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 11(0)-12(4); **კუთხური:** 8-7; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 14-19; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 21 000

**ხეტაფე-ბარსელონა 1:1**

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, პარედესი, ალექსისი, სელესტინი, კასკერო, მარიო კოტელო, ვივარ დორადო (73. სოუზა), პაჩონი (83. მანუ დელ მორალი), გუისა (75. მარისი).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, სილვინიო (73. ვან ბრონკჰორსტი), ედმილსონი (90. ოლმო), ჩავი, ინიესტა, ჟული, გუდიონსენი, ესკერო (59. სავიოლა).

**გოლები:** 1:0 გუისა (53), 1:1 ჩავი (69)

**გაძევება:** ალექსისი (90+1. ხეტაფე)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 16(3)-11(4); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 26-12; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 15 000

**ლევანტე-რასინგი 2:0**

**ლევანტე:** მოლინა, დესკარგა, ალექსისი, ალვარო, კამაჩო, ბერსონი, კურტუა (55. რიხა), რუბიალესი, ეტიენი (79. ტომაზი), კაპო, ნინიო (81. რეჯი).

**რასინგი:** ტონიო, პინილოსი, რუბენი, გარაი, კრისტიანი, კოლსა, სკალონი, მუნიტისი, ა. ტომასი (67. მომო), ჟიგიჩი, ოსკარ სერანო (67. ბალბოა).

**გოლები:** 1:0 კამაჩო (60), 2:0 კაპო (75)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 11(6)-10(2); **კუთხური:** 8-5; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 24-17; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 14 000

**მალიორკა-ბილბაო 1:3**

**მალიორკა:** პრატსი, ვარელა, რამისი, ნუნიესი, ნავარო, პერეირა, იბაგასა, არანგო, იანკოვიჩი (73. იორდი), ვიქტორი (58. დიეგო ტრისტანი), იონას გუტიერესი (58. მაქსი).

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, ლუის პრიეტო, სარიეგი, კასასი, მურილიო, ირაოლა, ხავი მარტინესი, გარმენდია (78. ეჩებერია), იესტე (88. ამორებიეტა), ურსაისი (72. ადურისი).

**გოლები:** 0:1 ურსაისი (29), 0:2 ურსაისი (52), 1:2 ესპოზიტო (81-საკ. კარში), 1:3 ეჩებერია (83)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 10(2)-10(7); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 5-3; **ჯარიმა:** 18-21; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 24 000

**დეპორტივო-რეალი 2:0**

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, არბელოა, კაპდევილა, დე გუსმანი, დუშერი, კრისტიანი, ესტოიანოფი (89. ბარაგონი), არისმენდი (90+1. ვალერონი), რიკი (78. ხუან როდრიგესი).

**რეალი:** კასილიასი, ივან ელგერა, კანავარო, სერხიო რამოსი, მიჩელ სალგადო (57. მარსელო), ემერსონი, რეიესი, გახო (58. რონალდო), გუტი (13. ბექჰემი), რაული, ვან ნისტელროი.

**გოლები:** 1:0 კაპდევილა (9), 2:0 კრისტიანი (55)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 17(3)-8(1); **კუთხური:** 1-3; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 17-22; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 43 000

**ვილიარეალი-ვალენსია 0:1**

**ვილიარეალი:** ბარბოსა, ხოსემი, ფუენტესი, არუაბარენა, პენია (40. სიგანი), ხოსიკო (76. მარკოსი), სენა, კანი, მატიას ფერნანდესი, ფორლანი, ფრანკო (76. ხოსე მარი).

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, კურო ტორესი, ალბიოლი, ალბელდა, ბარახა (90. მარჩენა), ანგულო, სილვა (80. უგო ვიანა), მორიენტესი (68. ხოაკინი), ვილია.

**გოლი:** 0:1 ანგულო (75)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 12(3)-11(3); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 14-14; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 29 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 17 | 12 | 1 | 4 | 36-17 | 37 |
| 2. ბარსელონა | 16 | 10 | 5 | 1 | 35-13 | 35 |
| 3. რეალი | 17 | 10 | 2 | 5 | 26-16 | 32 |
| 4. სარაგოსა | 17 | 9 | 3 | 5 | 30-19 | 30 |
| 5. ვალენსია | 17 | 9 | 3 | 5 | 24-15 | 30 |
| 6. ატლეტიკო | 17 | 8 | 5 | 4 | 21-12 | 29 |
| 7. რეკრეატივო | 17 | 9 | 1 | 7 | 27-24 | 28 |
| 8. ოსასუნა | 17 | 7 | 2 | 8 | 22-22 | 23 |
| 9. ხეტაფე | 17 | 6 | 5 | 6 | 12-12 | 23 |
| 10. ესპანიოლი | 17 | 5 | 7 | 5 | 15-17 | 22 |
| 11. ვილიარეალი | 17 | 6 | 4 | 7 | 17-24 | 22 |
| 12. სელტა | 17 | 5 | 6 | 6 | 20-22 | 21 |
| 13. რასინგი | 17 | 5 | 6 | 6 | 16-22 | 21 |
| 14. დეპორტივო | 17 | 5 | 5 | 7 | 12-23 | 20 |
| 15. ბილბაო | 17 | 4 | 6 | 7 | 21-27 | 18 |
| 16. ლევანტე | 17 | 4 | 6 | 7 | 16-23 | 18 |
| 17. მალიორკა | 17 | 4 | 5 | 8 | 14-25 | 17 |
| 18. ბეტისი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-19 | 16 |
| 19. სოსიედადი | 17 | 2 | 7 | 8 | 12-23 | 13 |
| 20. ხიმნასტიკი | 17 | 2 | 3 | 12 | 15-33 | 9 |

**ბომბარდირები:** 14 - კანუტე (სევილია); 13 - დიეგო მილიტო (სარაგოსა); 12 - რონალდინიო (ბარსელონა); 9 - ვან ნისტელროი (რეალი); 8 - ვილია (ვალენსია), ბაიანო (სელტა); 7 - ლუიშ ფაბიანო (სევილია), ტამუდო (ესპანიოლი); 6 - მორიენტესი (ვალენსია), უჩე (რეკრეატივო).

**II დივიზიონი**

XIX ტური

**მალაგა-ალმერია 2:1**

გოლები: 1:0 პერიკო (10), 1:1 ბერმეხო (35-პენ), 2:1 პოპო (87)

**ხერესი-ალბასეტე 0:1**

გოლი: 0:1 ასკორა (15)

**ლორკა-ერკულესი 0:1**

გოლი: 0:1 ჩისკო (6)

**ვესინდარიო-ტენერიფე 2:1**

გოლები: 0:1 სუსო (80), 1:1 კარლიტოსი (81), 2:1 აჩაბალი (82)

**ვალიადოლიდი-ალავესი 1:0**

გოლი: 1:0 სუარესი (3)

**სიუდადი-სპორტინგი 3:1**

გოლები: 0:1 ბარალი (11), 1:1 გოიტომი (12), 2:1 ლუკე (50-პენ), 3:1 ლუკე (75)

**პონფერადინა-კასტელონი 1:0**

გოლი: 1:0 ვეგა (53)

**ეხიდო-ნუმანსია 0:0**

**სალამანკა-ლას პალმასი 2:2**

გოლები: 1:0 ბრაულიო (17), 1:1 მარკესი (19), 2:1 ტო (32), 2:2 მარკესი (44)

**ელჩე-კადისი 1:1**

გოლები: 1:0 ნინიო (29), 1:1 დე კინტანა (40)

**რეალი B-მურსია 0:2**

გოლები: 0:1 აბელი (53), 0:2 მარტინი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 19 | 11 | 5 | 3 | 30-15 | 38 |
| 2. მურსია | 19 | 9 | 7 | 3 | 28-20 | 34 |
| 3. სალამანკა | 19 | 9 | 4 | 6 | 31-22 | 31 |
| 4. ალმერია | 19 | 9 | 4 | 6 | 30-21 | 31 |
| 5. სპორტინგი | 19 | 10 | 1 | 8 | 26-20 | 31 |
| 6. ხერესი | 19 | 8 | 5 | 6 | 23-17 | 29 |
| 7. ერკულესი | 19 | 8 | 4 | 7 | 22-18 | 28 |
| 8. სიუდადი | 19 | 8 | 3 | 8 | 23-21 | 27 |
| 9. ნუმანსია | 19 | 7 | 6 | 6 | 22-20 | 27 |
| 10. ეხიდო | 19 | 7 | 6 | 6 | 22-20 | 27 |
| 11. მალაგა | 19 | 7 | 5 | 7 | 25-24 | 26 |
| 12. კადისი | 19 | 6 | 8 | 5 | 22-21 | 26 |
| 13. ალბასეტე | 19 | 7 | 5 | 7 | 23-23 | 26 |
| 14. კასტელონი | 19 | 7 | 4 | 8 | 19-21 | 25 |
| 15. რეალი B | 19 | 7 | 4 | 8 | 24-32 | 25 |
| 16. ტენერიფე | 19 | 7 | 3 | 9 | 17-23 | 24 |
| 17. ალავესი | 19 | 6 | 6 | 7 | 17-25 | 24 |
| 18. ლას პალმასი | 19 | 5 | 7 | 7 | 23-26 | 22 |
| 19. პონფერადინა | 19 | 5 | 6 | 8 | 17-20 | 21 |
| 20. ელჩე | 19 | 4 | 7 | 8 | 20-26 | 19 |
| 21. ლორკა | 19 | 4 | 6 | 9 | 15-25 | 18 |
| 22. ვესინდარიო | 19 | 4 | 2 | 13 | 17-36 | 14 |

## ინგლისის თასი

1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| როვერსი-ჰერეფორდი | 1:0 |
| სტოკი-მილუოლი | 2:0 |
| ტამუორთი-ნორვიჩი | 1:4 |
| ბირმინგემი-ნიუკასლი | 2:2 |
| დონკასტერი-ბოლტონი | 0:4 |
| ლესტერი-ფულჰემი | 2:2 |
| შეფილდი-სუონსი | 0:3 |
| ტორკი-საუთჰემპტონი | 0:2 |
| ბლეკპული-ოლდერშოტი | 4:2 |
| დერბი-რექსჰემი | 3:1 |
| ჰალი-მიდლსბრო | 1:1 |
| საუთენდი-ბარნსლი | 1:1 |
| ნოტინგემი-ჩარლტონი | 2:0 |
| პიტერბრო-პლიმუთი | 1:1 |
| პორტსმუთი-უიგანი | 2:1 |
| პრესტონი-სანდერლენდი | 1:0 |
| ქუინზ პარკი-ლუტონი | 2:2 |
| ბრისტოლი-ქოვენტრი | 3:3 |
| ჩესტერი-იფსვიჩი | 0:0 |
| ჩელსი-მაკლსფილდი | 6:1 |
| კრ. პალასი-სუინდონი | 2:1 |
| უოტფორდი-სტოკპორტი | 4:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-ლიდსი | 3:1 |
| ვესტ ჰემი-ბრაიტონი | 3:0 |
| ვულვზი-ოლდჰემი | 2:2 |
| ლივერპული-არსენალი | 1:3 |
| მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა | 2:1 |
| უიგანი-მანჩესტერ სიტი | 1:1 |
| ევერტონი-ბლექბერნი | 1:4 |
| კარდიფი-ტოტენჰემი | 0:0 |
| ბარნეტი-კოლჩესტერი | გადაიდო |
| რიდინგი-ბარნლი | გადაიდო |

## ინგლისი

### I ლიგა

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ბრენტფორდი | 1:0 |
| პორტ ვეილი-ბრედფორდი | 0:1 |
| ტრანმერი-ნორთჰემპტონი | 1:1 |
| იოვილი-ჰადერსფილდი | 3:1 |
| ჩელტენემი-სკანთორპი | გადაიდო |

### II ლიგა

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ბოსტონი-აკრინგტონი | 1:0 |
| გრიმსბი-ჰარტლპული | 1:1 |
| უიკომბი-როჩდეილი | 1:1 |
| მილტონი-ლინკოლნი | დღეს |

### კონფერენსი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-რაშდენი | 2:1 |
| დაგენჰემი-უოკინგი | 3:2 |
| იორკი-კროული | 5:0 |
| საუთპორტი-გრეისი | 3:1 |
| ოქსფორდი-მორკემბი | 0:0 |
| სტ. ალბანსი-ნორთვიჩი | 1:3 |
| გარვესენდი-ჰალიფაქსი | შეწყდა |
| კემბრიჯი-ფორესტ გრინი | გადაიდო |
| უეიმაუთი-ბარტონი | გადაიდო |
| სტეფორდი-სტივენიჯი | გადაიდო |

## საბერძნეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ოფი-ატრომიტოსი | 4:1 |
| პაოკ-აეკ | 2:0 |
| აპოლონი-კერკირა | 1:0 |
| იონიკოსი-ერგოტელისი | 1:3 |
| ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 0:0 |
| პანიონიოსი-ირაკლისი | 2:1 |
| პანათინაიკოსი-ეგალეო | 1:0 |
| არისი-ლარისა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოს | 16 | 13 | 1 | 2 | 32-8 | 40 |
| 2. აეკ | 16 | 10 | 4 | 2 | 31-10 | 34 |
| 3. პანათინაიკოს | 16 | 11 | 1 | 4 | 25-15 | 34 |
| 4. პაოკ | 16 | 7 | 4 | 5 | 17-13 | 25 |
| 5. ოფი | 16 | 6 | 5 | 5 | 19-17 | 23 |
| 6. ქსანთი | 16 | 5 | 5 | 6 | 11-10 | 20 |
| 7. ატრომიტოს | 16 | 4 | 7 | 5 | 19-21 | 19 |
| 8. არისი | 16 | 3 | 10 | 3 | 14-15 | 19 |
| 9. კერკირა | 16 | 5 | 4 | 7 | 13-16 | 19 |
| 10. ეგალეო | 16 | 5 | 4 | 7 | 15-19 | 19 |
| 11. პანიონიოსი | 16 | 4 | 7 | 5 | 12-19 | 19 |
| 12. აპოლონი | 16 | 4 | 6 | 6 | 13-18 | 18 |
| 13. ლარისა | 16 | 4 | 5 | 7 | 13-23 | 17 |
| 14. ერგოტელის | 16 | 4 | 4 | 8 | 14-18 | 16 |
| 15. ირაკლისი | 15 | 4 | 3 | 8 | 13-20 | 15 |
| 16. იონიკოსი | 15 | 2 | 2 | 11 | 8-27 | 6 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## კვიპროსი

XVI ტური

| | |
|---|---|
| პარალიმნი-ნეა სალამისი | 0:0 |
| ეთნიკოსი-აგია ნაპა | 2:2 |
| აეპ-დიგენისი | 0:1 |
| ომონია-აელ | 2:0 |
| აპოლონი-აპოელ | 2:1 |
| ოლიმპიაკოსი-აეკ | 0:2 |
| ანორთოსისი-არისი | 2:0 |

## საფრანგეთის თასი

1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| კრეტეი-ნიცა | 1:2 დ.დ. |
| GFCO აიაჩო-სტრასბური | 1:2 |
| შერუე-სედანი | 0:1 |
| ლიონ ლა დუშერი-სანუა | 1:0 |
| პლუვინე-ლე მანი | 0:3 |
| პონტივი-ვიტრენი | 1:0 დ.დ. |
| მონპელიე-სტ. ლო | 4:1 |
| რენი-რომორანტენი | 1:3 დ.დ. |
| ორლეანი-მულენ | 2:1 |
| ბეიონი-ლავალი | 3:1 |
| ვანი-კონკარნო | 3:2 |
| შატელრო-ტულუზი | 1:1 პენ. 3:4 |
| ამიენი-გრენობლი | 3:0 |
| კევილი-მონაკო | 0:2 |
| როდე-ანგულემი | 3:1 |
| სტ. ეტიენი-სოშო | 1:3 |
| ბორდო-ბასტია | 2:0 |
| კამბრე-მარსელი | 1:4 დ.დ. |
| კალე-ლორიანი | 2:0 |
| ნანსი-ლანსი | 3:3 პენ. 8:9 |
| ვალანსი-კაენი | 2:1 |
| მეცი-ლილი | 0:2 |
| ოსერი-ნიორი | 2:2 პენ. 4:5 |
| ნანტი-გინგამი | 1:0 |
| ლიბურნი-ტრუა | 4:2 |
| ჟარვილი-ამნევილი | 1:0 |
| ფეინი-მონტკო | 1:2 |
| ბუასგიომი-შატობრიანი | 0:1 |
| პალესო-ლაონი | 0:4 |
| პსჟ-ნიმი | 3:0 |
| კლერმონი-დუნკერკი | 3:1 |
| ბეიონი-ლიონი | 1:2 |

## პორტუგალიის თასი

I ეტაპი

| | |
|---|---|
| ბენფიკა-ბაირო | 5:0 |
| ლეიქსოესი-ფამალიკაო | 2:1 დ.დ. |
| მონდომარი-რიო მაიორი | 3:0 |
| ბრაგანსა-მარკო | 4:2 |
| ვალეკამბრენსი-ვარზიმი | 2:4 |
| პენალვა-მარია და ფონტე | 2:1 |
| პარედესი-ბელენენსეში | 2:4 დ.დ |
| ამადორა-ფეირენსე | 2:1 დ.დ. |
| ნასიონალი-ვიზელა | 3:0 |
| ბეირა მარი-სანტანა | 6:0 |
| კოვილია-მაფრა | 0:1 |
| ბოავიშტა-კავალეირუში | 3:1 |
| მაია-ლაგოა | 2:0 |
| კამაჩა-ოლჰანენსე | 1:0 |
| ნავალი-კასა პია | 4:0 |
| ავეში-ოლივეირენსე | 1:0 |
| ესტორილი-სანტა კლარა | 1:1 |
| პენაფიელი-მარიტიმუ | 1:0 |
| პორტუ-ატლეტიკო | 0:1 |
| ვეირა-პინალნოვენსე | 1:4 |
| სერტანენსე-ლუზიტანია | 1:0 |
| ლუზიტანო-ეშპინიუ | 1:0 |
| პონტასოლენსე-მოსკავიდე | 2:1 |
| სანტიაგო-ოდიველაში | 0:1 |
| ფერეირა-ლეირია | 1:2 |
| ბრაგა-პორტიმონენსე | 5:2 |
| აკადემიკა-სეტუბალი | 2:1 |

## შოტლანდიის თასი

1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-ბრეჩინი | 1:1 |
| როსი-პარტიკი | 0:1 |
| სტირლინგი-ინვერნესი | 1:6 |
| კლაიდი-გრეტნა | 0:3 |
| დევერონვალი-ელჯინი | 5:4 |
| სტ. ჯონსტონი-ეირი | 0:0 |
| სტრანრარი-ჰართსი | 0:4 |
| დანდი-ქუინი | 1:1 |
| ჰამილტონი-ლივინგსტონი | 2:4 |
| მორტონი-კილმარნოკი | 3:1 |
| ეირდრი-მოზერველი | 0:1 |
| ზირეიკი-ფალკირკი | 0:2 |
| სელტიკი-დამბარტონი | 4:0 |
| დანფერმლაინი-რეინჯერსი | 3:2 |

## შოტლანდია

### III დივიზიონი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| სტენჰაუსმური-ალბიონი | 0:4 |

## უელსი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| უელშპული-ეირბასი | 6:3 |
| პორტ ტელბოტი-რილი | 3:2 |
| ბანგორი-ტნს | 0:2 |
| კარმართენი-სეფნ დრუიდსი | 4:0 |
| ქუმბრანი-ნიუთაუნი | 0:2 |
| კონა-ჰავერფორდვესტი | 5:3 |
| პორთმადოგი-ლანელი | 1:1 |
| კაერსვსი-კაერნარფონი | გადაიდო |

მოსალოდნელი ტრანსფერები

# რონალდო შევჩენკოში იცვლება?

## განიხილება მილანის ვარიანტიც. გალიანიმ და მიატოვიჩმა ტელეფონით ისაუბრესო. მოურინიო კი დეფოს მიადგა...

სხვადასხვა სააგენტოები **რონალდოს** მომავალზე ახალ ვერსიებს ავრცელებენ. ესპანური "ასის" მტკიცებით, სამეფო კლუბი "ჩელსის" დაუკავშირდა და გაცვლითი ოპერაცია შესთავაზა. მადრიდელებს **ანდრეი შევჩენკოს** გადმოყვანა სურთ. ამ ტრანსფერის განხორციელებას სერიოზული საფუძველი აქვს. რონალდოსა და **ფაბიო კაპელოს** შორის ურთიერთობა ვერა და ვერ აეწყო, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელმა წონაშიც დაიკლო და უკეთაც ათამაშდა. როგორც ჩანს, კაპელოს მაინც სხვა ფორვარდი სჭირდება. ასეთი კი, თურმე, შევჩენკო ყოფილა. თავის მხრივ, უკრაინელსაც ცუდად მისდის საქმეები. ჯერჯერობით, ის **ჟოზე მოურინიოსა** და ფანების იმედებს ვერ ამართლებს. თუმცა, რაღა "ჯერჯერობით", პრემიერლიგის ნახევარი გავიდა და ანდრეის მხოლოდ 3 გოლი აქვს გატანილი. აგერ, შაბათს, ინგლისის თასზე, "ჩელსიმ" "მაკლსფილდი" გაანადგურა (6:1) და შევამ (მოედანზე 90 წუთი დაჰყო) ერთი ბურთიც ვერ შეაგდო. ამას უკვე ადაპტაცია აღარ ჰქვია. გავიხსენოთ, რომ პირველივე მილანურ სეზონში შევჩენკო სერია A-ს მთავარი ბომბარდირი გახდა (24 გოლი). როგორც ჩანს, უკრაინელმა კარიერის პიკი უკვე გაიარა. თუმცა მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ესპანეთში ის სხვაგვარად ათამაშდება. მათი აზრით, პრიმერა დივიზიონი შევჩენკოს ტიპის ფორვარდისთვის ზედგამოჭრილია. მეორე მხრივ, დალმასვლის ხანა უდგას რონალდოსაც და ვეჭვობთ, არისტოკრატები "რეალის" წინადადებაზე დათანხმდნენ.

იგივე "ასი" ავრცელებს ინფორმაციას, რონალდოს "მილანში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებითაც. თავდასხმაში **კარლო ანჩელოტისაც** უჭირს. საუბრობენ იმაზეც, რომ "რეალის" სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** და **ადრიანო გალიანი** ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრნენ. თუ რა შეთანხმებას მიაღწიეს მხარეებმა, ან მიაღწიეს თუ არა საერთოდ, ამაზე მედია ვერაფერს ამბობს. ისე, ჯერ არც **ანტონიო კასანოს** საკითხი მოხსნილა დღის წესრიგიდან. შეგახსენებთ, "მილანს" ეს ბიჭიც აინტერესებს.

დავუბრუნდეთ "ჩელსის" და იმის დასტურად, რომ მოურინიო შევჩენკოთი უკმაყოფილოა (რბილად რომ ვთქვათ), "სანდი თაიმსის" ინფორმაციას გაგაცნობთ. როგორც ამბობენ, ჟოზეს პრინციპულ ამოცანად დაუსახავს, საიანვრო ბაზარზე "ტოტენჰემის" ფორვარდი **ჯერმენ დეფო** გადაიბიროს. საამისოდ, ის მზადაა, "უაით ჰართ ლეინისკენ" **შონ რაიტ-ფილიპსი** გაუშვას. ამ უკანასკნელს, "ჩელსიში" ძირითადად რეზერვისტის როლი აქვს. მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული თავად რაიტ-ფილიპსის სურვილზე, თუ რამდენად მიმზიდველია მისთვის "ტოტენჰემის" მაისურით თამაში? ცნობილი ამბავია, რომ "მამლების" მწვრთნელ **მარტინ იოლს** რაიტ-ფილიპსი ძლიერ მოსწონს და არაა გამორიცხული, დეფოს უყოყმანოდ შეელიოს.




ანდრეი შევჩენკო

ამასობაში კი, **მილან ბაროშის** აგენტი **პაველ პაშკა** ირწმუნება, რომ მისი კლიენტით "ჩელსია" დაინტერესებული. მოგეხსენებათ, "ასტონ ვილის" მწვრთნელ **მარტინ ო'ნილს** ჩეხ ფორვარდთან კონფლიქტი მოუვიდა და შესაძლოა, ამ ფაქტმაც შეუწყოს ხელი მოთამაშის სხვა კლუბში გადასვლას. მაგრამ, არის თუ არა ეს კლუბი "ჩელსი"? აი, რას ამბობს აგენტი "სქაი სპორტთან" ინტერვიუში:

*"უკვე ვესაუბრე მარტინ ო'ნილს. ნათელია, რომ ის ფეხბურთელს არ შეაფერხებს. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ ინტერესს გამოხატავს "ჩელსი", მაგრამ ტრანსფერზე საუბარი ჯერ ნაადრევია. საამისოდ, კლუბებმა მინიმუმ ერთმანეთთან კონტაქტი უნდა დაამყარონ. მერე ვნახოთ, რა მოხდება".*

# ჰარგრივსი ძალიან ძვირია

## მანჩესტერი კი სანაცვლოდ ჰაინცეს იძლევა, ბეკენბაუერი ჰარგრივსს კალთებს არ დაახევს

**ოუენ ჰარგრივსის** ტრანსფერის გარშემო ჯერაც გაურკვევლობაა. შაბათამდე "ბაიერნი" საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული, გაუშვებდა თუ არა ნახევარმცველს "მანჩესტერ იუნაიტედში". მაგრამ აი, მიუნხენურმა კლუბმა მისი სატრანსფერო ფასი დაასახელა და უკვე წინადადებებსაც ელოდება. ჰარგრივსი 30 (!) მილიონი ევრო ღირს. ძნელი დასაჯერებელია, რომ "ეშმაკებმა", ან თუნდაც სხვა შეძლებულმა კლუბებმა, ამ ფეხბურთელში ხსენებული თანხა გადაიხადონ. ბუნდესლიგის ექსპერტებიც თანხმდებიან იმაზე, რომ ჰარგრივსი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ **ანდრეი შევჩენკოზე** ძვირი არ უნდა ღირდეს. ბევრი კი ეჭვობს, რომ "ბაიერნს" ინგლისელის გაყიდვა არ სურს და სატრანსფერო ფასიც ამიტომაა გაბერილი.

ამასობაში, მესიჯი მანჩესტერიდანაც მოვიდა. დადასტურდა, რომ "მანკუნიანელები" ჰარგრივსში ამხელა ფულის გადახდას არ აპირებენ. თუმცა, ისინი მზად არიან, "ბაიერნს" შემხვედრი წინადადებით მიმართონ. კერძოდ, სერ **ალექს ფერგიუსონი** თანახმაა, სატრანსფერო ოპერაციას არგენტინელი მარცხენა მცველი **გაბრიელ ჰაინცე** შესწიროსო - აცხადებს ინგლისური "გარდიანი". ჰაინცე იშვიათად ხვდება "მენიუს" ძირითადში, კლუბს კი მისი ხელფასი (კვირაში 60 ათასი გირვანქა) კისერზე მძიმედ აწევს. მანჩესტერელთა გათვლით, არგენტინელი ჰარგრივსის ფასს მნიშვნელოვნად დასწევს. მაგრამ ისიც ვიკითხოთ, რაში სჭირდება "ბაიერნს" ჰაინცე, როცა მას ამ პოზიციაზე **ფილიპ ლამი** ჰყავს?

ალბათ, მოსალოდნელ გარიგებაში მთავარი სიტყვა **ფრანც ბეკენბაუერმა** და თავად ფეხბურთელმა უნდა თქვან. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს მიუნხენიდან აბარგება სწადია. შესაძლოა, ეს ფაქტორი გადამწყვეტიც აღმოჩნდეს ამ საქმეში და "ბაიერნმა" მის ფასს გადახედოს. ამავე დროს, ბეკენბაუერიც არ აპირებს, ინგლისელს კალთები დაახიოს.

*"ჰარგრივსის გაყიდვა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმ თანხად, რაც "ბაიერნს" არ დააზარალებს,"* - აცხადებს კაიზერ-ფრანცი, თუმცა კი არ აკონკრეტებს, არის თუ არა 30 მილიონი ჰარგრივსის რეალური სატრანსფერო ფასი.

# იუვენტუსი ჰუნტელაარს აკვირდება

## ქალბატონს ბორდოელი მავუბაც აინტერესებსო...



კლაას იან ჰუნტელაარი

"აიაქსის" ფორვარდი **კლაას იან ჰუნტელაარი** თურმე "იუვენტუსის" ობიექტივში მოექცა. ეს ინფორმაცია იტალიურ სააგენტოებს ფეხბურთელის აგენტმა **ვინჩენცო მორაბიტომ** გაუმხილა. 23 წლის თავდამსხმელი ტურინელებს **დავიდ ტრეზეგეს** ერთ-ერთ შემცვლელად ესახებათ.

*"შემიძლია დავადასტურო, რომ ჩემს კლიენტს "იუვენტუსი" აკვირდება. თუმცა, ჯერჯერობით, მათ შორის კონტაქტები არ ყოფილა. ჰუნტელაარი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ჩემი და ბევრი ექსპერტის აზრით, ის ახალი ვან ნისტელროოია. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან კლაასი "აიაქსს" დატოვებს. ჰუნტელაარი საკმაოდ ძვირი ღირს და ვნახოთ, გამოჩნდება თუ არა კლუბი, რომელიც ამ ფასს გადაიხდის".*

აგენტი ფასს არ აკონკრეტებს. თუმცა ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ გასულ ზაფხულს, ამსტერდამულმა კლუბმა ჰუნტელაარში "ჰეერენვეენს" 6.4 მილიონი გირვანქა გადაუხადა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფეხბურთელის დღევანდელი სატრანსფერო ფასი დაახლოებით 10-12 მილიონი ევროა. შეგახსენებთ, გასულ ზაფხულს კლაასი ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამას გარდა, 2005/06 წლების სეზონში, 33 გოლით, ის ევროპის ეროვნული ჩემპიონატების ერთ-ერთ ყველაზე შედეგიან ფორვარდადაც იქცა. "ბებერი ქალბატონისთვის", ჰუნტელაარი ერთგვარი სარეზერვო ვარიანტია იმ შემთხვევაში, თუკი "ვერდერიდან" **მიროსლავ კლოზეს** წაყვანა ვერ მოახერხა. სხვათა შორის, სწორედ "ვერდერია" ის კლუბი, რომელმაც საჯაროდ გამოთქვა ჰოლანდიელი ფორვარდის შეძენის სურვილი. თავის მხრივ, ბრემენელებისთვის ის კლოზეს ალტერნატივაა. ცხადია, რომ თუ "იუვე" კლოზეს იყიდის, ჰუნტელაარზე ხელს აიღებს.

აგენტ მორაბიტოს ინფორმაციები ამით არ ამოიწურება. ის ამტკიცებს, რომ ტურინელებს "ბორდოს" 22 წლის ნახევარმცველი **რიო მავუბაც** აინტერესებთ. მავუბას უკვე საფრანგეთის ნაკრებშიც უხმეს. მორაბიტოს ის ევროპის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად მიაჩნია: *"მავუბა ნამდვილი ტალანტია. თუმცა ისიც ვიცი, რომ "იუვენტუსის" გეგმებში არიან პალერმოელი ანდრეა ბარძალი და "კალიარის" მცველი მიკელე კანინიც".*

არსენალი

# ლიუნგბერგი შოკირებულია...


ლიუნგბერგი ამას არ ელოდა

"არსენალმა" **ფრედრიკ ლიუნგბერგი** ტრანსფერზე დააყენა. "მეთოფეთა" ერთ-ერთი ჩინოსნის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამბავი "ტრაიბალფუტბოლმა" გაავრცელა. ინკოგნიტო მოხელე შოკირებულია, რომ ალარაფერი ვთქვათ თავად ლიუნგბერგზე. აი, მისი კომენტარი:

*"ფრედი შოკშია და მორალურად განადგურებულია. რა თქმა უნდა, ის არ იყო კმაყოფილი იმით, რომ ამ სეზონში არსენ ვენგერი ნაკლებად ათამაშებდა, მაგრამ "არსენალისთვის" სულსა და გულს არ იშურებდა. ლიუნგბერგი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ კლუბი ასე ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტდა მის მოშორებას".*

იგივე ვებგვერდის ინფორმაციით, ლიუნგბერგს "მანჩესტერ იუნაიტედს", "ჩელსისა" და "ლივერპულს" შესთავაზებენ. ვენგერს სურს, შვედი იანვარშივე მოიცილოს. ლიუნგბერგი კვირაში 70 ათას გირვანქას იღებდა. "არსენალს" მისთვის არც ხელფასის დაკლების წინადადებით მიუმართავს, პირდაპირ კარისკენ...

სხვადასხვა ინფორმაციით, 29 წლის მოთამაშის ხელში ჩაგდებას "პორტსმუთი", "ნიუკასლი", "ევერტონი", "ვესტ ჰემი" და "უოტფორდიც" შეეცდებიან.

ბერლუსკონის თასი

# გახსოვთ დელ პიერო, ნედვედი, ტრეზეგე?..

## ბერლუსკონი ბერლუსკონის ჩაბარდა


მილანის კაპიტანი ჯენარო გატუზო და პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი

| მილანი-იუვენტუსი | 3:2 |
|---|---|

**მილანი:** კალაჩი (46. ფიორი), კაფუ (46. შიმიჩი), ბონერა, მალდინი (68. დარმიანი), იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ბროკი (82. ობამეიანგი), ზეედორფი, ინძაგი (78. ოლივეირა), ჯილარდინო (46. გურკუფი).

**იუვენტუსი:** ბუფონი (81. მირანტე), ბირინდელი, ბუმსონგი (43. ზებინა), კიელინი (16. კოვაჩი), ბალცარეტი, პალადინო (67. ბოჟინოვი), კ. ძანეტი (46. დე ჩელიე), პარო, ნედვედი, დელ პიერო (42. ვენიტუჩი), ტრეზეგე (46. სალაიეტა).

**გოლები:** 1:0 ინძაგი (29), 1:1 ნედვედი (40), 1:2 დელ პიერო (67), 2:2 ზეედორფი (68), 3:2 ობამეიანგი (86)

**მაყურებელი:** 39 000

მონატრებული "მილანი"-"იუვენტუსი" დროებით დაბრუნდა და წავიდა. წავიდა მომავალ სეზონამდე, ალბათ... მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო ამხანაგური თამაში იყო, ვიდრე ორი გუნდის მიერ ტრადიციადქცეული ტროფეის გათამაშება (ადრე, სეზონის დაწყებამდე ტარდებოდა, მაგრამ ცნობილი სკანდალის გამო, იანვრისთვის გადმოიტანეს), "სან სიროზე" მაყურებელმა მაინც მრავლად მოიყარა თავი და ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ მაყურებელს სერია B-ში გადახვეწილი "იუვეს" ნახვა და ძველი ინტრიგის შეგრძნება უფრო სწყუროდა.

**კარლო ანჩელოტისთვის**, როგორც თამაშის წინ აცხადებდა, ეს იყო ერთი ჩვეულებრივი საწვრთნელი მატჩი, რომელსაც სეზონის განახლებისთვის გუნდის მომზადების ხარისხი უნდა დაედგინა. **დიდიე დეშამისთვის** კი მატჩს გაცილებით მეტი მოტივაცია ჰქონდა და ესეც გასაგებია. ანუ, ეს იყო ლაკმუსის ქაღალდი საიმისოდ, თუ რა დონეზეა დღევანდელი "იუვენტუსი" და რამდენი სჭირდება მას იმისთვის, რათა მომავალ წელს ძველებურად შეეჭიდოს სერია A-ს სიმაღლეებს...

მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ანჩელოტიმ არ გარისკა და **კახა კალაძეს** ტრავმის ბოლომდე მოშუშების საშუალება მისცა. ანგარიში კი 29-ე წუთზე გაიხსნა. **ბროკის** გასწვრივი ჩაწოდების შემდეგ ბურთთან ყველაზე ადრე **ინძაგი** გაჩნდა და მიზანშიც მოარტყა. ამის შემდეგ, უფრო აქტიურად ათამაშდა "ბებერი ქალბატონის" ტრადიციული დამრტყმელი ტრიო - **დელ პიერო, ნედვედი** და **ტრეზეგე**. სწორედ მათ კომბინაციას მოჰყვა საპასუხო გოლი. ალექსმა "ტრეზეგოლს" გადააწოდა, რომლის დარტყმა **კალაჩმა** კი მოიგერია, მაგრამ ნედვედმა დამატება არ დააყოვნა - 1:1.

შესვენებისას რამდენიმე ცვლილება მოხდა, თუმცა თამაშს სიმწვავე არ დაუკარგავს, პირიქით. მეორე ტაიმის შუაში უკვე "იუვენტუსი" დაწინაურდა. **ბალცარეტის** მიერ ჩაწოდებულ ჯარიმას დელ პიერომ თავი დაუხვედრა და 2:1. მაგრამ "ქალბატონს" სიხარული არ აცალეს. იქვე, ერთ წუთში, **ზეედორფმა** ბროკის (მეორე საგოლე პასი) ჩაწოდებით ისარგებლა და თავურით გაათანაბრა. თავურითვე გავიდა მატჩის უკანასკნელი გოლიც. **ოლივეირას** გრძელ გადაცემას "მილანის" 19 წლის ფრანგი ფორვარდი **ვილი ობამეიანგი** გამოეხმაურა და **მირანტეს** (მატჩის მიწურულს **ბუფონი** შეცვალა) ახლო კუთხეში გაუტანა.

### დეშამმა იწუწუნა, ბერლუსკონიმ გააქარწყლა...

მატჩის შემდეგ დეშამი ორმაგად სწუხდა. ჯერ ერთი, რომ წააგო და მეორეც: "იუვეს" სამმა ძირითადმა მოთამაშემ ტრავმა მიიღო, ხოლო აქედან ორი - დაცვის ცენტრალური ფიგურაა: **ბუმსონგი** და **კიელინი**. რაც შეეხება **პალადინოს**, მან მარცხენა მუხლი დაიზიანა, თუმცა მისი მდგომარეობა იმდენად საგანგაშო არ არის.

*"რა თქმა უნდა, წაგება ნებისმიერ ვარიანტში ნეგატიური მოვლენაა, მაგრამ ამაზე მეტად ტრავმები მაფიქრებს, - თქვა დეშამმა პრესკონფერენციაზე, - არადა, წინ სერიოზული თამაშები გვაქვს. დაცვაში ორი ფეხბურთელის დანაკლისი ჩვენთვის უმძიმესი დარტყმაა. ჯერჯერობით, არ ვიცი, როგორ შევცვალო ბუმსონგი და კიელინი. პალადინოც უაღრესად საჭირო მოთამაშეა".*

დეშამი თავს მხოლოდ იმით იმშვიდებს, ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი ჯერ არ დამდგარა და რომ წინ კიდევ 25 მატჩია. ახლა კი "მილანის" ბანაკშიც შევიხედოთ. გამარჯვებით გახარებულმა **სილვიო ბერლუსკონიმ** საჭიროდ ჩათვალა, აქცენტი ანჩელოტის თემაზე გაეკეთებინა. მან გააქარწყლა ხმები, რომელიც კარლეტოს გარშემო აგორდა. "როსონერი" ცუდ სეზონს ატარებს (თუ არ ჩავთვლით, ბოლო ორ შთამბეჭდავ გამარჯვებას), რაც თავისთავად სვამს მწვრთნელის შესაძლო შეცვლის საკითხს. აი, რა ურჩია ჟურნალისტებს "მილანის" პატრონმა:

*"მინდა, კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვთქვა, რომ ანჩელოტის ბედი ტიტულებზე სულაც არ არის დამოკიდებული. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მას კლუბში უდიდეს პატივს სცემენ. კარლეტო "მილანის" დიდი ოჯახის წევრია, თავიდან - როგორც მოთამაშე, ახლა კი როგორც მწვრთნელი. ამიტომ, მე გთხოვდით, მწვრთნელის საკითხზე დებატებს თავი დაანებოთ".*

ბაიერნი. ახალი ამბები

# ჰიონესი რეალს ომს უცხადებს!

## პირველი ფრონტი: ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი! მეორე ფრონტი: ფრანკ რიბერი!

ბუნდესლიგის მეორე წრის დაწყებამდე ჯერ კიდევ 18 დღეა დარჩენილი. მიუხედავად ამისა, ერთი კაცი უკვე საუკეთესო ფორმაშია. საუბარია "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესზე**, რომელიც გუშინწინ 55 წლის გახდა. რეკორდმაისტერის ენაჭარტალა ბოსი გუნდთან ერთად დუბაიში იმყოფება და შეკრებას ხელმძღვანელობს. დაბადების დღეზე ულიმ თავს უფლება მისცა, ერთდროულად რამდენიმე მტრისთვის გამოეცხადებინა ომი. მისი მწარე ენის პირველი მსხვერპლი მადრიდის "რეალი" გახდა, გუნდი, რომელსაც ბავარიელები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დაუპირისპირდებიან.

მადრიდული გრანდის ხელმძღვანელებმა უკვე დაადასტურეს, რომ მარსელის "ოლიმპიკისა" და საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავის, **ფრანკ რიბერის** შეძენა უნდათ. 23 წლის შემტევი ნახევარმცველი თავის გუნდთან ერთად ახლა ზუსტად იქ იმყოფება, სადაც "ბაიერნი" გადის შეკრებას - დუბაიში. და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მისი შეძენა მიუნხენელებსაც სურთ. ფაქტია, რომ "რეალი" ახალგაზრდა ფრანგის ხელში ჩასაგდებად ყველაფერს გააკეთებს და საინტერესოა, შეუძლია თუ არა "ბაიერნს" მადრიდული კლუბისთვის კონკურენციის გაწევა. ჰიონესი: *"მე ყოველთვის ვამბობდი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ფეხბურთელს, რომლის შეძენაც მართლა გულით გვინდა, აუცილებლად მივიღებთ და მნიშვნელობა არა აქვს, კონკურენტი "რეალი" იქნება, თუ სხვა გუნდი."*

შეგახსენებთ, რომ მიუნხენელებს რიბერის შეძენა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე სურდათ და "მარსელის" ბოსებთან მოლაპარაკებები წამოიწყეს. თუმცა მაშინ ფრანგისთვის დიდი ფული ვერ გაიმეტეს და ტრანსფერიც გადაიდო. რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა, **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** მას მერე არაერთხელ აღნიშნა, რომ რიბერის რეგულარულად აკვირდება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ 23 წლის ფრანგ ნახევარმცველს "მარსელთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. მისი ფასი დაახლოებით 30 მილიონი ევროა. ბავარიელებს ზაფხულში უმაღლესი კლასის შუამარბის შეძენა უნდათ და ამისთვის სწორედ 30 მილიონი აქვთ გამოყოფილი.

ული ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ჯახსაც შეეხო: *"ვინც იტყვის, რომ "ბაიერნს" "რეალთან" შანსი არა აქვს, ნამდვილი სულელია და არ იცის, რაზე ლაპარაკობს. ასეთ ხალხს არ შევეკამათები. ჩვენ ვიცით, რაც შეგვიძლია."*

ჰიონესის ენის მეორე მსხვერპლი "ვერდერი" გამოდგა, გუნდი, რომელიც ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას და გერმანიაში "ბაიერნს" უდიდეს კონკურენციას უწევს. ცოტა ხნის წინათ ბავარიელებმა ბრემენულ გუნდს მცირე სატრანსფერო ომი მოუგეს, როცა მომავალი სეზონისთვის აახენელ **იან შლაუდრაფს** გაუფორმეს კონტრაქტი, ფეხბურთელს, რომლის გადაბირება "ვერდერსაც" უნდოდა. დაბადების დღეზე ჰიონესმა "მუსიკოსებს", რბილად რომ ვთქვათ, დასცინა: *"კუნთები ავათამაშეთ და დავამტკიცეთ, რომ "ბაიერნისთვის" ომის მოგება არც ისე იოლია. ამით ძალიან ვამაყობ."*

ჰიონესის შეტევები ამით არ დასრულებულა. შაბათსვე, ტელეკომპანია ARD-სთვის მიცემულ ინტერვიუში ული მთელ საფეხბურთო ევროპასა და ერთი სიტყვის, ყველას დაემუქრა "აგრესიული პოლიტიკით" და კიდევ "ისეთი რალაცეებით, რაც ყველას გააოგნებს", ოღონდ, "ბაიერნის" მენეჯერს არაფერი დაუკონკრეტებია და არ უთქვამს, რა იგულისხმა თუნდაც აგრესიულ პოლიტიკაში. ულიმ მხოლოდ ეს თქვა: *"ჩვენ დიდი მიზნები გვაქვს. ყველას მოვუწოდებ, თბილად ჩაიცვან, "ბაიერნი" დიდი ომების მოსაგებად ემზადება."* როგორც ჩანს, როცა ამ ყველაფერს ამბობდა, ულის დაავიწყდა, რომ ზაფხულში "რეალმა" "ბაიერნს" **რუუდ ვან ნისტელროი** თვალსა და ხელს შუაააცალა და ული ვერ იტყვის, რომ ჰოლანდიელი გოლეადორის შეძენა არ უნდოდა. ყველამ დაინახა, თუ როგორ გაასცურა ვან ნისტელროიმ ბავარიელები. და რაც შეეხება "ვერდერს", აგერ უკვე მეორე წელია, ბრემენული კლუბის შეფები უფრო ნაყოფიერ სატრანსფერო პოლიტიკას აწარმოებენ, ვიდრე ბავარიელები. თუნდაც **დიეგოსა** და **ნადლოს** მაგალითების მოყვანა რად ღირს, ფეხბურთელებისა, რომლებიც "მუსიკოსებმა" ძალიან იაფად იყიდეს და რომლებიც ძალიან გამოადგათ.

ამასობაში "ბაიერნის" პრეზიდენტმა, **ფრანც ბეკენბაუერმა** იან შლაუდრაფზე გააკეთა კომენტარი. როგორც იცით, ფეხბურთელმა, რომელიც მიუნხენური გიგანტის ღირსებას მომავალი სეზონიდან დაიცავს, "ბაიერნის" შეფებს მე-10 ნომერი მოსთხოვა. *"10-იანი ყველა გუნდისთვის სიმბოლური და ისტორიული ნომერია. ეს არის ნომერი, რომელიც დიდ გამთამაშებელს ან გუნდის უმთავრეს ლიდერს უნდა ჰქონდეს. ცხადია, ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია, ათიანზე იოცნებოს. მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო შლაუდრაფს, რომ ფეხბურთში მე-10 ნომერი ძალიან ძვირად ფასობს, ძალიან ბევრს იწონის და ამ ყველაფერთან ერთად, უდიდეს პასუხისმგებლობასა და უმძიმეს წნეხს ნიშნავს. ათიანს საჩუქრად ვერავინ მიიღებს! ფეხბურთელმა ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ასეთი პატივის ღირსია!"* - თქვა ბეკენბაუერმა, რითაც შლაუდრაფს მოუწოდა, როცა **მათეუსის** ნომერს ითხოვ, კარგად დაფიქრდი და ძალიან პრეტენზიული ნუ იქნებიო...

**გოტფრიდ ლენცი**


ჰიონესს რეალთან ჭიდაობა არ ბეზრდება

## სმერტინი ვესტ ჰემში, მასკერანო ბურუსში

"სქაი სპორტი" გვარწმუნებს, რომ გამოცდილი რუსი ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი მალე "ვესტ ჰემის" მაისურას მოირგებს. ჯერჯერობით, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ რუსეთის ნაკრების კაპიტანი მოსკოვის "დინამოში" აღარ ითამაშებს, ხოლო რაც შეეხება ალბიონურ პერსპექტივას, იქ მას ორწლინახევრიანი კონტრაქტის გაფორმებას უწინასწარმეტყველებენ.

**ხავიერ მასკერანოს** ბედი კი სრული ბურუსითაა მოცული. ინგლისური სააგენტოების ცნობით, არგენტინელი ფეხბურთელის თაობაზე მოსალაპარაკებლად, "იუვენტუსის" დელეგაცია ლონდონს გაემგზავრა. ამას გარდა, მასკერანოს გადასაბირებლად, "ლივერპულიც" ემზადება. მაგრამ მთავარი აქ ფიფას წესებია (მუხლი 5.3). საქმე ისაა, რომ ფეხბურთელს, ერთი საკონტრაქტო წლის (1 ივლისი-30 ივნისი) განმავლობაში, უფლება აქვს, ირიცხებოდეს სამ კლუბში, თუმცა ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობა მხოლოდ ორი კლუბის სახელით შეუძლია. 2006/07 წლების სეზონში მასკერანომ უკვე ითამაშა "კორინთიანსისა" და "ვესტ ჰემის" რიგებში. შესაბამისად, ის იძულებულია, სეზონი ლონდონში ჩაამთავროს. ვნახოთ, რა გამოსავალს მოუძებნიან არგენტინელ საყრდენს.

## სკოლარიმ გადაწყვეტილება მიიღო...

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** პორტუგალიის ნაკრებთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს. მოქმედი ხელშეკრულება მას 2008 წლის ივნისში უმთავრდება. სკოლარი გუნდს ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს. *"ვფიქრობ, გადაწყვეტილება ლოგიკურია, რადგან კონტრაქტი სწორედ 2008 წელს მეწურება. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მწვრთნელი ერთ რომელიმე კლუბსა ან ნაკრებში ხუთ-ექვს წელზე მეტს არ უნდა მუშაობდეს. პორტუგალიის ეროვნულ გუნდში გარკვეული სამუშაო ჩავატარე. ევროპის ჩემპიონატით ჩემი მისია სრულდება და უპრიანი იქნება, საქმე სხვა სპეციალისტმა გააგრძელოს,"* - თქვა სკოლარიმ "ბი-ბი-სისთან" ინტერვიუში.

## რა თქმა უნდა, დროგბა!

კოტ დ'ივუარის ნაკრებისა და "ჩელსის" ფორვარდი **დიდიე დროგბა** თავისი ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან 194 ქულა დააგროვა და დიდი უპირატესობით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ "ლილის" თავდამსხმელ **კადერ კეიტას** (68 ქულა). შემდეგ მოდიან: ლანსელი **არუნა დინდანი** (66), ტოტენჰემელი **დიდიე სოკორა** (48) და არსენალელი **კოლო ტურე** (46).

## სლოვენიას ახალი მწვრთნელი ჰყავს

სლოვენიის ნაკრების ახალ დამრიგებლად 45 წლის **მატიაჟ კეკი** დაინიშნა. ფეხბურთის ფედერაციამ მას 3-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. კეკს პირველი გამოცდა 7 თებერვალს, ესტონეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ექნება.

## ლივორნო უშვებს და იღებს

ლიტველმა ფორვარდმა **ტომას დანილევიჩუსმა** "ლივორნოდან" სერია B-ში მოასპარეზე "ბოლონიას" მიაშურა. ტრანსფერის საფუძველი 6-თვიანი იჯარაა. ამასთან, "ლივორნომ" ახალი ფეხბურთელიც მიიღო. ეს გახლავთ "მესინის" ნახევარმცველი **კარმინე კოპოლა**. ხელშეკრულების ფორმა ამ შემთხვევაშიც ნახევარწლიანი იჯარაა. შეგახსენებთ, რომ ტოსკანური კლუბი სერია A-ში მე-9 ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი აქვს.

## გადავა სავიოლა სპარტაკში?

"კალჩომერკატოს" ცნობით, მოსკოვის "სპარტაკი" **ხავიერ სავიოლაში** 10 მილიონ ევროს იხდის. "ბარსელონის" არგენტინელი ფორვარდი, თურმე, "სახალხო გუნდის" მთავარი სატრანსფერო სამიზნე ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ "ბაჭია" კატალონიური გრანდის დატოვებას აპირებს, ძნელად დასაჯერებელია, რომ თავი მაინც და მაინც "სპარტაკში" ამოჰყოს. სავიოლას გაცილებით სოლიდური კლუბები ეპატიჟებიან.

## ამაური და ესპოზიტო სეზონის ბოლომდე

"პალერმოს" მწვრთნელ **ფრანჩესკო გვიდოლინს** სერიოზული თავსატეხი გაუჩნდა. წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა, ბრაზილიელი ფორვარდი **კარვალიო ამაური** სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. თავიდან, ფეხბურთელის ტრავმა ასე მძიმე არ ჩანდა, თუმცა დეტალურმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ამაურის მუხლზე ოპერაცია სჭირდება. გვიდოლინი პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** ახალი ფორვარდის შეძენას სთხოვს. თუმცა ჭირვეულმა ბოსმა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ზამთარს ფულის დახარჯვას არ აპირებს.

ანალოგიური პრობლემის წინაშეა "კალიარიც". სარდინიულმა კლუბმა მარჯვენა გარემარბი **მაურო ესპოზიტო** დაკარგა. სეზონი მისთვისაც დასრულებულია. ესპოზიტოს სავარაუდო შემცვლელზე ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა.

## ვინ არის არტურო ლუპოლი?

იტალიური გრანდების ყურადღების ცენტრში 19 წლის ფორვადი **არტურო ლუპოლი** მოექცა. ეს ყმაწვილი "არსენალმა" "პარმიდან" მაშინ წაიყვანა, როცა ფეხბურთელს, იტალიური წესების თანახმად, პროფესიულ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების უფლება არ ჰქონდა. გასულ ზაფხულს, "მეთოფეებმა" ლუპოლი "დერბი ქაუნთიში" გაანათხოვრეს. და აი, შაბათს, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასზე, ახალგაზრდამ ჰეთ-თრიკი შეუსრულა "რექსჰემს" და უმალ აალაპარაკა იტალიური კლუბები. უფრო ადრე, მას ყურადღება "ნაპოლიმ" (წარმოშობით, მოთამაშე ნეაპოლიდანაა) მიაქცია, ახლა კი "ინტერისა" და "მილანის" მხრიდან დაინტერესებაზეც საუბრობენ.

## სპალეტი კიდევ 5 წლით

გაზეთ "ილ რომანისტას" ცნობით, **ლუჩანო სპალეტიმ** "ჯალოროსისთან" კონტრაქტი კიდევ 5 წლით გააგრძელა. გასულ წელს, მან უკვე გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც "რომაში" 2008 წლამდე უნდა ემუშავა. მხარეები ახალ კონტრაქტს ხელს მომავალ კვირაში მოაწერენ. შესაბამისად, სპალეტი "ტრიგორიაზე" 2013 წლის 30 ივნისამდე დარჩება. განისაზღვრა მწვრთნელის ჯამაგირიც: თავხოტორა ლუჩანო წლიურად 1.4 მილიონ გირვანქას მიიღებს.

## კანი: პენსია მოახლოვდა

**ოლივერ კანმა** განაცხადა, რომ ფეხბურთიდან 2008 წელს წავა. სწორედ ამ დროს იწურება კონტრაქტი, რომელიც მას "ბაიერნთან" აკავშირებს. როგორც იცით, "ტიტანმა" სანაკრებო (86 მატჩი) კარიერა გასულ წელს, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა.

*"კლუბთან ჯერ კიდევ კონტრაქტი მაქვს და მას პატივი უნდა ვცე. მისი ვადის ამოწურვის მომენტისთვის კი 39 წლის ვიქნები და მიმაჩნია, რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების დროც იქნება,"* - თქვა კანმა "ბილდთან" ინტერვიუში.

სავარაუდო გადაადგილება

# მოურინიოს ნაცვლად ჰიდინკიო...


ეროვნული ბიბლიოთეკა

გუუს ჰიდინკი

ბრიტანული ტაბლოიდი "სანდი მირორი" ამტკიცებს, რომ ამ სეზონის ბოლოს **ჟოზე მოურინიოს გუუს ჰიდინკი** შეცვლის. რაღა დაგიმალოთ და, ფრიად საეჭვო ვერსიაა. მაგრამ ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, ჩვენ კი ის გავარკვიოთ, თუ რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ამ, ვითომ მოსალოდნელ გადაადგილებას.

მოურინიოს "არისტოკრატებთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული. პირველ ორ სეზონში მან ორჯერ მოიგო პრემიერლიგა, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე ხელი მოეცარა. როგორი სურათია წელს? "ჩელსის" მძაფრი დუელი აქვს "მანჩესტერ იუნაიტედთან", რომელსაც ახლა 6 ქულით ჩამორჩება. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მოურინიოს გუნდი ლამის შუა მარათონში ინაღდებდა ტიტულს. ამ სეზონში, ჟოზეს ბიჭები ხშირად კარგავენ დაუგეგმავ ქულებს, რაც ჩემპიონობის საკითხს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მოკლედ, ამჟამინდელი "ჩელსი" უჩვეულოდ არასტაბილურია და რას იზამს ჩემპიონთა ლიგაში, ესეც ცალკე საკითხია. ამდენად, დიდია ალბათობა იმისი, რომ გაზაფხულზე სულაც უტიტულოდ დარჩეს. ასეთ შემთხვევაში, მთავარი იქნება **რომან აბრამოვიჩის** პოზიცია. აპატიებს ის მოურინიოს სეზონის ჩაგდებას? ჟოზემ ბოსისგან უკვე მიიღო დამაფიქრებელი მესიჯი. ახალი წლის წინ, აბრამოვიჩმა განაცხადა, რომ ტრანსფერებში დიდ ფულს აღარ დახარჯავს და რომ ანი, "ჩელსიმ" უფრო მეტი ყურადღება თავის აღსაზრდელებს უნდა დაუთმოს. როგორც ხედავთ, ოლიგარქი სტრატეგიას ცვლის. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ზღაპრული წინადადება აქვს "ინტერის" შეფ **მასიმო მორატის**, რომელმაც 71 მილიონი ევრო გაამზადა მოურინიოსა და ბარსელონელი **ლიონელ მესისთვის**, თუმც კი, პარალელურად ნდობას უცხადებს **რობერტო მანჩინის** (კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუგრძელებია).

სხვა საკითხია ჰიდინკი. ის ამჟამად რუსეთის ნაკრების მწვრთნელია. ჯერჯერობით, ჰიდინკმა გუნდს ხელი ვერ დაატყო, პლუს ამას, მოასწრო საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **ვიტალი მუტკოსთან** წაკინკლავებაც. ჰიდინკმა უკვე აღიარა, რომ რუსეთში იმაზე ცუდი სიტუაცია დახვდა, ვიდრე ელოდა. მაგრამ არის კი ეს მიზეზი იმისთვის, რომ პოსტი შუა საკვალიფიკაციო ეტაპზე მიატოვოს? პრინციპში, არც ესაა გამორიცხული, თუკი რუსეთის ნაკრები ჯგუფში საქმეს გაირთულებს. მოსამზადებელი პერიოდის გარეშე კი ჰიდინკი "ჩელსის" არ ჩაიბარებს. ის "მეხანძრე" არ არის...



რიობერი პატარა ფანების გარემოცვაში

დორტმუნდი. ახალი ამბები

# რიობერი ტაქტიკას ცვლის

დორტმუნდის "ბორუსიის" ახალმა მწვრთნელმა, **იურგენ რიობერმა** კიდევ ერთხელ განაცხადა, ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის, რომ გუნდის ხელმძღვანელებმა კონტრაქტი მხოლოდ სეზონის ბოლომდე გამიფორმეს და რომ დიდი შანსია, ზაფხულში ისევ უმუშევარი დავრჩეო. 53 წლის სპეციალისტი ამბობს, რომ მისთვის მთავარია, ამ მოკლე დროში მიაღწიოს წარმატებას და "ბორუსიას" ეს სეზონი მისთვის შესაფერის ადგილზე, მინიმუმ საუკეთესო ხუთეულში დაასრულებინოს. რიობერი, პირველ რიგში, ტაქტიკის შეცვლას გეგმავს. მისი აზრით, BVB-მ ტიპური 4-4-2-ით უნდა ითამაშოს. ახალ მწვრთნელს, ახალი სქემისთვის, ახალი ფავორიტიც ჰყავს: არც **პიენაარი**, არც **ფრაი** და არც **ვალდესი** - რიობერი მთავარ როლს ბრაზილიელ **ტინგას** ანიჭებს.

როგორც იცით, იურგენი დორტმუნდული კლუბის თავკაცად პირველი წრის დასრულების შემდეგ დაინიშნა და ამ პოსტზე ჰოლანდიელი **ბერტ ვან მარვიიკი** შეცვალა. მიმომხილველები თავიდანვე მიიჩნევდნენ, რომ რიობერი სათადარიგო ვარიანტი იყო - **ოტმარ ჰიტცფელდისა** და **თომას ფონ ჰეეზენის** შემდეგ. პირველმა მათგანმა "ბორუსიის" გაწვრთნაზე თავაზიანი უარი თქვა, უკანასკნელი კი "არმინიას" თავკაცობს და სეზონის ბოლომდე გუნდის გამოცვლა არ უნდა. ახლაც არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ BVB-ს ბოსები ფონ ჰეეზენს მოურიგდნენ და რომ სეზონის დასრულების შემდეგ რიობერი ისევ გუდა-ნაბადს აიკრავს, ვესტფალიურ გუნდს კი სწორედ ბილეფელდელთა ამჟამინდელი დამრიგებელი ჩაუდგება სათავეში.

*"ჩემი მიზანია, "ბორუსია" მისთვის შესაფერის ადგილზე გავიყვანო და მინიმუმ უეფას თასის საგზური მოვაპოვებინო. ეს ჩემთვის კიდევ ერთი შანსია, დავამტკიცო ჩემი შესაძლებლობები. თუკი ზაფხულში "ბორუსიას" ფონ ჰეეზენი ჩაიბარებს, ნამდვილად არ მეწყინება,"* - განუცხადა რიობერმა "რურ ნახრიხტენს". რაც შეეხება ახალ ტაქტიკას, აი, რას ამბობს BVB-ს თავკაცი: *"უპირატესობას 4-4-2-ს ვანიჭებ და "დორტმუნდსაც" სწორედ ამ ტაქტიკით ვათამაშებ. მიყვარს, როცა გუნდი ფლანგებიდან უტევს. ასეთ დროს ნახევარდაცვაშიც იშვიათად იქმნება ვაკუუმი. თანაც, საკმაოდ სწრაფი შუამარბები გვყავს, რაც ასეთი ტაქტიკით თამაშს კიდევ უფრო გაგვიიოლებს."* შეგახსენებთ, რომ ვან მარვიიკის ხელში დორტმუნდელები 4-3-3-ით თამაშობდნენ.

ნახევარდაცვის ცენტრალურ ზონაში ორიდან ერთი ადგილი ნამდვილად დაკავებულია: **სებასტიან კელი** ხუთთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ გამოჯანმრთელდა და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. რიობერისთვის კელი ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა. ფაქტია ისიც, რომ მარჯვენა ნახევარმცველი ტინგა იქნება, ფეხბურთელი, რომელიც დორტმუნდელებმა ზაფხულში "პორტო ალეგრედან" გადაიბირეს და რომელსაც BVB-ში **დავიდ ოდონკორის** შეცვლა დაევალა. მეტიც, რიობერის აზრით, ტინგა მის სქემაში მთავარი როლის შემსრულებელი იქნება.

"ბორუსიის" სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** თქმით, ვერცხლისწყალივით მოძრავმა და უაღრესად მებრძოლმა ნახევარმცველმა მასზე გაცემული ავანსები გაამართლა. ცორკს არ უკვირს, რომ ახალი მწვრთნელი მთავარი როლის შემსრულებლად სწორედ ტინგას მოიაზრებს. იმას, რომ შესანიშნავი სტარტის შემდეგ, ბრაზილიელმა ბოლო ტურებში მოუკლო და ერთი რიგითი მოთამაშე გახდა, ცორკი ასე ხსნის: *"ზაფხულში ძალიან დაიღალა და კაცმა რომ თქვას, დასვენებისთვის ძალიან ცოტა დრო ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, მეორე წრეში საუკეთესო იქნება."*

როგორც ყველა ბრაზილიელისგან, "ბორუსიის" ქომაგები თავიდან ტინგასგანაც დრიბლინგებსა და ტექნიკის დემონსტრირებას ელოდნენ. მართალია, ბრაზილიელს ორივე ეხერხება, მაგრამ ის უფრო მეომარი მოთამაშე და შავი მუშა გამოდგა, რომელიც არ იღლება და რომელსაც შეუძლია, 90 წუთის განმავლობაში შეუჩერებლად ირბინოს და იომოს. ფეხბურთელს, რომელშიც BVB-მ 3 მილიონ ევრომდე გადაიხადა, "ბორუსიის" ქომაგებმა "ბრაზილიელი გატუზო" შეარქვეს.

**გოტფრიდ ლენცი**

რეალი სხვა პლანით

# ორი კოცნა ბექჰემისგან

## გალაქტიკური რიტუალები

ისე, როგორც ფეხბურთელების დიდ ნაწილს, "რეალის" "გალაქტიკოებსაც" ახასიათებთ სხვადასხვა ცრურწმენები. აი, მაგალითად:

**დევიდ ბექჰემი** - როცა შეცვლაზე შედის ან გადის, თავის შემცვლელს ორჯერ კოცნის ლოყაზე.

**იკერ კასილიასი** - მაისურს სახელოებს მაკრატლით აჭრის ხოლმე.

**ფაბიო კანავარო** - იტალიელი მოედანზე ყოველთვის დიდი სისწრაფით შერბის. დანარჩენები კი მშვიდად შედიან.

**რობერტო კარლოსი** - მაისურს ყოველთვის გასახდელიდან მოედნისკენ მიმავალ გვირაბში იცვამს.

**რაული** - გასახდელსა და გუნდის ბაზას ყოველთვის ყველაზე ბოლოს ტოვებს.

**მაჰამადუ დიარა** - სანამ მსაჯი თამაშის დაწყების ნიშანს მისცემს, თვალებს ხუჭავს, ხელებს შლის და ლოცულობს.

**სერხიო რამოსი** - მოედანზე გასვლის შემდეგ საჩვენებელ თითს ყოველთვის ცისკენ იშვერს.

**რობინიო** - გუნდის ავტობუსში ყოველთვის სამბას უსმენს.

**ფაბიო კაპელო** - ვერ იტანს, როცა სათადარიგოთა სკამთან უსუფთაობაა. მადრიდელთა მწვრთნელს ფანატიკურად უყვარს სისუფთავე და წესრიგი. სანტიაგო ბერნაბეუზე, "რეალის" სათადარიგოთა სკამთან სანაგვე ყუთი სწორედ მას მერე დგას, რაც გუნდის მწვრთნელად კაპელო დაინიშნა...



რონალდო და ბექჰემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ლეგიონერები

# სამი ქულა ლიდერობამდე



კლერმონი-კასტრი

საშობაო არდადეგების შემდეგ საფრანგეთში სარაგბო ჩემპიონატი განახლდა. პირველი დივიზიონის მე -18 ტურში სეზონის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია დაფიქსირდა. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, "სტად ფრანსემ" სტუმრად წააგო აუტსაიდერ "ბაიონთან" - 27:29.

ამ გამარჯვებით ბასკურმა გუნდმა თავი დააღწია ბოლო ადგილს და ეს "პატივი" **მამუკა გორგოძის** "მონპელიეს" გადაულოცა. ლანგედოკელებმა ზედიზედ მეოთხე შეხვედრა დათმეს. ამჯერად სტუმრად ერთ-ერთ კონკურენტ "ნარბონთან" წააგეს - 9:32. "მონპელიე" რეგულარული გათამაშების დამთავრებამდე 8 ტურით ადრე რეალურად დადგა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხის წინაშე. გორგოძე ტრავმირებულია და "ნარბონთან" არ უთამაშია.

საკმაოდ უცნაური ანგარიშით დასრულდა მატჩი ბურგუენში. მასპინძელმა, **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი გიორგაძის** გუნდმა ქვეყნის ჩემპიონი "ბიარიცი" 9:0 დაამარცხა. ბასკები თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობდნენ და მით უფრო საკვირველია მათი ასეთი ცუდი შედეგიანობა, უფრო სწორად - უშედეგობა. მატჩის საბოლოო ანგარიში პირველი ტაიმისაა. ხინჩაგიშვილი და გიორგაძე განაცხადში არ ყოფილან.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ლიდერს მჭიდროდ მიუახლოვდა **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "კლერმონი". ვულკანებმა საკუთარ მოედანზე **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრი" დაამარცხეს 30:23. "კლერმონი" ერთპიროვნულ ლიდერ "სტად ფრანსეს" სულ სამი ქულით ჩამორჩება. "კასტრის" შემადგენლობაში მძიმე ტრავმის შემდეგ პირველად გამოჩნდა აქვსენტი გიორგაძე. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს. ძირითად შემადგენლობაში იყო კლერმონელი დავით ზირაქაშვილიც, ის 63-ე წუთზე შეცვალეს. შველიძეს არ უთამაშია.

სტუმრად "ბრივთან" გაიმარჯვა **ავთანდილ კოპალიანის** "მონტობანმა" 16:11. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური. ბურგუენი-ბიარიცი 9:0, ტულუზი-პერპინიანი 16:12, ბრივი-მონტობანი 11:16, ნარბონი-მონპელიე 32:9, ალბი-აჟენი 16:6, კლერმონი-კასტრი 30:23, ბაიონი-სტად ფრანსე 29:27.

1. სტად ფრანსე - 61 ქულა, **2. კლერმონი - 58**, 3. ტულუზი - 52, 4. პერპინიანი - 51 / 5. ბიარიცი - 48, **6. ბურგუენი - 44, 7. მონტობანი - 41**, 8. აჟენი - 37, 9. ალბი - 36, **10. კასტრი - 34**, 11. ნარბონი - 34, 12. ბრივი - 32 / 13. ბაიონი - 31, **14. მონპელიე - 28.**

მეორე დივიზიონში სატურნირო ცხრილს ისევ "ქართული" ტრიო ლიდერობს. პირველ ადგილზე ისევ **ილია ზედგინიძის** "ოშია", რომელმაც სტუმრად დაამარცხა **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგი" 30:16. ზედგინიძესა და მაგრაქველიძეს არ უთამაშიათ, აშვეთია 47-ე წუთზე შეცვალეს.

მეორე ადგილს ინარჩუნებს **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიე". ლანგედოკელებმა საკუთარ მოედანზე **მერაბ კვირიკაშვილის** ახალი გუნდი, "პო" მიიღეს და 33:9 დაამარცხეს. ქართველ მორაგბეებს ამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

მესამეადგილოსანმა, **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა" შინ დაამარცხა **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლი" - 32:10. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, კუთარაშვილი და ღვაბერიძე განაცხადში არ იყვნენ.

II დივიზიონი. XV ტური. ბეზიე-პო 33:9, ოიონაქსი-დაქსი 12:6, ტარბი-კოლომიე 28:22, ლიმოჟი-მონ დე მარსანი 13:19, ბორდო-ლა როშელი 13:27, გაიაკი-ლიონი 15:18, მეტრო რასინგი-ოშო 16:30, ტულონი-გრენობლი 32:10

**1. ოში-59 ქულა / 2. ბეზიე-47, 3. ტულონი-46**, 4. ლა როშელი-44, 5. დაქსი-41 / 6. ლიონი-40, 7. ოიონაქსი-40, 8. გაიაკი-35, 9. ტარბი-32,**10. მეტრო რასინგი-31, 11. გრენობლი-29, 12. ბორდო-28, 13. პო-25** / 14. ლიმოჟი-25, 15. მონ დე მარსანი-23, 16. კოლომიე-19.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## სუმო



ასე წააგო კოკაიმ

იანვრის ბაშო

# ტრიოს მარცხიანი სტარტი

გუშინ ტოკიოში სუმოისტთა წლის პირველი სუპერტურნირი, იანვრის ბაშო დაიწყო. სამწუხაროდ, ყოფილი კომუსუბის, ახლა კი დასავლეთის მეხუთე მაეგაშირას, **ლევან ცაგურიას (კოკაი)** სტარტი მარცხიანი აღმოჩნდა. მან იაპონიის ყველაზე პოპულარულ სუმოისტ **ტაკამისაკარისთან** წააგო. ბრძოლა 6 წამი გაგრძელდა, კოკაი იორიტაოშის ილეთით დამარცხდა.

ბაშოსთვის კოკაიმ წონა დაიგდო (დაახლოებით ათი კილო), რაზეც კლუბ "მუსაშიმარუს" მწვრთნელმა იხუმრა, ეს იმიტომ, რომ პირი გაიპარსაო. კოკაი ტაკამისაკარის მიაწვა, თუმცა მეტოქეს საკმაოდ დაბალი დგომა ჰქონდა შერჩეული და არ წაიქცა, შემდეგ აქეთ შეუტია ქართველს და ორივე ძირს დაენარცხა. მსაჯებმა ჩათვალეს, რომ კოკაის მარჯვენა მუხლი ოდნავ უფრო ადრე შეეხო დოჰიოს. დღეს კოკაის მეტოქეა მეექვსე მაეგაშირა **ტოჩინონადა**.

წააგეს რანგით მესამე, მაკუშიტას დივიზიონში მოჭიდავე 19 წლის ქართველებმაც. **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** სოტაირიუსთან დამარცხდა, **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** - იუკანთან. ტოჩინოშინის მარცხი საეჭვო იყო - შეეხო თუ არა ხელით დოჰიოს, კარგად არ ჩანს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**იანვრის სუპერტურნირი**

(ჰაცუ ბაშო) 7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

I დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი - ტაკამისაკარი 0:1 (იორიტაოში, 6,3 წამი), ასაშორიუ - როჰო 1:0, კოტოოშუ - კისენოსატო 1:0, კოტოშოგიკუ - ტოჩიაძუმა 1:0, კაიო - დეჯიმა 1:0, ჩიოტაიკაი - ტოკიტენკუ 1:0, ჰაკუჰო - ამინიშიკი 1:0, კიოკუტენჰო - კოტომიცუკი 1:0, ბარუტო - მიაბიამა 1:0, ამა - ჰომაშო 1:0, ტოჩინონადა - ასასეკირიუ 1:0, კასუგაო - ფუტენო 1:0, კაკურიუ - ტაკეკაძე 1:0.**

II დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი - ტოჩინონადა, ასაშორიუ - კოტოშოგიკუ, ტოჩიაძუმა - როჰო, კაიო - კისენოსატო, ჩიოტაიკაი - მიაბიამა, ჰაკუჰო - დეჯიმა, კოტოოშუ - ტოკიტენკუ, კოტომიცუკი - ამინიშიკი, ბარუტო - ჰომაშო, კიოკუტენჰო - ამა, ტაკამისაკარი - ასასეკირიუ.**

## ჭადრაკი

### შეკითხვა დღეის

### ჭადრაკის მფარველი კაისა

**შეკითხვა:** ჭადრაკის ქალღმერთად კაისა ითვლება. გვაინტერესებს, რა უდევს საფუძვლად ამ ლეგენდას?

*გია და ირმა კაპანაძეები, ჭიათურა.*

**პასუხი:** *ჭადრაკის ქალღმერთად კაისას გამოცხადება უკავშირდება ინგლისელი ორიენტალისტის* **უ. ჯონსის** *სახელს, რომელმაც სანსკრიტული წყაროების მიხედვით, პირველმა შეისწავლა ჭადრაკის უძველესი ფორმა, ჩატურანგა და დაწერა პოემა ჭადრაკზე. სწორედ ამ პოემაშია ნათქვამი, რომ ომის ღმერთი მარსი მოიხიბლა დრიადა კაისას სილამაზით, მაგრამ მისი გული მხოლოდ ჭადრაკის გამოგონებით მოიგო. შემდგომ ყველამ იწამა ქალღმერთი კაისა, როგორც ჭადრაკის მფარველი.*

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი**

**დავით გოგილაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

პაულ კერესის მემორიალი

# მალხაზი A ჯგუფშია, მაკა ლიდერობს







ფოტოები ტალინიდან: მაკა ფურცელაძე და მალხაზ სულაშვილი

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში დიდი ესტონელი მოჭადრაკის, **პაულ კერესის** სახელობის მემორიალი დაიწყო. როგორც შაბათს გაცნობეთ, ამ ტურნირზე ორგანიზატორებმა ორი ქართველი მოჭადრაკე მიიწვიეს - **მაკა ფურცელაძე** და **მალხაზ სულაშვილი**. მემორიალი სხვადასხვა კატეგორიის სამ ტურნირს მოიცავს - 30 მოჭადრაკე A, B და C ჯგუფებშია გადანაწილებული. პირველ ორ ჯგუფში მონაწილეები რეიტინგის მიხედვით მოხვდნენ, მესამე კატეგორიაში კი ქალები არიან.

ამაზე შაბათს მოგახსენეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, A ჯგუფის რამდენიმე მოჭადრაკემ ბოლო მომენტში იუარა ტალინში ჩასვლა, რის გამოც ქვედა ჯგუფიდან სამი მოჭადრაკე დაწინაურდა - მათ შორის, მალხაზ სულაშვილიც. ცხადია, B ჯგუფმაც განიცადა ცვლილებები, მაგრამ ეს ჩვენთვის უკვე ნაკლებადაა მნიშვნელოვანი, რადგანაც ჩვენებური იქ აღარავინ დარჩა. მაკა ფურცელაძე C ჯგუფში კი დარჩა, მაგრამ აქ ცვლილება იმით გამოიხატა, რომ სამმა მამაკაცმა ჩაანაცვლა ამდენივე ქალბატონი...

სულაშვილმა პირველ ტურში მოუგო ლიტველ დიდოსტატ **შარუნას სულკისს**, რომლის რეიტინგი ქართველზე ბევრად მეტია (2525-2455) მეორეში კი კიდევ უფრო მეტის მქონესთან, უკრაინელ **ეგორ ტიმოშენკოსთან** (2563) ქულა გაიყო. მერაბი მესამე ტურში შავებით ესტონელ **ალექსანდრ ვოლოდინს** (2354) ხვდება. სხვათა შორის, გუშინ ორი ტური გაიმართა - მეორე და მესამე, მესამე კი გვიან დაიწყო და დღევანდელი ნომრისთვის ვერ მოესწრო.

A ჯგუფში უდანაკარგოდ ლიდერობს ესტონეთის უძლიერესი მოჭადრაკე **კაიდო კულაოტსი** (2525), მეორე-მეოთხე ადგილებს სულაშვილთან ერთად ესტონელი **ოლავ სეეპი** (2458) და ტიმოშენკო (2563) იყოფენ.

ჯერჯერობით უდანაკარგოდაა **მაკა ფურცელაძე** (2308) - მან ორივე პარტიაში იმარჯვა და ორივეში მამაკაცები დაამარცხა. ქართველმა გოგონამ რუსი **კირილ ანენკოვს** (2284), აჯობა, მერე კი - ესტონელ **იგორ შვირიოვს** (2418). მაკა ორივე პარტიაში თეთრებით იყო, მესამეში კი შავებით ხვდებოდა ყველაზე დაბალრეიტინგიან ესტონელს - ვაჰტრა **ტუულას** (2050). ქულანახევრით მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ ესტონელი **სერგეი ჟუკინი** (2357); ესტონელი **კატარინა სკინკა** (2132) და ლატვიელი **დემიანტე დაულიტე** (2190).

**ზვიად შათირიშვილი**

# საშობაო ზღაპარი

7 იანვარი. სპორტის სასახლე.
800 მაყურებელი

**საქართველო-ლატვია 29:32**

საქართველო: თევზაძე, სამყურაშვილი; ქობელაშვილი (4), ყიფიანი, ტალახაძე (2), ჭანტურია (5), კირილოვი (1), რუსია (8), გელაშვილი (6), ბოყოჩაძე (3), ნივნივაძე, ნიკოლაიშვილი, კობახიძე, მსხვილიძე

ლატვია: ტიპანოვსი, ბრაჟნიკოვსი; ვადზიტისი (3), ვალკოვსკისი (4), ვერშაკოვსი (5), უშჩინსი (10), იურჯისი (1), ან. კუზმინსი (4), ლიბერგსი, პავლოვიჩსი, ალ. კუზმინსი, კლეჟნიკსი (4), სტრაუმე, ლილიენფელდსი.

მსაჯები: ქრისტიან კაშუტცი, გერჰარდ რაიზინგერი (ავსტრია)

დელეგატი: მუსტაფა ბალაკი (თურქეთი)

*პირველი გვერდიდან*

შეხვედრა ისე დაიწყო, უკეთესს ვერც ვინატრებდით. ბურთი ქართველმა ხელბურთელებმა შეიყვანეს თამაშში და პირველსავე შეტევაში, საქართველოს ნაკრების ბელარუსმა ახალწვეულმა **სერგეი კირილოვმა** პენალტი მოინადირა, **ვლადიმერ რუსიამ** გაიტანა, საპასუხო შეტევაში კი ჩვენმა გოლკიპერმა **შოთა თევზაძემ** მოიგერია ბურთი, რომელიც მეტოქის ნახევარზე მყოფმა **რეზო ჭანტურიამ** მიიღო და ლატვიელთა 39 წლის გოლკიპერ **ბრაჟნიკოვსს** მეორედ მოუხდა ბადიდან ბურთის გამოტანა - 2:0.

იქვე, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე თევზაძემ კიდევ ორი რთული დარტყმა მოიგერია, მაგრამ ორივეჯერ ლატვიელებმა მოიპოვეს ასხლეტილი ბურთი და ჯერ შეამცირეს სხვაობა, მერე გაათანაბრეს და წინაც გავიდნენ. ამის შემდეგ, მატჩი საკმაოდ დაძაბულად, გოლი გოლის წილ მიდიოდა.

მართალია, სტუმრები კარგა ხნის განმავლობაში წინ იყვნენ, მაგრამ ერთ ბურთზე მეტით დაწინაურებას ვერ ახერხებდნენ. თუმცა, 10:10-ზე, მსაჯებმა **დავით ნიკოლაიშვილი** ორი წუთით გააძევეს, სტუმართა მეკარემ ორი დარტყმა აგვილო, ლატვიელებმა კი ზედიზედ ორი გაგვიტანეს და 12:10 დაწინაურდნენ. ოდნავ მოგვიანებით, ჯერ კირილოვი გაუშვეს არბიტრებმა ორწუთიანში, შემდეგ კი მოედანზე შევარდნილ მწვრთნელ **ირაკლი კეკელიძეს** უჩვენეს წითელი ბარათი და საქართველოს ნაკრები მოედანზე ორი კაცით ნაკლები დარჩა (მწვრთნელისთვის წითელი ბარათის ჩვენების დროს ერთ-ერთი ხელბურთელი უნდა გავიდეს მოედნიდან ორი წუთით). ბარემ აქვე ვთქვათ, მსაჯებმა თავიდან კარგად კი დაიწყეს, მაგრამ მერე, ცოტა არ იყოს, აურიეს სტუმართა სასარგებლოდ...

ორკაცნაკლულობის მიუხედავად, ჯერ რუსიამ შეამცირა სხვაობა, მერე **ლევან გელაშვილმა** გაათანაბრა, ხოლო მოედანზე დაბრუნებულმა კირილოვმა თავისი პირველი ქართული გოლით ჩვენი ნაკრები კვლავ წინ გაიყვანა - 13:12.

ქართველებს მცირე უპირატესობა ტაიმის ბოლომდე აღარ გაუშვიათ ხელიდან და შესვენებამდე 50 წამით ადრე, რუსიას გოლმა 15:14 დაგვაწინაურა. საპასუხო შეტევაში, ლატვიელებმა ბევრი კი უტრიალეს ქართველთა კარს, თუმცა, ბოლო წამებზე ბურთი დაკარგეს და მეტოქის კარს მიახლოებულ ჭანტურიაზე პენალტიც აიკიდეს. შვიდმეტრიანის დარტყმა კვლავ რუსიამ იკისრა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა და საქართველოს ნაკრები გასახდელისკენ მხოლოდ მინიმალური სხვაობით გაეშურა.

მეორე ტაიმი **გიორგი ქობელაშვილის** გოლმა გახსნა და ჩვენი გუნდი კიდევ ერთხელ დაწინაურდა ორბურთიანი სხვაობით. ქობელაშვილი ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა პირველ ტაიმში კუთხიდან ორი ბრწყინვალე გოლი გაიტანა და საერთოდაც, მთელი შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარა ვლადიმერ რუსიასთან ერთად. ქობელაშვილს მხარი აუბეს **აკაკი ტალახაძემ**, რუსიამ და **ალექსანდრე ბოყოჩაძემ**, მალე საქართველოს ნაკრები ოთხბურთიანი სხვაობით დაწინაურდა 19:15. სამწუხაროდ, სწორედ ამ მომენტში იჩინა თავი გაუგებრობამ და ტაბლოს მომსახურე პერსონალის დაუდევრობამ, რომელთაც სტუმრებს ერთი გოლით მეტი დაუწერეს (19:16). არადა, ოთხი ჟურნალისტი ვითვლიდით გოლებს და ოთხივე, სადაც გნებავთ დავიფიცებთ, შეხვედრა ლატვიელებმა მოიგეს არა 32:29 (როგორც ტაბლომ აღნიშნა და როგორც ოფიციალურად დაფიქსირდა ოქმში), არამედ 31:29. კიდევ კარგი, მატჩი ფრედ არ დასრულდა, ან ერთი ბურთით არ წავაგეთ.

ემ ეპიზოდისთვის ჟურნალისტების გარდა ყურადღება არავის არ მიუქცევია, არადა, ამის შემდეგ ლატვიელებმა ორჯერ გააპროტესტეს ანგარიში ტაბლოზე, ორჯერვე აღმოაჩინეს, რომ თითო გოლი დაკლებული ჰქონდათ და თავისიც გაიტანეს - ეს მოხდა მაშინ, როცა ანგარიში იყო (19:19 და 28:30).

ტაბლოსთან დაკავშირებულმა კამათმა, შემდეგ **ომარ ყიფიანის** გაძევებამ და ჩვენი ნაკრების მოდუნებამ ის გამოიწვია, რომ სამბურთიანი უპირატესობა გავფლანგეთ და კვლავ მდევრის როლში აღმოვჩნდით. მართალია, დასრულებამდე 13 წუთით ადრე **რეზო ჭანტურიას** ზედიზედ სამმა სწრაფმა გარღვევამ და სამმა გოლმა 26:24 დაგვაწინაურა, მაგრამ ბოლოს თავი იჩინა მასპინძელთა დაღლილობამ და მოკლე სათადარიგოთა სკამის პრობლემამ.

გამოცდილმა ლატვიელებმა ამით ისარგებლეს და შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს მატჩის ბედი - **უშჩინსკიმ** თანაგუნდელები 31:28 დააწინაურა. დარჩენილ დროში, ქართველებს კიდევ ჰქონდათ შეხვედრის გადარჩენის შანსი, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით გაფლანგეს სამი მშვენიერი მომენტი. ბოლო წამებზე რუსიას შორეული დარტყმით გატანილმა გოლმა კი მხოლოდ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ამრიგად, ზედიზედ მეორე მატჩი წავაგეთ და ახლა თუკი ფლეი ოფში გასვლა გვინდა, დარჩენილი ოთხივე მატჩის მოგებაა საჭირო, რაც ურთულესი (ალბათ, შეუძლებელი) საქმე იქნება.

**III შესარჩევი ჯგუფი**

7 იანვარი

**ბულგარეთი-რუმინეთი 24:30**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 2 | 2 | 0 | 0 | 70-49 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 68-48 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 48-68 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 49-70 | 0 |

**მესამე ტური**

10 იანვარი

**ბულგარეთი-ლატვია**

12 იანვარი

15:30. სპორტის სასახლე

**საქართველო-რუმინეთი**



ვლადიმერ რუსიას თითო მცველი მაინც კისერზე ჰყავდა ჩამოკიდებული



გიორგი ქობელაშვილის გოლი



სათადარიგოთა სკამთან: ომარ ყიფიანი (4) და მერაბ მეტრეველი



რევაზ ჭანტურიას გარღვევა

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

## მწვრთნელები მატჩის შემდეგ

# პოპლა, ჩვენ ვარსებობთ!

**მერაბ მეტრეველი**
საქართველო

- სამწუხაროდ, ლატვიაში განცდილმა გამანადგურებელმა მარცხმა გუნდზე საკმაოდ ცუდად იმოქმედა. ძნელი იყო ხელბურთელებისთვის შთაგვეგონებინა, რომ მიუხედავად ამისა, ლატვიელთა დამარცხება შეგვეძლო. თუმცა, მაინც შევძელით გუნდის საბრძოლო სულისკვეთებით განწყობა და როგორც ნახეთ, ცოტა რომ გაგვმართლებოდა, დღეს არ უნდა წაგვეგო.

ძალიან დაგვაკლდნენ ტრავმირებული ხელბურთელები. სერგო დათუკიშვილი მაინც რომ გვყოლოდა, ლატვიაშიც და თბილისშიც სულ სხვა ტაქტიკით ვითამაშებდით და ახლა უქულოდ ნამდვილად არ ვიქნებოდით. ანდა, რატი მსხვილიძეს რომ არ მიეღო ლატვიაში ტრავმა, დღეს ისიც დიდ დახმარებას გაგვიწევდა. თავისი კვალი დაგვატყო მოკლე სათადარიგოთა სკამმა და შეუთამაშებლობამაც. სამწუხაროდ, ოფიციალურ მატჩებამდე ერთი საერთაშორისო საკონტროლო მატჩის გამართვის საშუალებაც არ მოგვეცა. შესაბამისად, ახალგაზრდებს ბოლომდე ვერ ვენდე, რადგან არ ვიცოდი, როგორ ითამაშებდნენ ასეთ დაძაბულ და საპასუხისმგებლო შეხვედრებში. ამიტომაც, ისევ ვეტერან, გამოცდილ ხელბურთელებზე გადაგვქონდა აქცენტი და კრიტიკულ მომენტებში ვერ ვცვლიდით.

მთლიანობაში, უკმაყოფილო დავრჩი მსაჯობითაც. ამას გარდა, საკადრო პრობლემების გამო, ზოგიერთ ხელბურთელს იძულებით ვათამაშებდით მათთვის უჩვეულო ამპლუაში. მაგალითად, ლევან გელაშვილს გამთამაშებლად არასდროს უთამაშია, მაგრამ სხვა გზა რომ ვერ ვნახეთ, ამ პოზიციაზე გამოვიყენეთ. ლატვიელებს კი ასეთი პრობლემები ნაკლებად აწუხებდათ, კლასითაც გვაჯობეს და ძირითადად, სწორედ უკეთესი საშემსრულებლო ოსტატობის ხარჯზე მოგვიგეს.

ისე, ლატვიელებს რომ ჰკითხოთ, ჯგუფში პირველ ადგილზე აქვთ პრეტენზია და რუმინეთთანაც გამარჯვებას აპირებენ. მართალია, ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთ, მაგრამ ლატვიელებს რუმინელთა შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ და თუკი მართლაც მათზე ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაშინ ჯერაც შეიძლება ფლეი ოფზე ფიქრი. რუმინეთისა და ბულგარეთის მატჩის ვიდეოფირს ამ დღეებში მივიღებთ და საკუთარი თვალით ვნახავთ, თუ რას წარმოადგენენ.

ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ დარჩენილი მატჩებიდან ყველაში, მხოლოდ და მხოლოდ, მოსაგებად ვიბრძოლოთ და ასეც იქნება. თუკი ახლა ფლეი ოფში ვერ გავედით, ეს, რა თქმა უნდა, არ იქნება სასიამოვნო, მაგრამ არც ტრაგედიად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ გვყავს საკმაოდ კარგი, ნიჭიერი ხელბურთელები და ამ ეტაპზე მთავარი ისაა, ქართველ გულშემატკივარს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ რომ შევახსენეთ: საქართველოს ნაკრები არსებობს! აი, მომავალ შესარჩევ ციკლში კი ფორმატიც იცვლება და ისეთი გუნდი გვეყოლება, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის რეალური ამბიცია ექნება. მოკლედ, ვაშენებთ მომავლის გუნდს და ამაში ყველა გვერდში უნდა დაგვიდგეს.

**ანდრის გულბისი**
ლატვია

- საკმაოდ დაძაბული მატჩი იყო და ჩემი აზრით, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ვიმედოვნებ, ასე გავაგრძელებთ. თუმცა, საქართველოს ნაკრებმა თბილისურ მატჩში არაერთი თავსატეხი გაგვიჩინა. როგორც ვიცი, სათანადო პირობები არ გაქვთ, თორემ გაცილებით ძლიერი გუნდი უნდა გყავდეთ. საქართველოს ნაკრებიდან განსაკუთრებით მომეწონა ვლადიმერ რუსია და მეკარე შოთა თევზაძე.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

# ცქიტიშვილი სევილიელებს შეუერთდა

პარასკევს **ნიკა ცქიტიშვილის** სევილიურ "კახა სან ფერნანდოში" გადასვლის ამბავი გაცნობეთ. ნიკა ამერიკაში ესპანეთის ვიზის მიღებას ელოდა და სევილიაში შუა კვირაში უნდა ჩასულიყო. თუმცა, ცქიტიშვილმა ყველა საბუთი დროულად მოაწესრიგა და თანაკლუბელებს ესპანეთის ქალაქ გრანადაში გუშინ შეუერთდა. ცქიტო ჯერ დენვერიდან ლოს ანჯელესში გადავიდა, იქიდან პარიზში ჩაფრინდა, შემდეგ მადრიდის გავლით გრანადაში მოხვდა. საქმე ისაა, რომ სევილიელებს წუხელ "გრანადასთან" მნიშვნელოვანი გასვლითი მატჩი ჰქონდათ - გამარჯვებული ესპანეთის სამეფო თასზე ხვდებოდა (ამ ტურნირში 8 გუნდი ითამაშებს).

"კახას" ხელმძღვანელებმა ნიკას განაცხადში შეყვანის საკითხი ქართველის ევროპაში ჩამოსვლამდე მოაგვარეს. მწვრთნელის, **მანელ კომასის** თანდასწრებით ცქიტომ გრანადაში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და გუნდის თავკაცმა ისიც თქვა, რომ თუ დასჭირდა, ახალწვეულს გრანადელებთან მატჩშივე დაიხმარებდა...

თავად ცქიტიშვილი დახვედრით კმაყოფილია, მწვრთნელის ნდობას გრძნობს და იმედი აქვს, რომ "კახა სან ფერნანდოში" საკმარის სათამაშო დროს გამოუყოფენ და შესაძლებლობებს სრულად გამოავლენს. იგი სევილიურ კლუბში სეზონის ბოლომდე გაჩერდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*P.S. "კახამ" წუხელ "გრანადა" 104:100 დაამარცხა. ნიკა ცქიტიშვილი, 8 ნომრით, სევილიელთა განაცხადში იყო და სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ არ უთამაშია.*



ნიკა ცქიტიშვილი

ასაკობრივი ნაკრებები

# კადეტები კრეტაზე, ახალგაზრდები სლოვენიაში

ფიბა-ევროპამ დაამტკიცა 2007 წლის კალენდარი, რომელშიც სხვადასხვა ტურნირების გამართვის თარიღებია მოცემული. ჩვენთვის საინტერესოა სანაკრებო მატჩების განრიგი.

ეროვნულ გუნდს B დივიზიონის ჯგუფური შეხვედრების გამართვა 21 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე რომ მოუწევს, უკვე მოგახსენეთ. უმცროსი ასაკის ნაკრებთა 2007 წლის მატჩებზე ახლა გესაუბრებით. ფიბა-ევროპის კალენდარში მოცემულია როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა 16, 18 და 20-წლამდელთა ტურნირების გამართვის თარიღები. კალათბურთის ფედერაციაში შევიტყვეთ, რომ გაისად ეროვნულის გარდა მხოლოდ კადეტთა და ახალგაზრდული ვაჟთა ნაკრებები იასპარეზებენ. ჭაბუკებისა და ქალთა გუნდები შესარჩევ ტურნირებში ფინანსური პრობლემების გამო ვერ გამოვლენ.

ასე და ამგვარად, ჩვენი ინტერესების სფეროში 16 და 20-წლამდელების შეჯიბრებებია. შარშან კადეტებმაც და ახალგაზრდებმაც A დივიზიონის (ანუ ევროპის ჩემპიონატის) საგზური მოიპოვეს და წელს ევროპის უძლიერეს გუნდებთან მოუწევთ გაჯიბრება.

**კადეტთა ნაკრები,** რომელიც ძირითადად 1991 წელს დაბადებულებით დაკომპლექტდება, ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე გაემგზავრება. შეჯიბრება 20 ივლისს დაიწყება და 29-მდე გასტანს. ტურნირში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ნაკრებები საწყის ეტაპზე ოთხგუნდიან ოთხ ჯგუფად დაიყოფა. ქართველთა მთავარი მიზანი A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იქნება, რისთვისაც ბოლო ორი ადგილისთვის თავის არიდებაც საკმარისია.

2006 წელს ნაჩვენები წარმატების შედეგად, კადეტთა მთავარმა მწვრთნელმა, **ნიკო ჩერქეზიშვილმა** თანამდებობა შეინარჩუნა და საბერძნეთში 16-წლამდელებს სწორედ ის წაიყვანს. შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდს შემორჩა **ნიკა მეტრეველი,** რომელიც იტალიურ "რიმინიში" თამაშობს და ესტონეთში B დივიზიონის საუკეთესო ცენტრად აღიარეს.

**ახალგაზრდული ნაკრები** ევროპის ჩემპიონატს სლოვენიურ ნოვა გორიცაში ითამაშებს. ტურნირი 6-15 ივლისს გაიმართება. გათამაშების სისტემა კადეტთა სისტემის იდენტურია - 16 გუნდი ოთხ ჯგუფად დანაწილდება. მიზანიც იგივე იქნება - მე-15 და მე-16 ადგილებისთვის თავის არიდება.

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად 2007 წელსაც იმუშავებს **დავით უსტიაშვილი,** რომელიც პირველ გუნდში **გორდონ ჰერბერტის** ერთ-ერთი თანაშემწეა. 2006 წლის შემდეგ 20-წლამდელთა ნაკრები ყველა ლიდერმა დატოვა - **ვიქტორ სანიკიძემ, მანუჩარ მარკოიშვილმა, გიორგი ცინცაძემ, ლაშა გამყრელიძემ...** ძველი შემადგენლობიდან გუნდში დარჩნენ **მიხეილ ჭოჭუა** და **რევაზ დიდია,** რომლებსაც ევროპის ჩემპიონატისთვის უნივერსიტეტელები **მიხეილ ბერიშვილი** და **რიჩარდ მათიაშვილი,** მაკაბელი **გიორგი შერმადინი,** "პენსაკოლელი" (აშშ-ს კოლეჯების ლიგა) **ლაშა ფარლალავა** და სხვები დაემატებიან...

**ვაჟა სიმონიშვილი**

**დ**ასასრული ყველაფერს აქვს და "ატლანტა ჰოქსის" წარუმატებელი სერიაც, ადრე თუ გვიან ისტორიის კუთვნილება უნდა გამხდარიყო. **მაიკ ვუდსონის** გუნდმა წინა თვის ჩაგდების მერე იანვარში თამაშის ხარისხი ოდნავ მაინც გააუმჯობესა და ეს "ტორონტოსთან" წაგებულ შეხვედრაშიც გამოჩნდა.

კანადელებთან "ატლანტას" რამდენიმე საკვანძო ეპიზოდში არ გაუმართლა. დავიწყოთ იმით, რომ ვუდსონი ნამატჩევს ამბობდა, მსაჯების მიმართ პრეტენზიებს არასოდეს გამოვხატავ, მაგრამ დღეს ჩვენი მაღლები, რბილად რომ ვთქვათ, დაჩაგრესო.

შეხვედრაში იყო ეპიზოდი, როდესაც **ზაზა ფაჩულია ქრის ბოშზე** ზედიზედ სამჯერ დაჯარიმდა, ხოლო როდესაც ვუდსონმა საქართველოს ნაკრების ლიდერის ნაცვლად "რეპტორზის" სუპერვარსკვლავს **ლორენცენ რაიტი** ამოუყენა გვერდით, ბოშმა სწრაფი ფოლი ამ უკანასკნელსაც მიალებინა.

ამასთან ერთად, **ჯო ჯონსონს** სამქულიანი არ ჩაუთვალეს (?!). რეფერი ჯეისონ ფილიპსმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ჯონსონს სროლისას **ხუან კალდერონისთვის** მუხლში ფეხი გაურტყამს. აი, თურმე ასეთებიც ხდება.

სხვა მხრივ კი აღნიშნულ მატჩს "ატლანტისთვის" ჭკუის სწავლების გარდა, ბევრი ვერაფერი დატვირთვა ჰქონდა. იმავე ფაჩულიამ ძალიან პასიურად ითამაშა და "ტორონტოს" სოლიდური უპირატესობა რომ არ მოეპოვებინა, ზაზას იქნებ ოთხი მოხსნაც ვერ აელო. მასპინძლებმა მარწუხები შეამსუბუქეს, სტუმრებს სათამაშო სივრცე დაუთმეს და შედეგად, ბოლო მეოთხედში ფაჩულიას ორი საჯარიმოთი "ატლანტას" თითქოსდა რაღაცის იმედი გაუჩნდა. ეს იმედი "ჰოქსს" ეგრევე, ზაზას ზუსტი ჯარიმების შემდგომ შეტევაში **ენტონი პარკერმა** გადაუწურა, რომელმაც ზუსტი სამიანით თავისიანთა უპირატესობა მიუწვდომელი გახადა. საერთოდ, პარკერმა იმ დღეს 9 ქულა დააგროვა და სამიდან სამი სამქულიანი უშეცდომოდ შეასრულა.

რამდენიმე ეპიზოდში ზაზას წლევანდელი დრაფტის პირველი ნომრის, იტალიელი **ანდრეა ბარნიანის** წინააღმდეგ თამაშიც მოუხდა. ბარნიანიმ ორჯერ ნახევარკაუჭით აჯობა ფაჩულიას, ერთხელ კი ზაზამ ანდრეა პერიმეტრისკენ განდევნა, საიდანაც ამ უკანასკნელმა სამქულიანი არაზუსტად ისროლა. და ბოლოს: ზაზამ რვავე საჯარიმო ჩააგდო, თამაშიდან კი სამიდან ერთადერთი ტყორცნა ვერ გამოიყენა.

გადავინაცვლოთ ატლანტაში, სადაც "ჰოქსს" "კლიპერსთან" შეხვედრამდე ზედიზედ 6 შეხვედრა ჰქონდა წაგებული.

ზაზასთვის ეს ბოლო ორი კვირის განმავლობაში საუკეთესო შეხვედრა იყო. ფაჩულიამ ამჯერადაც რვა საჯარიმო სროლა გამოიყენა, თუმცა წინა მატჩისგან განსხვავებით, აღნიშნულ შეხვედრაში ერთი ერთქულიანი მაინც გააფუჭა. ზაზა აქტიური იყო თამაშიდანაც და ერთბაშად 15-ჯერ სცადა ბედი, 7-ჯერ კი ზუსტი იყო. სწორედ მისი და გამოცოცხლებული ჯო ჯონსონის დამსახურება იყო ის, რომ ქულათა რაციონალურად გადაუნაწილებლობის მიუხედავადაც კი, მასპინძლებმა "კლიპერსს" მაინც აჯობეს.

ჯო და ზაზა ქულებს აგროვებდნენ, **სპიდი კლექსტონი** დაცვაში ჩაუქრობდა და "ჰოქსმა" ამ სეზონში ოპონენტს რეკორდულად ცოტა ქულა დააგროვებინა.

"ატლანტამ" 15 დეკემბრის მერე პირველი გამარჯვება მოიპოვა. მაშინ ზაზამ და მისმა თანაგუნდელებმა გასვლაზე "მემფისი" დაამარცხეს, ხოლო შინ კი გუნდს 29 ნოემბრის მერე არ ემარჯვა. იმ დღეს "შარლოტის" ძლევას "ატლანტამ" ზედიზედ 6 საშინაო ფიასკო დაურთო, თუმცა "ფილიპს არენაზე" გუნდმა როგორც იქნა მოახერხა გამარჯვების მოპოვება. ამ მოგების ჩათვლით, "ჰოქსს" მიმდინარე რეგულარულში შინ 14-დან მხოლოდ 5 მატჩი აქვს მოგებული.

8-მატჩიანი წარუმატებელი სერია "ატლანტისთვის" 2005-06 წლების რეგულარულის მერე ყველაზე ხანგრძლივი იყო. მაშინ გუნდმა სეზონის პირველი 9 შეხვედრა წააგო. შეგახსენებთ, რომ 2004-05 წლების რეგულარულში "ატლანტამ" ჩემპიონატში ჯერ ზედიზედ 13, ხოლო რეგულარულის ბოლოს კი მიჯრით 14 მატჩი დათმო. იმ სეზონში გუნდმა 69 შეხვედრა წააგო.

ქართველები NBA-ში

# როგორც იქნა, ჰოქსმაც მოიგო



ზაზა ფაჩულია კლიპერსთან მატჩში

**ზურაბ თალაკვაძე**

## 6 იანვარი

**ტორონტო-ატლანტა 105:92**

31:25, 27:21, 16:18, 31:28

**ტორონტო:** ბოში (33 წთ. 21 ქ. 5 მ. 2 პ. 1 ჩ. 1 დ), ბარნიანი (32 წთ. 12 ქ. 3 მ. 1 პ), კალდერონი (35 წთ. 12 ქ. 12 პ. 4 ჩ. 2 მ), ე. პარკერი (30 წთ. 9 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ), ნესტეროვიჩი (31 წთ. 7 ქ. 9 მ. 1 პ. 1 დ) - ჯ. გრემი (30 წთ. 19 ქ. 8 მ. 1 ჩ), პიტერსონი (21 წთ. 16 ქ. 6 მ. 2 პ), დ. მარტინი (12 წთ. 7 ქ. 3 პ), ჰამფრიზი (8 წთ. 2 ქ. 1 პ. 1 დ), ფ. ჯოუნსი, სლოკარი.

**ატლანტა:** მერვინ უილიამსი (38 წთ. 24 ქ. 5 მ. 1 პ. 1 დ), კლექსტონი (32 წთ. 18 ქ. 5 პ. 2 მ. 2 ჩ), ჯო ჯონსონი (42 წთ. 15 ქ. 2 პ. 1 მ), **ზაზა ფაჩულია (35 წუთი, 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 5 ფოლი),** შელდენ უილიამსი (38 წთ. 24 ქ. 5 მ. 1 პ. 1 დ) - ჩილდრესი (35 წთ. 11 ქ. 3 მ. 2 ჩ. 1 დ), ს. ჯოუნსი (9 წთ. 2 ქ. 2 მ), რაიტი (9 წთ. უქულოდ, 3 მ. 1 პ), აივი (9 წთ. უქულოდ, 1 მ).

### I მეოთხედი

12:00 სადავო გდება: ფაჩულია და ბოში
07:50 ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (6:10)
04:36 ფაჩულიაზე ჰამფრიზი დაჯარიმდა
04:36 საჯარიმოები: 2/2 (4 ქ. 12:19)
04:26 ჩაჭრა: 1 (ნესტეროვიჩს ჩაუჭრა)
04:21 ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (14:19)

### II მეოთხედი

10:34 პასი: 1 (შელდენ უილიამსი, 2 ქ. 29:35)
09:39 ფაჩულია რაიტმა შეცვალა
05:12 ფაჩულიამ რაიტი შეცვალა
04:20 პასი: 2 (ჯონსონი, 3 ქ. 42:44)
03:12 ფოლი: 1 (ბოშზე დაჯარიმდა)
02:07 შეცდომა: 1 (კალდერონმა ჩაუჭრა)
00:42 ფოლი: 2 (ბოშზე დაჯარიმდა)
00:41 მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1)

### III მეოთხედი

09:58 ფოლი: 3 (ბოშზე დაჯარიმდა)
08:14 ფოლი: 4 (ბოშზე დაჯარიმდა)
08:14 ფაჩულია რაიტმა შეცვალა

### IV მეოთხედი

12:00 ფაჩულიამ რაიტი შეცვალა
08:57 მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2)
08:52 ფაჩულიაზე ნესტეროვიჩი დაჯარიმდა
08:52 საჯარიმოები: 2/2 (8 ქ. 75:86)
08:33 მოხსნა: 3 (შეტ: 0, დაც: 3)
07:27 ფაჩულიაზე ნესტეროვიჩი დაჯარიმდა
07:27 საჯარიმოები: 2/2 (10 ქ. 77:89)
05:54 მოხსნა: 4 (შეტ: 0, დაც: 4)
05:46 ორქულიან ტყორცნა: არაზუსტი
05:07 ფაჩულიამ ტექნიკური შენიშვნა მიიღო
02:10 ფოლი: 5
01:31 ფაჩულიაზე ბოში დაჯარიმდა
01:31 საჯარიმოები: 2/2 (12 ქ. 92:100)

## 7 იანვარი

**ატლანტა-კლიპერსი 86:74**

25:16, 17:20, 22:23, 22:15

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (39 წთ. 27 ქ. 3 პ. 2 მ), **ზაზა ფაჩულია (33 წუთი, 22 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 4 ფოლი),** კლექსტონი (38 წთ. 9 ქ. 6 პ. 5 ჩ. 2 მ), მერვინ უილიამსი (32 წთ. 8 ქ. 5 მ. 2 პ), შელდენ უილიამსი (28 წთ. 4 ქ. 5 მ. 1 პ. 1 დ) - ს. ჯოუნსი (6 წთ. 6 ქ. 2 მ), ჩილდრესი (25 წთ. 6 ქ. 8 მ. 2 ჩ. 1 პ), ს. სტაუდმაიერი (8 წთ. 4 ქ), რაიტი (26 წთ. უქულოდ, 8 მ. 1 პ).

**კლიპერსი:** ბრენდი (40 წთ. 26 ქ. 7 მ. 4 პ. 1 ჩ), ტიმ ტომასი (43 წთ. 14 ქ. 6 მ. 1 პ), კამანი (32 წთ. 8 ქ. 6 მ. 1 დ), ლივინგსტონი (37 წთ. 8 ქ. 5 პ. 4 მ. 1 ჩ), როსი (21 წთ. 4 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ) - მობლი (27 წთ. 6 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ), ე. უილიამსი (23 წთ. 6 ქ. 9 მ), იუინგი (13 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 პ).

### I მეოთხედი

12:00 სადავო გდება: ფაჩულია და კამანი
11:35 მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1)
11:16 ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (2:0)
10:56 ფოლი: 1 (ბრენდზე დაჯარიმდა)
10:09 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
10:08 მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
08:22 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
07:57 შეცდომა: 1 (როსმა ჩაუჭრა)
07:30 ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (8:8)
07:01 ფაჩულიაზე ტ. ტომასი დაჯარიმდა
07:01 საჯარიმოები: 2/2 (6 ქ. 10:10)
05:51 მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1)
03:28 ფაჩულია შელდენ უილიამსმა შეცვალა

### II მეოთხედი

10:43 ფაჩულიამ შელდენ უილიამსი შეცვალა
10:19 ჩაჭრა: 1 (კამანს ჩაუჭრა)
09:25 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
06:36 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
06:36 ფოლი: 2
06:36 ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა

### III მეოთხედი

12:00 ფაჩულიამ შელდენ უილიამსი შეცვალა
10:11 ფაჩულიაზე კამანი დაჯარიმდა
10:11 საჯარიმოები: 2/2 (8 ქ. 46:40)
09:11 პასი: 1 (ჯ. ჯონსონი, 2 ქ. 49:40)
08:27 ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (51:40)
07:26 ორქულიანი ტყორცნა: 12 ქ (53:44)
04:53 ფაჩულია რაიტმა შეცვალა
01:50 ფაჩულიამ შელდენ უილიამსი შეცვალა
01:12 ორქულიანი ტყორცნა: 14 ქ (64:57)
00:30 შეცდომა: 2 (ლივინგსტონმა ჩაუჭრა)

### IV მეოთხედი

10:46 მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2)
10:29 ფაჩულიაზე ტ. ტომასი დაჯარიმდა
10:29 საჯარიმოები: 2/1 (15 ქ. 67:61)
09:33 მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3)
09:13 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
09:13 მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3)
05:07 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
05:04 მოხსნა: 7 (შეტ: 4, დაც: 3)
05:03 ორქულიანი: კამანმა დაუფარა
03:25 ორქულიანი ტყორცნა: 17 ქ (76:67)
03:25 ფაჩულიაზე ე. უილიამსი დაჯარიმდა
03:25 ფაჩულიამ საჯარიმო ჩააგდო: 18 ქ (77:67)
02:24 ფოლი: 3 (ბრენდზე დაჯარიმდა)
01:54 ორქულიანი ტყორცნა (20 ქ. 79:70)
01:37 მოხსნა: 8 (შეტ: 4, დაც: 4)
01:30 ფოლი: 4 (ტ. ტომასზე დაჯარიმდა)
01:16 ფაჩულიაზე ბრენდი დაჯარიმდა
01:16 საჯარიმოები: 2/2 (22 ქ. 82:73)
00:56 პასი: 2 (ჩილდრესი, 2 ქ. 84:74)
00:25 ჩაჭრა: 2 (ბრენდს ჩაუჭრა)
00:01 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი

**ზაზა ფაჩულია:** 29 მატჩი (29 სასტარტოში), 31.0 წუთი, 13.2 ქულა, 7.2 მოხსნა, 1.7 პასი, 1.2 ჩაჭრა, 0.6 დაფარება, 2.5 შეცდომა, 3.6 ფოლი.

**ატლანტა ჰოქსი:** 31 მატჩი, 10 მოგება, 21 წაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-13 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში.

**მომდევნო მატჩი:** ინდიანა-ატლანტა (9 იანვარი)



კიმი და მარია ფინალის შემდეგ

ინტერვიუ კიმ კლაისტერსთან

# პირველ სლემს ფავორიტი არ ეყოლება

**ბელგიელი კიმ კლაისტერსი ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე, სხვა ძლიერ მოთამაშეებთან ერთად უოტსონის საჩვენებელ ტურნირში იღებდა მონაწილეობას. კიმის გარდა, აქ მონაწილეთა შორის დამდეგი სასლემოს - ავსტრალიის ღია პირველობის კიდევ ერთი ფავორიტი მარია შარაპოვაც იყო, რომელიც ბელგიელმა ფინალში დაამარცხა (6:3, 7:6).**

**კლაისტერსი დიდი სლემის სერიის პირველი ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება, სარეიტინგო ტურნირებზე გამოსვლას კი, მან მილიონერებისთვის ფულის დახარჯვის საუკეთესო საშუალებად მიჩნეულ შეჯიბრზე თამაში ამჯობინა. ბელგიელი ვარსკვლავი შარშანდელი სეზონის მსვლელობისას, რამდენჯერმე სხვადასხვა მიკროტრავმამ შეაწუხა, რის გამოც კიმი აღნიშნულ ტურნირზე ექიმების მთელ ჯგუფთან ერთად ჩავიდა. ისინი კლაისტერსის ჯანმრთელობას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ. ბელგიელი ყველასგან განცალკევებით, სხვა სასტუმროში განთავსდა. ამის მიზეზსა და წინასასლემო სხვა ნიუანსებზე კიმ კლაისტერსთან აღნიშნული ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- რამდენად მისაღებია თქვენთვის დიდი სლემის ტურნირის დაწყებამდე ურეიტინგო შეჯიბრში გამოსვლა?**

- ავსტრალიის ღია პირველობა ჩემთვის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი იყო. არ ვამბობ, რომ ავსტრალიაში იქაურ ჰარდზე თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ, მაგრამ ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია წლის კარგად დაწყება და რაკილა ეს დიდი სლემის პირველი ტურნირია, ძალიან ბევრი რამ სწორედ იქ თამაშზე იქნება დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, თუ როგორი ფსიქოლოგიური მზადყოფნით გახვალ კორტზე. ფასდაუდებელია ისიც, თუ რა განწყობით დაშორდები ტურნირს, რადგან მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, ნებისმიერ სხვა ტურნირზე აქ ნაჩვენები შედეგი ყოველთვის ფონად გაგყვება.

**- ხომ არ ჯობდა, რომელიმე სხვა ტურნირზე გეთამაშათ?**

- სარეიტინგო ქულები რომ ამეღო?

**- დიახ.**

- არა მგონია, ამას ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ჯერ ერთი, ავსტრალიის ღია პირველობამდე არ იმართება არც ერთი მასტერსი, სადაც გამარჯვების, ან თუნდაც წარმატებულად გამოსვლის შემთხვევაში ბევრ სარეიტინგო ქულას დაიწერ. ცხადია, ერთეულთა კლასიფიკაციაში მაღალი ადგილის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორც გითხარით, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი სათანადოდ მომზადება გახლავთ. ამ ტურნირზე ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე ძალიან ძლიერი მოთამაშე მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, ფავორიტები ხშირად დასვენებას ამჯობინებენ და გამონაკლისი არც ეს სლემია. ავსტრალიის წინ, ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ თამაშს ენერგიის რაციონალურად გადანაწილება, ან უბრალოდ დასვენება ამჯობინა.

**- ფავორიტებში ვინ შედის?**

- ტურნირზე მთავარი ფავორიტის თამაში ეჭვქვეშაა. თუ არ ვცდები, ჟუსტინი ტურნირზე რაღაც პრობლემის გამო ვერ ითამაშებს. ანენ-არდენი ნებისმიერი შეჯიბრის მშვენებაა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბევრისთვის ფსიქოლოგიურად მარტო ის არის დამთრგუნველი, რომ ტურნირის ბადეში სწორედ ჟუსტინია მოხვედრილი. ჯანმრთელი ანენ-არდენი ყველგან და ყოველთვის ორ-სამ მთავარ ფავორიტში შედის, ახლა კი მის გარეშე გამარჯვების მოპოვების შანსი უფრო მეტ მონაწილეს გაუჩნდება. ცხადია, ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განითესებიან მონაწილეები.

**- სხვები?**

- რატომღაც მგონია, რომ ამ ტურნირზე მარტინა ჰინგისი იმ ჩოგბურთს ითამაშებს, რომლითაც იგი რამდენიმე წლის წინათ მსოფლიოში უძლიერესი იყო. ყველა ამბობს, რომ ჰინგისი დაბრუნდა, მაგრამ ჩემი აზრით, სპორტსმენის რეალურ, დიდ დაბრუნებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება საუბარი, თუ ვარსკვლავი თავის უწინდელ დონეზე გადის და დიდი სლემის ტურნირის მოგებას ახერხებს. ჰინგისი პირველ ათეულში დაბრუნდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს მისთვის პროგრამა მაქსიმუმი არ ყოფილა. მარტინა თითქმის ყოველ მეორე ინტერვიუში ამბობს, ჩოგბურთი უწინდელთან შედარებით, სწრაფი და ძალისმიერი გახდა და აქ სტაბილურად სათამაშოდ ენერგიის აღდგენას ვეღარ ვასწრებო. მიმაჩნია, რომ ჰინგისი გულწრფელი არ არის. მან მშვენივრად იცის, რომ ნებისმიერი ტურნირის მოგება შეუძლია. ასე რომ, ფავორიტებში ჰინგისი, მარია შარაპოვა და კიდევ რამდენიმე მოთამაშე შედის.

**- კაცებში?**

- ვისი გვარის გაგონება გინდათ?

**- ფავორიტის!**

- მაშინ, ულაპარაკო ფავორიტი როჯერ ფედერერია. მასზე ძლიერი და თავდაჯერებული დღესდღეობით არა მარტო ჩოგბურთელი, არამედ საერთოდ, სპორტსმენი არ არის. ფედერერი ჩემი მთავარი ფავორიტია.

**- რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ, რომ მამაკაცები ტურნირებზე ქალებზე დიდ გასამრჯელოს იღებენ?**

- ეს საკითხი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება პოპულარულ მოთამაშეებში ასეთი უხერხული კითხვების დასმა. დიახ, ჩვენც ბევრს ვიხარჯებით და კარგი იქნებოდა, ამა თუ იმ შეჯიბრზე, ძირითადად კი დიდი სლემის რომელიმე ტურნირზე საპრიზო ფონდი გათანაბრებული ყოფილიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ტურნირის ორგანიზატორებს უამრავი ნიუანსის შეცვლა მოუწევთ. ბოლოს და ბოლოს, საუბარი არა რამდენიმე ასეულ დოლარზე, არამედ საკმაოდ დიდ თანხაზეა.

**- აღნიშნულ ტურნირზე ცალკე სასტუმროში ცხოვრება გადაწყვიტეთ. საერთო ოტელში ცხოვრების პირობებმა არ დაგაკმაყოფილათ?**

- არა, უბრალოდ, საკუთარ დროს ასე უკეთ გავაკონტროლებ. სეზონის სტარტია, ყველას ყველასთან საუბარი სიამოვნებს, მე კი მინდა, მთავარი აქცენტი მხოლოდ და მხოლოდ თამაშზე გადავიტანო. იმედი მაქვს, სხვაგან ცხოვრება რომ გადავწყვიტე, ამით არავინ გამინაწყენდა.

**ზურაბ თალაკვაძე**

ტურნირების მიმოხილვა

# მესამე ცდაზე გამარჯვებული

## ნადალმა სეზონი წაგებით დაიწყო

**ხორვატი ივან ლიუბიჩიჩის** გამარჯვებით დასრულდა გასული კვირის საჩოგბურთო ტურნირებიდან ყველაზე პრესტიჟულის - კატარის ღია პირველობის გათამაშება. ფინალში მან ორ სეტში ბრიტანეთის პირველ ჩოგან **ენდი მიურეის** მოუგო.

*"ამ ტურნირზე წინა ორ სეზონშიც მივაღწიე ფინალს, მაგრამ ორივეჯერ წავაგე. ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, მიზანს მივაღწიე. ძალიან სასიამოვნოა, როცა იცი, რომ ATP-ის ჩემპიონთა რბოლის ცხრილს სათავეში მოექცევი. თუმცა ეს შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს"*, - განაცხადა ლიუბიჩიჩმა, ვინც შარშან სულ სამი ტურნირის ჩემპიონი გახდა და სეზონი რეიტინგის მეხუთე საფეხურზე დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ATP-ის ჩემპიონთა რბოლაში ჩოგბურთელები მიმდინარე სეზონის შედეგების მიხედვით იღებენ ქულებს, რეიტინგში კი წინა 52 კვირაში ნაჩვენებ შედეგებს ითვალისწინებენ.

ფინალში ხორვატმა ჩოგბურთელმა აქცენტი ძლიერ მოწოდებასა და უზადოდ შესრულებულ ბექჰენდებზე გააკეთა. ცუდად არც მიურეის უთამაშია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მას აშკარად ეტყობოდა გამოცდილების ნაკლებობა. თავიდან, 19 წლის შოტლანდიელმა გარკვეული პრობლემები შეუქმნა ლიუბიჩიჩს. განსაკუთრებით კარგად ის ბექჰენდებს (ხელუკუღმა დარტყმა) ასრულებდა, ფორზენდზე (წაღმა დარტყმა) კი ძლიერ ახვევდა ბურთს.

მაგრამ ხორვატის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში, ის მზად ხვდებოდა მეტოქის მიერ ტექნიკურად დარტყმულ ბურთებს. პირველი სეტი მან მეათე გეიმში მოპოვებული ბრეიკით მოიგო.

მეორე სეტის მეხუთე გეიმში, **სქოტმა** შეძლო მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება და 3:2 დაწინაურდა, თუმცა მომდევნო გეიმშივე დათმო უპირატესობა. თავიდან ის თავის მოწოდებას მშრალად (0:40) აგებდა. მერე ორი ბრეიკ პოინტი კი გაქვითა, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა - 3:3.

კიდევ ერთი ბრეიკი ლიუბიჩიჩმა ისევ მეათე გეიმში მოიპოვა და ამით შეხვედრას წერტილიც დაუსვა. თამაშის შემდეგ, ჩემპიონმა ქება არ დაიშურა თავისი თინეიჯერი მეტოქის მიმართ - ძალიან გაწონასწორებული მოთამაშეა და შეცდომებს თითქმის არ უშვებს, რის გამოც, გადამწყვეტ მომენტებში იშვიათ შანსებს ველოდიო.

მიურეიმ კარიერაში მეოთხედ ითამაშა ATP-ის ტურნირის ფინალში, რომელთაგან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული (შარშან, სან ხოსეში). ის კმაყოფილი დარჩა ტურნირზე თავისი გამოსვლით და იმედი გამოთქვა, მთელ სეზონსაც ასეთ დონეზე ჩავატარებო.

■ ■ ■

ჩენაის (ინდოეთი) ტურნირს ნახევარფინალში გამოეთიშა მისი მთავარი ფავორიტი, მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი**. ესპანელს ფინალისკენ გზა ბელგიელმა **ქსავიე მალისმა** გადაუღობა, რომელმაც ფინალში ავსტრიელ **შტეფან კუბეკსაც** მოუგო და ტურნირის ჩემპიონიც გახდა.

ნადალის დასამარცხებლად, მალისს ორი სეტი ეყო. პირველში მან მეტოქის მოწოდებაზე გადამწყვეტი ქულა მესამე გეიმში მოიპოვა, მეორეს მოსაგებად კი ტაიბრეიკი დასჭირდა. ნახევარფინალი გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა კიდევ ერთი ესპანელის - **კარლოს მოიასთვის**, რომელმაც მხოლოდ ოთხი გეიმის მოგება შეძლო კუბეკთან შეხვედრაში.

ნამატჩევს მალისმა განაცხადა, ნადალს გადამწყვეტ მომენტებში თამაში არ მისდიოდაო. ესპანელი დაღონებული წაგებით დარჩა - ძალიან მინდოდა სეზონის მოგებით დაწყებაო. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, პირველი რვა ტურნირიდან ნადალმა ხუთი მოიგო.

მალისს რეიტინგის ასეთ მაღალ საფეხურზე მყოფი ჩოგბურთელი არასოდეს დაემარცხებინა. ფინალი მან იოლად (61 წუთში) მოიგო და კარიერაში მეორე ტურნირის ჩემპიონი შეიქნა. ბელგიელმა, რომელსაც რეიტინგში 37-ე საფეხური უკავია, პირველ სეტში ოთხი ბრეიკის აღება შეძლო, ერთი კი თავად დათმო. მეორე სეტში ქსავიემ ერთადერთი ბრეიკი იმყოფინა და ამითაც მიაღწია საწადელს.

■ ■ ■

ადელაიდას ტურნირი კი სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში ავსტრალიელ **კრის გუჩონეს** მოუგო. გუჩონემ ტურნირზე უაილდ ქარდით ითამაშა და ფინალის გზაზე, ორ ფრანგს - **რიშარ გასკესა** და **არნო კლემანს** მოუგო. გადამწყვეტ მატჩში კი დიდი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს.

*"სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმ სიხარულს, რაც ამ თამაშის მოგებამ მომანიჭა. გამარჯვება ყოველთვის სასიხარულოა, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ ფასობს, როცა დაძაბულ პაექრობაში მოიგებ. მთავარი კი ისაა, რომ კარგად ვარ მომზადებული და ვიმედოვნებ, რომ ავსტრალიის ღიაზეც კარგად ვითამაშებ"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

21 წლის გუჩონემ შეხვედრა სამი ეისით დაიწყო, მეორე გეიმში კი ბრეიკის აღება ოთხჯერ შეეძლო, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სერბმა თავის დაძვრენა შეძლო და საბოლოოდ, მეტოქეს თავის მოწოდებაზე ქულის მოგების საშუალება აღარ მისცა. აღსანიშნავია, რომ ეს გეიმი 12 წუთს გაგრძელდა.

ამის შემდეგ, ავსტრალიელმა შეცდომებს უხშირა, რისი წყალობითაც ჯოკოვიჩმა ორი ბრეიკის აღება შეძლო და სეტიც საკმაოდ იოლად მოიგო. მეორე სეტში ვერც ერთმა შეძლო ბრეიკის მოპოვება, რის გამოც სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, იქ კი გუჩონეს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა.

გადამწყვეტი სეტი კი სერბის უპირატესობით დაიწყო. ის ჯერ 2:0 დაწინაურდა, შემდეგ კი ანგარიში 4:1-მდე გაზარდა. აქ ოზი მეჩოგნე გამოცოცხლდა. მან მეტოქის მოწოდებაზე გაილაღა და ჩამორჩენაც შეამცირა (4:2), მერვე გეიმში კი ანგარიშის გათანაბრების შანსიც ჰქონდა, მაგრამ ის ველარ გამოიყენა.

■ ■ ■

გოლდ ქოუსტის ტურნირის ფინალში, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** ვერაფერი მოუხერხა რუს **დინარა საფინას**, ვინც შარშან, რომის ტურნირის ფინალში დაემარცხებინა.

შეხვედრა სამ სეტს გაგრძელდა. პირველი ორი მეტოქეებმა ერთნაირი ანგარიშით მოიგეს. გადამწყვეტში კი რუსმა, ვინც ისევე ემოციურია, როგორც მისი ძმა, **მარატ საფინი**, ნერვების მოთოკვა შეძლო და თავის კარიერაში მეხუთე ტურნირი მოიგო. მის გამარჯვებაში ჰინგისმა დიდი როლი ითამაშა. საქმე ისაა, რომ მან ბრეიკ პოინტების რაოდენობით, აშკარად დაჯაბნა მეტოქე, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში, მათ რეალიზებას ვერ ახერხებდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**ყატარის ღია**

დოჰა (ყატარი). 1-7 იანვარი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 1 000 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ენდრიუ მიურეი (4) - ნიკოლაი დავიდენკო (1) 7:5, 6:2;
ივან ლიუბიჩიჩი (2) - რობინ სოდერლინგი (6) 3:6, 6:4, 7:6(5)

**ფინალი**

ივან ლიუბიჩიჩი (2) - ენდრიუ მიურეი (4) 6-4, 6-4

**ადელაიდას საერთაშორისო**

ადელაიდა (ავსტრალია). 1-7 იანვარი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 419 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (1) - იოახიმ იოჰანსონი 6:3, 6:2;
კრის გუჩონე - ხუან მარტინ დელ პორტო 5:7, 6:3, 7:5

**ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (1) - კრის გუჩონე 6:3, 6:7(6), 6:4

**ჩენაის ღია**

ჩენაი (ინდოეთი). 1-7 იანვარი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ქსავიე მალისი (3) - რაფაელ ნადალი (1) 6:4, 7:6(4);
შტეფან კუბეკი - კარლოს მოია (5) 6:3, 6:1

**ფინალი**

ქსავიე მალისი (3) - შტეფან კუბეკი 6:1, 6:3

**WTA**

**ავსტრალიის ჰარდის ჩემპიონატი**

გოლდ ქოუსტი (ავსტრალია). 1-6 იანვარი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

**ფინალი**

დინარა საფინა (2) - მარტინა ჰინგისი (1) 6:3, 3:6, 7:5

**ASB-ს კლასიკური**

ოკლენდი (ახ.ზელანდია). 1-6 იანვარი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

**ფინალი**

ელენა იანკოვიჩი (1) - ვერა ზვონარევა (5) 7:6(9), 5:7, 6:3



ივან ლიუბიჩიჩი

## ავტოსპორტი

### ლისაბონი-დაკარი 2007

#### I ეტაპი. ლისაბონი-პორტიმაუ (117 კმ)

მანქანები

1. **სოუზა** (პორ)/**შულცი** (გერ, "ფოლქსვაგენი") - 1:20.38; 2. **დე ვილიერი** (ს. აფრ)/**ფონ ციტცევიტცი** (გერ, "ფოლქსვაგენი") - +2.31; 3. **საინსი** (ესპ)/**პერენი** (საფ, "ფოლქსვაგენი") - +2.38; 4. **ვატანენი** (ფინ)/**პონსი** (ესპ, "ფოლქსვაგენი") - +02.38; 5. **მილერი** (აშშ)/**პიჩფორდი** (აშშ, "ფოლქსვაგენი") - +3.56.

მოტოციკლები

1. **ფარია** (პორ, "იამაჰა") - 1:22.07; 2. **როდრიგესი** (პორ, "იამაჰა") - +0.16; 3. **ესტევე** (ესპ, KTM) - +5.0; 4. **კასტო** (საფ, KTM) - +5.07; 5. **ბეტისი** (საფ, "ჰონდა") - +5.1.

#### II ეტაპი. პორტიმაუ-მალაგა (545 კმ)

მანქანები

1. **საინსი/პერენი** - 59.26; 2. **რომა** (ესპ)/**კრუს სენრა** (ესპ, "მიცუბიში") - +0.29; 3. **ალფანი** (საფ)/**პიკარი** (საფ, "მიცუბიში") - +0.29; 4. **პეტერანსელი** (საფ)/**კოტრე** (საფ, "მიცუბიში") - +0.31; 5. **მასუოკა** (იაპ)/**მემონი** (საფ, "მიცუბიში) - +1.24; 6. **დე ვილიერი/ფონ ციტცევიტცი** - +1.34.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სოუზა /შულცი** - 2:21.57; 2. **საინსი/პერენი** - +0.45; 3. **დე ვილიერი/ფონ ციტცევიტცი** - +2.12; 4. **რომა/კრუს სენრა** - +3.29; 5. **პეტერანსელი/კოტრე** - +3.55; 6. **შიშერი** (საფ)/**ბომელი** (საფ, BMW) - +4.49.

მოტოციკლები

1. **როდრიგესი** - 1:02.44; 2. **ფარია** - +1.03; 3. **ესტევე** - +1.45; 4. **კასტო** (საფ, KTM) - +2.1; 5. **კომა** (ესპ, KTM) - +2.26; 6. **პლანე** (საფ, KTM) - +2.29.

**საერთო ჩათვლა:** 1. **როდრიგესი** - 2:25.07; 2. **ფარია** - +0.47; 3. **ესტევე** - +6:29; 4. **კასტო** - +7.01; 5. **პლანე** - +8.44; 6. **ბეტისი** - +9.21.

## კრივი

### კარერა დოპინგზე გამოიჭირეს

არგენტინელი საშუალოწონოსანი **მარიანო კარერა**, რომელმაც გასული წლის დეკემბერში, ბერლინში WBA-ს ტიტული ჩამოართვა ესპანელ **ხავიერ კასტილიეხოს**, აკრძალული პრეპარატის მიღებაში იქნა მხილებული.

დეკემბრის ბრძოლა გერმანიის კრივის ფედერაციის ეგიდით მიმდინარეობდა. არც ეს ორგანიზაცია და არც WBA მომხდართან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ თუ დოპინგის მიღების ფაქტი დადასტურდა, ბრძოლის შედეგი გაუქმდება და საჩემპიონო სარტყელი კასტილიეხოს დაუბრუნდება.

## ცურვა

### ოლიმპიურ ჩემპიონს ციხე ემუქრება

ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი **ოტილია იედჟეიჩაკი** ამ კვირას სასამართლოს წინაშე წარსდგება. ცნობილი სპორტსმენი საგზაო ავტოკატასტროფაში არის დადანაშაულებული, რომელშიც 2005 წლის ოქტომბერს ოტილიას უმცროსი ძმა დაიღუპა.

პოლონური პრესის ინფორმაციით, სასამართლო ორგანოების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სპორტსმენს ოფიციალურად ედება ბრალი სიჩქარის გადაჭარბებაში, რამაც არაგანზრახ მკვლელობა გამოიწვია. ამ ბრალდების მიხედვით, იედჟეიჩაკს 6 თვიდან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედლის მფლობელმა ოიტილიამ ავტოკატასტროფის შემდეგ 2006 წლის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა, სადაც ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

## ფორმულა 1

### ახალ ჰონდას 25 იანვარს გავიცნობთ

"ჰონდას" ახალი ბოლიდის - RA107-ის დებიუტი 25 იანვარს შედგება. 2007 წლის სეზონისთვის მომზადებული მანქანის ნათლობა ბარსელონას ტრასაზე შედგება - ტესტებზე იაპონური გუნდის ხელმძღვანელობამ "ჰონდას" ორივე ძირითადი პილოტი მიიწვია.

ბარსელონას ტრასაზე ბოლიდი სპონსორთა წარწერების გარეშე გამოვა. "ჰონდა" მალე დაასრულებს სპონსორებთან კონტრაქტების გაფორმებას და თებერვალში მანქანის ოფიციალურ პრეზენტაციას გამართავს. ამ ღონისძიების ზუსტი თარიღი ჯერ არ არის ცნობილი.

## ჩოგბურთი

### კიფერი ავსტრალიის ღია პირველობას გამოტოვებს

შაბათს ცნობილი გახდა, რომ მოახლოებული ავსტრალიის ღია პირველობა კიდევ ერთი ცნობილი ჩოგბურთელის გარეშე ჩაივლის. ცუდი სპორტული ფორმის გამო, "დიდი სლემის" სერიის პირველ ტურნირზე ვერ გამოვა გერმანელი **ნიკოლას კიფერი**.

*"ტრავმით გამოწვეული ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ, სპორტული ფორმის აღდგენა ვერ მოვასწარი. ამიტომაც, ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლას აზრი არ აქვს. სჯობს, მომავალი ტურნირებისთვის მოვემზადო და ჩოგბურთში ცოტა მოგვიანებით დავბრუნდე"*, - განაცხადა გერმანელმა ჩოგბურთელმა, რომელმაც მაჯაზე ორი ოპერაცია გადაიტანა და ამის გამო, შარშანდელი საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ არ გასულა კორტზე.

### ჰიუიტს კრიზისი აქვს

ცუდი დღეები უდგას ავსტრალიის საუკეთესო ჩოგბურთელ **ლეიტონ ჰიუიტს**. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ადელაიდას ტურნირის პირველ წრეში განცდილი მარცხის შემდეგ, ლეიტონთან მუშაობის გაგრძელება აღარ მოისურვა მისმა მწვრთნელმა, **რაშიდმა**. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ კი, ცნობილი გახდა, რომ უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონს კუნთი აქვს გაწყვეტილი და გამორიცხული არ არის, რომ მას ოპერაციის გაკეთება დასჭირდეს.

ლეიტონ ჰიუიტის მენეჯერი **ჯასტინ კოენი**, ჯერჯერობით, ზუსტ პასუხს ვერ იძლევა, შეძლებს თუ არა მისი კლიენტი ავსტრალიის ღიაზე თამაშს. თუ ავსტრალიურ პრესას ვერწმუნებით, ამის შანსი ძალიან მცირეა.

## კალათბურთი

### ვუიჩიჩი საუკეთესოა

ევროლიგის მეათე ტურის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ (MVP) თელ-ავივის "მაკაბის მცველი **ნიკოლა ვუიჩიჩი** დასახელდა.

რომის "ლოტომატიკას" წინააღმდეგ გამართულ მატჩში, ვუიჩიჩმა 33 ქულა (კარიერის რეკორდი) დააგროვა. აგრეთვე 8 მოხსნა და 7 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. გარდა ამისა, მან რვაჯერ აიძულა მეტოქე კალათბურთელები მის წინააღმდეგ დაერღვიათ წესი.

### აივერსონი 25 ათასს გადაიხდის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 25 ათასი დოლარით დასაჯა "დენვერ ნაგეთსის" მცველი **ალენ აივერსონი**.

ეს სასჯელი კალათბურთელს იმის გამო გამოუტანეს, რომ აივერსონმა "ფილადელფიასთან" ნაგებულ მატჩში არაკორექტულად გამოთქვა უკმაყოფილება მსაჯების მოქმედების გამო. თავის ყოფილი გუნდის წინააღმდეგ შეხვედრაში, ალენმა ორი ტექნიკური ჯარიმა მიიღო და ვადაზე ადრე მოუწია მოედნის დატოვება.





ჩეტილ-ანდრე ომოდტი

# ჩემპიონი წავიდა

ცნობილი ნორვეგიელი მოთხილამურე, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ჩეტილ-ანდრე ომოდტი** დიდი სპორტიდან მიდის. კვირას, ამის შესახებ თავად მოთხილამურემ გააკეთა ოფიციალური განცხადება.

35 წლის ომოდტის თქმით, ის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაღლილობას გრძნობს და ამის გამო ასრულებს კარიერას. *"კარიერის გაგრძელების არც მორალური და არც ფიზიკური ძალები აღარ შემრჩა. გარდა ამისა, ოჯახის ინტერესებიც უნდა გავითვალისწინო"*, - განაცხადა ნორვეგიელმა.

ომოდტის კარიერა 17 წელი გრძელდებოდა, რომლის განმავლობაშიც მან სარეკორდო რაოდენობის ტიტულები მოიპოვა. ნორვეგიელი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონია, გარდა ამისა, ოლიმპიადებზე მის ანგარიშზე ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალიც არის.

პირველი ოლიმპიადა ომოდტმა 1992 წელს, ალბერვილში მოიგო (სუპერ-გიგანტი), 2002 წელს, სოლტ-ლეიკ-სიტიში ორი ოქრო მოიპოვა (სუპერ-გიგანტი და კომბინაცია), ხოლო შარშან, ტურინის ოლიმპიადაზე კვლავ სუპერ-გიგანტში აჯობა ყველას.

მსოფლიო ჩემპიონატებზე წარმატებები გაცილებით ადრე მოვიდა - 1993 წელს, 22 წლის ასაკში ორი ოქრო მოიგო. აქედან მოყოლებული, ამ დუბლს მან კიდევ სამი ოქრო, 4 ვერცხლი და 3 ბრინჯაო დაუმატა.

ომოდტი ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებული მედლების რაოდენობით (20), სამთო-სათხილამურო სპორტში ყველა დროის რეკორდსმენია. გარდა ამისა, ნორვეგიელი ერთი საინტერესო რეკორდის მფლობელიცაა - ის ყველაზე ახალგაზრდა და ამავდროულად, ყველაზე ასაკოვანი მოთხილამურეა, ვისაც ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოუპოვებია.

რაც შეეხება მსოფლიო თასს, აქ ომოდტს ჯამში 21 ეტაპი აქვს მოგებული. საერთო ჩათვლაში ეს პრიზი მას 1993-94 წლებში აქვს მოგებული. ნორვეგიელი ერთ-ერთია იმ 5 მოთხილამურედან, რომელსაც სამთო-სათხილამურო სპორტის ყველა, ხუთივე დისციპლინაში აქვს მოგებული მსოფლიო თასის ეტაპი.

აი, რა თქვა ჩეტილ-ანდრე ომოდტის შესახებ, წლევანდელი მსოფლიო თასის ლიდერმა, ნორვეგიელმა **აქსელ სვინდალმა**: *"ის ჩვენი გუნდის კაპიტანია. მისი შედეგები და ლეგენდარულობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჩეტილი ნამდვილი ჩემპიონია"*.

## შემთხვევა

# სტადიონის სახურავი ჩამოინგრა



2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ ვანკუვერში იმ სტადიონის ჭერი ჩამოინგრა, სადაც 3 წლის შემდეგ თეთრი ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალები უნდა გაიმართოს.

როგორც სააგენტო "კანადიან პრესი" იუწყება, ინციდენტი "ბი სი. პლეისის" არენაზე პარასკევს, შუადღით მოხდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

ეს სტადიონი 20 წლის წინათ, "ექსპო-86"-ის გამოფენისთვის გაიხსნა. "ბი სი პლეისი" მსგავსი ტიპის სახურავების მქონე არენებიდან, ყველაზე მასშტაბურ შენობად არის მიჩნეული. ადგილობრივი მაცხოვრებლები ამ უნიკალურ ნაგებობას "დიდ ბალიშს" უწოდებენ. დღეს, სტადიონი ვანკუვერის საფეხბურთო გუნდ "ლაიონსის" საშინაო არენა გახლავთ.

თვითმხილველთა თქმით, ტრიბუნების ერთ-ერთ სექტორზე დაახლოებით 10 მეტრის სიგრძის ბზარი გაჩნდა და სახურავმა ნელ-ნელა ძირს დაცურება დაიწყო. ქალაქის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხელმძღვანელმა **ჯონ მაკინრიმ** ჟურნალისტებს აცნობა, რომ ინციდენტის ადგილას სასწრაფოდ გაიგზავნა 16 მეხანძრე და მაშველი. სტადიონის მომსახურე პერსონალი ევაკუირებულ იქნა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არავინ დაზარალებულა.

წინასწარი ვერსიის თანახმად, მომხდარის მიზეზი ძლიერი თოვლი და წვიმებია, რომელიც ვანკუვერს ბოლო დღეებში დაატყდა თავს.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

#### 5 იანვარი

**კოლორადო-ტამპა ბეი 4:2**

1:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 საკიკი-18 (პ. შჩასნტი-21, ლაილსი-19), 1:1 პროსპალი-5 (ლეკავალიე-30, სერიჩი-8), 2:1 ჰეიდუკი-13 (პ. შჩასნტი-22), 2:2 ლეკავალიე-23 (ბოილი-24, სენტ ლუისი-27), 3:2 არნასონი-11 (სკრასტინსი-3, ბ. კლარკი-18), 4:2 პ. შჩასნტი-10 (ბრუნეტი-22, სკრასტინსი-4).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 3:4**

0:0, 2:0, 1:4

**გოლები:** 1:0 ე. მაკდონალდი-12 (სელიანე-28, ს. ნიდერმაიერი-30), 2:0 მოენი-5 (ს. ნიდერმაიერი-31, შ. ტორნტონი-7), 3:0 სელიანე-24 (ე. მაკდონალდი-27), 3:1 კლესლა-4 (ჟერდიოვი-9, სვიტოვი-5), 3:2 კლესლა-5 (სვიტოვი-7), 3:3 მოდინი-10 (ვიბორნი-27, სვიტოვი-7), 3:4 მალორტა-5 (ჟერდიოვი-10).

**ვანკუვერი-ედმონტონი 3:2 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კუკი-3, 1:1 პიზანი-9 (ტორესი-15, ჰეიდა-4), 2:1 დ. სედინი-16 (ჰ. სედინი-36, ბიეკსა-14), 2:2 სიკორა-16 (ნედვედი-7, ჰემსკი-21), 3:2 კუკი-4 (ბიეკსა-15, კესლერი-7).

**ატლანტა-ფინიქსი 4:5 (ო)**

2:0, 1:1, 1:3, 0:1

**გოლები:** 1:0 მარიან ჰოსა-25 (სლეიტერი-10, ჰაველიდი-11), 2:0 კოვალჩუკი-22, 2:1 დოენი-10, 3:1 მარიან ჰოსა-26 (ვიშნევსკი-6), 4:1 სიმი-11 (ნ. კაპანენი-7, ვიშნევსკი-7), 4:2 ნადი-7 (ი. პერო-10), 4:3 დოენი-11 (როუჩი-5, რაინპრეხტი-5), 4:4 ნოლანი-10 (მ. ჯონსი-3, მორისი-5), 4:5 ი. პერო-13 (ზ. მიხალეკი-17).

**ჩიკაგო-ნეშვილი 3:8**

1:3, 1:5, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰარტნელი-16 (კარია-30, არნოტი-12), 1:1 ბოჩენსკი-2 (ა. ოკუანი-7), 1:2 კარია-13 (ლეგვანდი-18), 1:3 არნოტი-13 (დუმონი-22, სალივანი-26), 1:4 სალივანი-12 (არნოტი-13, დუმონი-23), 1:5 ჰარტნელი-17 (კარია-31, კ. ტიმონენი-22), 1:6 ლეგვანდი-12 (ჰამჰუისი-6), 1:7 ვაშიჩეკი-4 (უებერი-15, ჰორდიჩუკი-2), 2:7 სალმელაინენი-4 (სმოლინსკი-17, ჯ. ჰამილტონი-10), 2:8 სატერი-5 (კარია-32, ლეგვანდი-19), 3:8 სალმელაინენი-5 (შარპი-9, ვანდერმეერი-6).

**ბაფალო-პიტსბურგი 2:4**

1:0, 1:3, 0:1

**გოლები:** 1:0 დ. რუა-6 (ლიდმანი-10, ვანეკი-21), 1:1 რაიან უიტნი-7 (კროსბი-43, გონჩარი-24), 2:1 დრური-21 (ბრიერი-32, გოსტადი-11), 2:2 ჯ. სტაალი-12 (მელიხარი-7, მალკინი-20), 2:3 მალკინი-19 (რაიან უიტნი-18, გონჩარი-25), 2:4 დ. მური-5 (ჯ. სტაალი-3, კ. არმსტრონგი-11).

#### 6 იანვარი

**ბოსტონი-ფილადელფია 4:3**

3:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ს. კაპანენი-6, 1:1 სავარი-13 (ლეშჰოფი-2, ტენკრატი-3), 2:1 გ. მიურეი-20 (სავარი-37, აქსელსონი-8), 3:1 პ. ბერჟერონი-14 (მარა-12, სავარი-38), 3:2 ს. კაპანენი-7, 4:2 სავარი-14 (მარა-13, პ. ბერჟერონი-30), 4:3 ნუბლი-17 (ჯ. კარტერი-9).

**ოტავა-ნიუ ჯერსი 2:3**

1:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 პარიზე-17 (ზაიაცი-14, ლანგენბრუნერი-16), 1:1 ივსი-6 (შუბერტი-9, მაკამონდი-8), 1:2 ჯონტა-16 (ჰეილი-1, გომესი-24), 1:3 ჯონტა-17 (გომესი-25, ელიაში-23), 2:3 პრისინგი-5 (კ. კელი-10, რედენი-9).

**მონრეალი-რეინჯერსი 2:4**

0:1, 2:1, 1:2

**გოლები:** 0:1 კულენი-8 (ტიუტინი-9, ა. უორდი-9), 0:2 სტრაკა-22 (ნიულანდერი-32, როჟსივალი-19), 1:2 შტრაიტი-3 (რივეტი-7, კოვალიოვი-21), 2:2 პლეკანეცი-6 (სამსონოვი-13, მარკოვი-23), 2:3 როჟსივადი-5 (სტრაკა-29, ნიულანდერი-33), 3:3 სურეი-14 (პლეკანეცი-10, მარკოვი-24), 3:4 კულენი-9 (შენეჰანი-21, მალიკი-9).

**ტორონტო-ბაფალო 3:4**

1:2, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 კალინინი-3 (პომინვილი-13, ბრიერი-33), 0:2 დრური-22 (კოტალიკი-16), 1:2 კოლაიაკოვი-3 (ნიუბერი-2, სტაიანი-14), 1:3 ბრიერი-16 (ვანეკი-22, აფინოგენოვი-27), 2:3 სტინი-8 (მაკეიბი-25, ტ. კაბერლე-29), 2:4 კოტალიკი-12 (დრური-19, გოსტადი-12), 3:4 კუბინა-1 (პოლი-8, ი. უაიტი-16).

**ვაშინგტონი-ატლანტა 3:2 (ო)**

0:1, 1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-23 (სიმი-7, რუჩინი-8), 1:1 სიომინი-20 (ოვეჩკინი-30, კიოციგი-3), 1:2 მეტროპოლიტი-8 (ვიშნევსკი-8, რუჩინი-9), 2:2 ოვეჩკინი-26 (სიომინი-19, პეტინგერი-10), 3:2 სიომინი-21 (ემინგერი-8, კ. კლარკი-15).

**კაროლინა-აილენდერსი 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ჯასტინ უილიამსი-20 (სტილმანი-8, ჰათჩინსონი-5), 2:0 ე. კოული-17 (რეი უიტნი-29, ბრინდამორი-33), 2:1 ჰანტერი-7 (სილინჯერი-16, მეიერი-4), 3:1 ე. კოული-18 (სტილმანი-9, რეი უიტნი-30), 4:1 ე. სტაალი-18 (ს. უოკერი-15, ჯასტინ უილიამსი-20), 4:2 შატანი-11 (ვიქ. კოზლოვი-12, უიტი-10).

**ნეშვილი-სენტ ლუისი 3:2**

1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ფიდლერი-5 (ვაშიჩეკი-7, რადულოვი-8), 1:1 რუჩინსკი-9 (დვორაკი-13, მაკლემანი-7), 2:1 არნოტი-14 (სალივანი-27, რადულოვი-9), 2:2 სტემპნიაკი-13 (ტკაჩუკი-17, რივერსი-3), 3:2 დუმონი-9 (სატერი-10, არნოტი-14).

**მინესოტა-კოლორადო 1:2 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მ. კოივუ-10 (პერიში-11, სკოულა-9), 1:1 კამისკეი-1 (ბრუნეტი-23, ჰეიდუკი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ვოლსკი (კოლორადო), დემიტრა (მინესოტა), ჰეიდუკი (კოლორადო).

**ლოს ანჯელესი-დეტროიტი 4:2**

0:1, 2:1, 2:0

**გოლები:** 0:1 დრეიპერი-7, 0:2 სამუელსონი-10 (კრონვალი-9), 1:2 ვიშნოვსკი-13 (კამალერი-21, მილერი-4), 2:2 რ. ბლეიკი-8 (უილსი-6, კონროი-10), 3:2 კამალერი-15 (კოპიტარი-25, ვიშნოვსკი-22), 4:2 ეივერი-10 (უილსი-7).

**კალგარი-დალასი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 სიდორი-3 (ბუშე-19, ლ. ერიქსონი-5), 1:1 რიტჩი-5 (ტანგეი-26, ლომბარდი-13), 2:1 რიტჩი-6 (ტანგეი-27, ლომბარდი-14), 2:2 ი. ლეჰტინენი-11 (ლ. ერიქსონი-6, ჰალპერნი-11), 3:2 ბოიდი-1 (ფერენსი-5, რეგერი-11), 4:2 ტანგეი-11 (ლენგკოუ-26, ფერენსი-6).

**სან ხოსე-კოლამბუსი 5:2**

2:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 მარლო-19 (ჯ. ტორნტონი-40, ერჰოფი-10), 2:0 კლოუ-6 (მარლო-24, ვლასიჩი-10), 2:1 ბრული-4 (ფუტი-6, ჰეინსი-15), 3:1 ერჰოფი-9 (ჯ. ტორნტონი-41, მარლო-25), 4:1 კლოუ-7 (ვლასიჩი-11, ჯ. ტორნტონი-42), 4:2 ჟერდიოვი-7 (ბრული-4, კლესლა-6), 5:1 კლოუ-8 (ჩიჩუ-14, ჰენანი-12).

მსოფლიო თასი

# მირაკლი ადელბოდენის ფერდობზე

გასულ უქმეებზე, სამთო მოთხილამურეებს ოთხი (ორ-ორი ქალებსაც და კაცებსაც) ეტაპი ჰქონდა, რომელთაგან სამი ავსტრიელების გამარჯვებით დასრულდა, ერთადერთ შემთხვევაში კი მათ ტრიუმფს ხელი შვეიცარიელმა შეუშალა. ქალების რბოლებს სლოვენიის სამთო კურორტმა, კრანისკა გორამ უმასპინძლა, კაცებისას კი - შვეიცარიის ადელბოდენმა. ამასთან, ოთხივე რბოლა ტექნიკურ დისციპლინებში - სლალომსა და გიგანტურ სლალომში ჩატარდა.

გიგანტურ სლალომში ქალებს უამინდობაში მოუწიათ ასპარეზობამ. ქარიან ამინდში, პირველივე ცდაზე მოეცარათ ხელი ავსტრიელებს - **კატრინ ცეტელს, მარლის შილდსა** და **რენატე გოირჩლს**, რომლებმაც ფინიშამდე ვერც კი მიაღწიეს. სამაგიეროდ, უშეცდომოდ ისრიალა კიდევ ერთმა ფავორიტმა ოსტერრაიხიდან, **ნიკოლ ჰოსპმა**, ვინც ორი ცდის ჯამში, საუკეთესო შედეგი დააფიქსირა და ამ მოგებით, გიგანტური სლალომის კლასიფიკაციაში, ცეტელი პირველი ადგილიდან ჩამოაქვეითა. უფრო მეტიც, ის აბსოლუტურ ჩათვლაშიც მიუახლოვდა ლიდერ შილდს, თუმცა ამან მომდევნო დღეს, სლალომის მოგებით მაინც განიმტკიცა ლიდერობა.

სხვათა შორის, გიგანტური სლალომის პირველ ცდაზე შეცდომა დაუშვა ამ სახეობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჯულია მანკუზომაც,** ვინც მოსახვევს კი ასცდა, მაგრამ უცებ გაჩერდა, უკან დაბრუნდა და გზა სწორედ იმ მოსახვევიდან განაგრძო, სადაც შეცდა. ასე იყო თუ ისე, მან მოგების შანსი დაკარგა.

ალსანიშნავია, რომ ჰოსპმა ამ სეზონში პირველად მოიგო მსოფლიო თასის ეტაპი. არადა, აქამდე ოთხჯერ დაასრულა რბოლა მეორე ადგილზე. გიგანტურში წინა ორი რბოლა ცეტელს აქვს მოგებული. სულ კი, ამ სეზონში უკვე ჩატარებული 15 რბოლიდან ავსტრიელებმა მეათე მოიგეს.

მეორე ადგილი დაიკავა გამოცდილმა იტალიელმა **ნიკოლ ჯუსმა**, ვინც უკვე ცხრა წელია, მსოფლიო თასზე ასპარეზობს და ეს მისი საუკეთესო შედეგია. მესამე ადგილს კი დასჯერდა ფინელი **ტანია პოუტიაინენი**.

მომდევნო დღესვე შილდმა კვლავ დაამტკიცა, რომ სლალომში ბადალი არ ჰყავს - ამ სახეობაში გამართულ ექვს რბოლაში მან მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. თანაც ისევ სოლიდური უპირატესობით მოიგო - მეორეზე გასული ჩეხი **სარკა ზაჰრობსკა** მას 0.66 წამით ჩამორჩა. ამასთან კი თითქმის წამი წააგო სლოვაკმა **ვერონიკა სუსულოვამ**.

კვლავ ხელმოცარული დარჩა ცეტელი, ვისაც პირველი ცდის შემდეგ მესამე დრო ჰქონდა, მაგრამ მეორეზე შეცდომა დაუშვა, მოსახვევს გასცდა და რბოლა უქულოდ დაასრულა. მოკლედ, ცეტელმა სლალომის კლასიფიკაციაში მეორე ადგილი დაკარგა და ერთბაშად მეოთხემდე ჩამოქვეითდა.

ზაჰრობსკამ მეორედ შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა. ამასთან, პირველადაც სლალომში გავიდა სამეულში, კრანისკა გორას რბოლის შემდეგ კი განაცხადა, უფრო მეტიც შემიძლია, მაგრამ სამწუხაროდ, შემდეგი სლალომი ორი თვის შემდეგ გვექნებაო. მოკლედ, აშკარაა, რომ ტექნიკურ დისციპლინას მორიგი ვარსკვლავი გამოუჩნდა. ოღონდ, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ის შილდის კალიბრის არაა.

ავსტრიელთა მესამე გამარჯვება შარშანდელი სეზონის ბროლის დიდი გლობუსის მფლობელის, **ბენიამინ რაიხის** ანგარიშზეა. შარშანდელივით, მან ადელბოდენში გიგანტური სლალომი იოლად მოიგო და ამით, აბსოლუტურ კლასიფიკაციაში თავისი არასახარბიელო მდგომარეობა ოდნავ გამოასწორა. სხვათა შორის, წინა სეზონის ბოლო სლალომის მოგების შემდეგ, რაიხმა პირველად მოიგო მსოფლიო თასის ეტაპი.

მომდევნო დღეს კი სლალომში კვლავ შეეძლო მოგება, მაგრამ ამჯერად მეორე შედეგს დასჯერდა. გამარჯვება კი შვეიცარიელმა **მარკ ბერთომ** მოიპოვა. ამას პირველი ცდის შემდეგ 27-ე შედეგი ჰქონდა და ლიდერს, შვედ **მარკუს ლარსონს** 2.76 წამით ჩამორჩებოდა.

უნდა ითქვას, რომ ბერთოს მოგებაში ხელი ამინდმა შეუწყო. მან მეორე ცდა მესამემ შეასრულა, მერე კი ფერდობზე სქელი ნისლი ჩამოწვა, რის გამოც, მომდევნო მოთხილამურეებმა უშეცდომოდ სრიალი ვერ შეძლეს. ასე განსაჯეთ, პირველი ცდის შემდეგ, რაიხი შვეიცარიელს 2.71 წამს უგებდა, მაგრამ ასეთი სოლიდური უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა.

*"რბოლამდე ვიმედოვნებდი, რომ რამდენიმე ქულის აღებას შევძლებდი, ახლა კი კვარცხლბეკზე უმაღლესი საფეხური მიკავია. არ ვიცი, ეს ალბათ სიგიჟეა"*, - განაცხადა ბერთომ, ვინც კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიო თასის ეტაპი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კრანისკა გორა (სლოვენია)
ქალები. გიგანტური სლალომი

**1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:09.85 (1:03.70, 1:06.15); 2. ნიკოლ ჯუსი (იტალია) 2:10.28 (1:04.32, 1:05.96); 3. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:10.42 (1:03.98, 1:06.44); 4. კატრინ ჰიოლცლი (გერმანია) 2:10.53 (1:04.69, 1:05.84); 5. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:11.10 (1:04.50, 1:06.60)...**

კრანისკა გორა (სლოვენია)
ქალები. სლალომი

**1. მარლის შილდი (ავსტრია) 1:40.96 (50.15, 50.81); 2. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 1:41.62 (50.55, 51.07); 3. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 1:42.61 (50.77, 51.84); 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:42.68 (50.78, 51.90); 5. ანა იელუშიჩი (ხორვატია) 1:42.87 (51.27, 51.60)...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. მარლის შილდი (ავსტრია) 797; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 700; 3. კატრინ ცეტელი (გერმანია) 562; 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) 448; 5. რენატე გოირჩლი (ავსტრია) 441; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 408; 7. ჯულია მანკუზო (აშშ) 374; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 358; 9. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 343; 10. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 340...**

ადელბოდენი (შვეიცარია)
კაცები. გიგანტური სლალომი

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:25.29 (1:13.06, 1:12.23); 2. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2:26.14 (1:13.24, 1:12.90); 3. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 2:26.29 (1:13.68, 1:12.61); 4. კალე პალანდერი (ფინეთი) 2:26.45 (1:13.28, 1:13.17); 5. ჟოელ შენალი (საფრანგეთი) 2:26.51 (1:14.27, 1:12.24)...

ადელბოდენი (შვეიცარია)
კაცები. სლალომი

1. მარკ ბერთო (შვეიცარია) 1:47.42 (55.14, 52.28); 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:47.68 (52.43, 55.25); 3. მარიო მაი (ავსტრია) 1:47.80 (52.72, 55.08); 4. კალე პალანდერი (ფინეთი) 1:47.82 (52.64, 55.18); 5. მარკუს ლარსონი (შვედეთი) 1:47.97 (52.38, 55.59)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 639; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 571; 3. ბოდე მილერი (აშშ) 540; 4. პეტერ ფილი (იტალია) 464; 5. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 458; 6. კალე პალანდერი (ფინეთი) 387; 7. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 348; 8. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 326; 9. მარიო შაიბერი (ავსტრია) 308; 10. ტედ ლაიჯეტი (აშშ) 292...



ბერთომ თავადაც ძლივს დაიჯერა თავისი გამარჯვება

კალათბურთი

## ლარი ბრაუნი ფილადელფიაში დაბრუნდა

"ნიუიორკ ნიქსის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ლარი ბრაუნი** "ფილადელფია სიქსერზის" საკლუბო სტრუქტურის წევრი გახდა.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ბრაუნმა აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი მიიღო. მისი ვალდებულებაა, "ფილადელფიას" პრეზიდენტ **ბილი კინგს** საკალათბურთო ოპერაციების განხორციელებაში გაუწიოს დახმარება. გარდა ამისა, ცნობილი მწვრთნელი სხვა სპეციალურ პროგრამებშიც იმუშავებს.

## ონილს ინდიანაში არ მოსწონს

"ინდიანა პეისერსის" ფორვარდმა, **ჯერმეინ ო'ნილმა** ინტერვიუ მისცა გაზეთ Indianapolis Star-ს, სადაც უკმაყოფილება გამოთქვა თავისი გუნდის შედეგებითა და მორალური მდგომარეობით.

*"ჩვენ საშუალო დონის გუნდი გვყავს და ასეთად დავრჩებით მანამდე, სანამ მოთამაშეები მოედანზე ბოლომდე არ დაიხარჯებიან. თუ ამგვარი ვითარება არ შეიცვლება, სეზონის დასრულების შემდეგ სხვა გუნდში გადავალ. უკვე 11 წელია NBA-ში ვთამაშობ და ერთხელაც არ გამიმარჯვია. ახლა, ისეთ გუნდში მინდა თამაში, სადაც საჩემპიონო ამბიციები ექნებათ"*, - აცხადებს ჯერმეინ ო'ნილი.

ჰოკეი

## იაგრმა საზარდული იტკინა

"მონრეალის" წინააღმდეგ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, საზარდულის ტრავმა მიიღო "ნიუ იორკ რეინჯერსის" ჩეხმა ფორვარდმა, **იარომირ იაგრმა**. მან ყინულზე დაახლოებით 9 წუთი დაჰყო, მესამე პერიოდში კი, საერთოდ არ გამოჩენილა მოედანზე.

მატჩის შემდეგ, "რეინჯერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ რენიმ** განაცხადა, რომ იაგრი სათადარიგოთა სკამზე პროფილაქტიკის მიზნით დატოვა, სინამდვილეში კი, მისი ტრავმა სერიოზული არ არის.

შეგახსენებთ, ვეტერანი ჩეხი წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია - მის ანგარიშზე 16 გოლი და 38 შედეგიანი გადაცემაა.



**8 იანვარი. ორშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:05** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ფილადელფია.
**09:50** კრივი. რინგ-საიდი.
**10:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
**12:35** სპორტ-კლუბი.
**12:55** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ლევერკუზენი.
**14:40** ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
**16:15** ავტოსპორტი. DTM-ის სერია. I ეტაპი.
**17:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ასკოლი.
**19:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი.
**21:00** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ფილადელფია.
**22:45** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**23:00** სპორტ-კლუბი.
**23:45** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:40** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**01:10** პროფესიული კრივის საღამო.
**03:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ვერდერი-ბარსელონა.
**05:45** ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
**07:20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ასკოლი.

**EUROSPORT**

**10:30** რალი-რეიდი. დაკარი 2007. II ეტაპი.
**11:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**11:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**12:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
**13:30** რალი-რეიდი. დაკარი 2007. II ეტაპი.
**14:00** თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია.
**15:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**15:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**16:00** დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი.
**17:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
**19:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**19:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
**20:00** მულტისპორტი.
**20:30** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ბეშიქთაში-ვერდერი. ანთალია. თურქეთი (LIVE).
**23:00** დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** რალი-რეიდი. დაკარი 2007. III ეტაპი (LIVE).
**00:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**01:15** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ბეშიქთაში-ვერდერი. ანთალია. თურქეთი.
**02:45** რალი-რეიდი. დაკარი 2007. III ეტაპი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. I ტური. კოპრივნიცა (ხორვატია)-ვიბორგი (დანია).
**13:00** ხელბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მამაკაცები. დანია-პოლონეთი. დანია.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ლაკროსი.
**18:00** ფრისტაილ-მოტოკროსი.
**19:00** ბილიარდი. პული. ევროტური. მალაგა. ესპანეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**21:00** სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ვანაკა. ახალი ზელანდია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხუვენტუდი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა.
**00:00** პოკერი. ევროპის მასტერსი. დუბლინი. ირლანდია.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაგა. ესპანეთი.
**02:15** ახალი ამბები.
**04:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).



| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ტორონტო-ვაშინგტონი | 116:111 |
| **საბერძნეთი** | |
| პაოკ-აეკ | 79:72 |
| აპოლონი-ოლიმპია | 59:61 |
| პანელინიოსი-არისი | 66:77 |
| პანათინაიკოსი-მაკედონიკოსი | 101:65 |
| მარუსი-პანიონიოსი | 66:62 |
| ლარისა-აეკ | 71:73 |
| ეგალეო-ოლიმპიაკოსი | 69:84 |
| **ესპანეთი** | |
| მენორკა-მურსია | 79:84 |
| რეალი-ხუვენტუდი | 95:91 |
| ბილბაო-ტაუ | 76:88 |
| ბრუესა-პამესა | 84:72 |
| ალიკანტე-გრან კანარია | 75:84 |
| ვალიადოლიდი-ბარსელონა | 58:65 |
| გრანადა-ქ. სან ფერნანდო | 100:104 (ო) |
| უნიკახა-ესტუდიანტესი | 92:52 |
| ფუენლაბრადა-ხირონა | 81:75 |
| **იტალია** | |
| ვირტუსი-ბიელა | 89:63 |
| ტერამო-რეჯო ემილია | 86:60 |
| მილანი-მონტეპასკი | 67:74 |
| ვარეზე-რომა | 90:69 |
| აველინო-კანტუ | 73:74 |
| ლივორნო-სკაფატი | 79:83 |
| მონტეგრანარო-დ'ორლანდო | 86:77 |
| სნაიდერო-ნაპოლი | 97:80 |
| ბენეტონი-კლიმამიო | 74:76 |
| **საფრანგეთი** | |
| ბურჟი-რეიმსი | 68:66 |
| შალონი-პსჟ | 81:78 |
| შოლე-პო ორტეზი | 56:70 |
| კლერმონი-ტულონი | 77:60 |
| დიჟონი-ბეზანსონი | 82:87 |
| ჰავრი-რუანი | 69:72 |
| ლე მანი-ნანსი | 73:61 |
| სტრასბური-ორლეანეზი | 106:95 (ო) |
| გრაველინი-ვილერბანი | 77:78 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| მეტალურგი (ნ)-მეტალურგი (მ) | 2:1 |
| სევერსტალი-ს.იულაევი | 5:2 |
| სიბირი-ტრაქტორი | 2:2 |
| აკ ბარსი-ლოკომოტივი | 4:1 |
| ვიტიაზი-ცსკა | 4:5 |
| დინამო-კრილია | 4:3 |
| სკა-ლადა | 2:1 |
| მედ-ამური | 2:1 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-აუგსბურგი | 6:3 |
| კიოლნი-დუისბურგი | 0:3 |
| ნიურნბერგი-შტრაუბინგი | 5:1 |
| მანჰაიმი-კრეფელდი | 5:3 |
| ფრანკფურტი-იზერლონი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-მარტინი | 2:2, დ.დ. 3:2 |
| მიქულაში-სკალიცა | 4:3 |
| პოპრადი-ჟილინა | 1:0 |
| სლოვანი-კოშიცე | 5:1 |
| ტრენჩინი-ნიტრა | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| ტაპს-კალპა | 2:1 |
| ესეტი-საი პა | 4:3 |
| ჰპკ-კიეკო | 4:4 |
| იოკერიტი-ტაპარა | 3:1 |
| იუვასკიულა-პელიკანსი | 1:2 |
| კერპეტი-ჰიფკ | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ვიტკოვიცე | 6:5 |
| ვსეტინი-ზლინი | 2:5 |
| ლიბერეცი-პლზენი | 6:2 |
| ტრშინეცი-სპარტა | 2:2, დ.დ. 3:2 |
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 4:2 |
| ზნოიმო-კარლოვი ვარი | 0:0, დ.დ. 1:0 |
| ლიტვინოვი-პარდუბიცე | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| ცუგი-ციურიხი | 4:1 |
| ფრიბურგი-დავოსი | 2:4 |
| სერვეტი-ლუგანო | 3:0 |
| კლოტენი-ბაზელი | 4:2 |
| რაპერსვილი-ტაიგერსი | 5:2 |
| ბერნი-ამბრი პიოტა | 5:2 |
| დავოსი-რაპერსვილი | 2:3 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგსი-ლულეა | 4:1 |
| ბრინასი-მალმიო | 3:0 |
| ტიმრა-მოდო | 3:2 |
| აიკ-ვ371 | 2:2 |
| იურგორდენი-ფრიოლუნდა | 2:2 |
| ფერიესტადი-მორა | 6:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჩენაი** | |
| მალისე-კუბეკი | 6:1, 6:3 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დიდმა ბენმა აღიარა, რომ...

წლევანდელი რეგულარულის ყველაზე მოულოდნელი და ამასთან ერთად, სკანდალური ტრანსფერი **ბენ უოლასის** "დეტროიტ პისტონზიდან" "ჩიკაგო ბულზში" გადასვლა იყო. მიჩიგანელთა გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილის შემტანი უოლასი ისე მოიცილეს, თითქოს მისი შემცვლელის პოვნა მარტივი ყოფილიყო და გუნდის ბოსმა **ჯო დუმარსმა** ბენს მიაძახა, რაც იყავი, ველარასოდეს გახდები და აბა, სულ კარგად გვეყოლეო.

ბენმა ახალ გუნდში პირველი ორი კვირა ბევრი ვერაფერი გააკეთა. სკანდალი ბენდენასთან დაკავშირებით, უთანხმოება "ჩიკაგოს" მთავარ მწვრთნელ **სკოტ სქაილზთან** და რაც მთავარია, ძალიან სუსტი თამაში.

"ჩიკაგომაც" სტარტი ჩააგდო და საწყისი 20 სათამაშო დღის მერე გუნდს 9 შეხვედრა ჰქონდა წაგებული. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, დიდი ბენის სუსტი გამოსვლა იყო.

დღეს რა სიტუაცია გვაქვს? რა და "ბულზი" თითქმის გაუტოლდა "დეტროიტს" და მოგება-წაგების პროცენტული მაჩვენებლის მხრივ, ილინოისელები 2004 წლის ჩემპიონებს უკვე სულ მცირედით ჩამორჩებიან.

აღნიშნულ მატჩში ბენს ძალიან ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი.

"ჩიკაგომ" მეტოქე უშანსოდ დატოვა. მასპინძლები თავიდანვე წინ გაიჭრნენ და ამის შემდეგ მეთოდურად ზრდიდნენ ჰანდიკაპს. როგორც კი "პისტონზი" ანგარიშში ჩამორჩენას შეამცირებდა, "ჩიკაგო" ეგრევე რამდენიმე უპასუხო ქულას აგროვებდა და უპირატესობას კვლავ კომფორტულს ხდიდა.

უოლასი კი შეუდარებელი იყო. მორიგი ორმაგი დუბლის გარდა, მის ანგარიშზე მიმდინარე რეგულარულში ყველაზე მეტი, 6 დაფარება იყო, ხოლო მოგვარე **რაშიდს** კი ყოფილმა თანაგუნდელმა ფარქვეშეთში ორჯერ დაუფარა.

*"სიმართლე გითხრათ, ყველაფერი ძალიან უცნაური იყო. როდესაც მოედანზე "დეტროიტი" გამოვიდა, ცენტრად კი ჩემს ნაცვლად ნაზრ მოჰამედი გამოაცხადეს, რამდენიმე წამით დავიბენი. ვერ დავიჯერე, რომ ამ გუნდის წევრი აღარ ვიყავი. მერე და მერე კი დავმშვიდდი, ჩემი თავდაჯერებულობა გუნდსაც გადაედო და ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ"*, - ამბობდა ნამატჩევს უოლასი, რომელმაც 39 წუთში თამაშიდან 11-დან 5, საჯარიმოს ხაზიდან კი 4-დან 2 ტყორცნა გამოიყენა.

არადა, "ჩიკაგოს" წინა ორი მატჩიც უნდა მოეგო. **ლეანდრო ბარბოსამ** ილინოისელებს ძირითადის დასრულებამდე 1.5 წამით ადრე 8 მეტრიდან ჩაუჭედა ბურთი კალათში და "ბულზი" "ფინიქსთან" 96:97 დამარცხდა. მომდევნო მატჩში "ჩიკაგო" "ნიუ ჯერსისთან" 18:0 (!) დაწინაურდა, საბოლოოდ კი 86:91 დამარცხდა. "დეტროიტთან" მატჩს ილინოისელებისთვის კიდევ ერთი და არა უკანასკნელი ნიუანსი ახლდა თან - "ბულზი" "პისტონზთან" ბოლო 17 ურთიერთმატჩიდან 15-ჯერ დამარცხებულიყო და რაც ყველაზე სამარცხვინო იყო, "ჩიკაგოს" "დეტროიტთან" ზედიზედ 12 საშინაო მატჩი წაეგო.

ცხადია, აღნიშნულ მატჩს დიდი ბენის გარდა სხვა გმირებიც ჰყავდა.

კერძოდ, შეუდარებელი იყო **ლუოლ დენგი**, რომელმაც ერთი კვირის წინათ "კლივლენდის" წინააღმდეგ 32 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. მისი მონაგარი ამჯერად ოდნავ მცირე იყო, თუმცა პირველ მეოთხედში ლუოლმა 12 ქულა დააგროვა და თავისიანთა უპირატესობის შენარჩუნებას ხელი შეუწყო. დიდი შესვენებისთვის დენგის მონაგარი 20 ქულას გაუტოლდა, "ჩიკაგო" კი 55:46 დაწინაურდა. ლუოლმა 38 პროდუქტიულ წუთში თამაშიდან 19-დან 11 სროლა გამოიყენა და შეტევაში ფარიდან ასხლეტილი ბურთი სამჯერ მოხსნა.

"დეტროიტს" ამჯერადაც არ ჰყოლია ტრავმირებული **ჩონსი ბილაპსი**, რომელმაც ზედიზედ მესამე შეხვედრა საზარდულის ტრავმის გამო გამოტოვა. მის ნაცვლად ძირითადში **რიპ მიურეი** იყო, რომელმაც სამარცხვინოდ ითამაშა და 30 წუთში 9-დან 8 სროლა გააფუჭა, საბოლოოდ კი მატჩი 4 პერსონალური შენიშვნით ჩაამთავრა.

თავიდან არაუშავდა **რიჩარდ ჰამილტონს**, თუმცა 12-დან 11 საჯარიმოს გამოყენება ოდნავ დაჩრდილა თამაშიდან მისმა ფორსირებულმა და არაზუსტმა სროლებმა - ჰამილტონმა 20-დან 13 მცდელობა ვერ გამოიყენა და შეხვედრა 4 შეცდომით დაასრულა.

*"ღირს თუ არა ბენი 60 მილიონი? არა მგონია, რადგან მას დღეს ისეთი არაფერი გაუკეთებია, რის გამოც იგი უნდა შეგვენარჩუნებინა. უოლასი დღესაც ძალიან ძლიერი დამცველია, მაგრამ ნამდვილად არ ვნანობთ, რომ ამიერიდან მის გარეშე თამაში გვიწევს"*, - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე "დეტროიტის" მთავარმა მწვრთნელმა **ფლიპ სონდერსმა.**

ბენის პასუხი?

*"ფლიპი კარგი სპეციალისტია, მაგრამ როგორც პიროვნებას, მას ათბალიანი შეფასებით მხოლოდ სამიანს დავუწერ. "დეტროიტში" დღესაც ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და მათთან მოგებაზე ბევრად მნიშვნელოვანი ჩემთვის ბიჭების ნახვა და მოკითხვაა"*, - ამბობს უოლასი.

შეგახსენებთ, რომ "დეტროიტში" გატარებული 6 სეზონის განმავლობაში, ბენ უოლასი ოთხჯერ რეგულარულის საუკეთესო დამცველი გახდა, 2004-ში კი გუნდმა მისი და რაშიდის ფენომენალური თამაშით ჩემპიონობა მოიპოვა, როდესაც სუპერფინალში ვარსკვლავებით გადაჭედილი "ლეიკერსი" 4:1 გაანადგურა. უოლასს "დეტროიტში" დარჩენა სურდა, თუმცა გუნდს მისთვის ოთხი სეზონის განმავლობაში 60 მილიონის გადახდა სისულელედ მიაჩნდა. ჯო დუმასმა ბენს ორწლიანი და 25-მილიონდოლარიანი ხელშეკრულება შესთავაზა, რაზეც ლიგის დამსახურებული ვეტერანისგან მოსალოდნელი უარი მიიღო.

რევანში შედგა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ გუნდები ერთმანეთს ფლეი ოფშიც დაეჯახონ.

**ზურაბ თალაკვაძე**




უოლასების ჯახი: ბენი რაშიდს აფარებს

### 6 იანვარი

**ტორონტო–ატლანტა 105:92**

31:25, 27:21, 16:18, 31:28

**ტორონტო:** ბოში (21 ქ. 5 მ), ჯ. გრემი (19 ქ. 8 მ), პიტერსონი (16 ქ), ბარნიანი (12 ქ), კალდერონი (12 ქ. 12 პ. 4 ჩ).

**ატლანტა:** მ. უილიამსი (24 ქ), კლექსტონი (18 ქ. 5 პ), ჯ. ჯონსონი (15 ქ), **ზაზა ფაჩულია (12 ქ. 4 მ. 2 პ. 1 ჩ)**, ჩილდრესი (11 ქ), შელდენ უილაიმსი (10ქ. 7 მ. 3 ჩ).

**ვაშინგტონი–კლიპერსი 116:105**

29:39, 37:18, 27:23, 23:25

**ვაშინგტონი:** არენასი (35 ქ. 12 პ. 7 მ. 4 ჩ), კ. ბატლერი (27 ქ. 6 პ. 5 მ), ჯეიმისონი (19 ქ. 3 დ), ჰეივუდი (13 ქ. 12 მ. 3 ჩ. 2 დ).

**კლიპერსი:** ბრენდი (29 ქ. 12 მ), კამანი (17 ქ. 10 მ), ლივინგსტონი (17 ქ. 8 პ. 5 ჩ. 5 მ), მაგეტი (15 ქ).

**ორლანდო–შარლოტი 106:74**

33:27, 23:23, 17:10, 33:14

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (22 ქ. 12 მ. 4 დ. 3 ჩ), ნელსონი (20 ქ), თურქოღლუ (14 ქ. 5 პ), არიზა (10 ქ. 9 მ. 5 პ), ბეტი (5 ქ. 10 მ).

**შარლოტი:** კეროლი (19 ქ), ფელტონი (11 ქ. 7 პ), დ. ანდერსონი (10 ქ), ბრეჟეცი (9 ქ. 12 მ).

**ნიუ ჯერსი–ჩიკაგო 91:86**

15:23, 33:20, 15:28, 25:18

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (21 ქ), რ. ჯეფერსონი (18 ქ. 6 მ), კიდი (17 ქ. 10 მ. 7 პ. 5 ჩ), ნახბარი (16 ქ).

**ჩიკაგო:** დენგი (22 ქ. 11 მ), ნოჩიონი (19 ქ), გორდონი (15 ქ), ჰაინრიხი (13 ქ. 8 პ), ბ. უოლასი (7 ქ. 11 მ. 2 ჩ. 2 დ).

**მინესოტა–ფილადელ. 104:102 (ო)**

24:26, 24:26, 26:22, 22:22, 8:6

**მინესოტა:** გარნეტი (25 ქ. 14 მ. 5 პ), ჰასელი (22 ქ), რ. დევისი (16 ქ), მ. ბლაუნტი (16 ქ. 10 მ); ფოიე (11 ქ. 10 პ. 6 მ. 2 დ).

**ფილადელფია:** კორვერი (25 ქ), იგუოდალა (23 ქ. 9 პ. 7 მ), ა. მილერი (18 ქ. 11 პ. 7 მ), დალემბერი (11 ქ. 8 მ. 4 დ).

**ს. ანტონიო–დალასი 85:90**

29:21, 22:19, 18:26, 16:24

**სან ანტონიო:** ჯინობილი (25 ქ. 5 მ. 3 დ), დანკანი (18 ქ. 7 მ. 3 დ), ტ. პარკერი (15 ქ), ობერტო (14 ქ. 5 მ).

**დალასი:** ნოვიცკი (36 ქ. 8 მ), ჯოშ ჰოვარდი (18 ქ. 12 მ), ტერი (8 ქ. 8 პ).

**მემფისი–ბოსტონი 119:128**

36:34, 22:24, 25:33, 36:37

**მემფისი:** მ. მილერი (24 ქ. 14 პ. 6 მ), გასოლი (24 ქ. 7 მ. 5 დ), დ. სტაუდმაიერი (17 ქ. 9 პ), სვიფტი (15 ქ), ე. ჯონსონი (12 ქ. 2 დ), უორიკი (11 ქ).

**ბოსტონი:** შჩერბიაკი (26 ქ), ტ. ალენი (20 ქ. 3 ჩ), გომესი (16 ქ), დელონტე უესტი (16 ქ. 11 პ), სკალაბრინი (16 ქ), ელ ჯეფერსონი (12 ქ. 9 მ), პერკინსი (10 ქ. 3 ჩ. 2 დ).

**ჰიუსტონი–იუტა 100:86**

29:19, 25:26, 28:25, 18:16

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (44 ქ. 9 მ), ბეტიე (15 ქ), ალსტონი (14 ქ), მუტომბო (9 ქ. 19 მ. 2 ჩ).

**იუტა:** დერონ უილაიმსი (19 ქ. 8 პ), კირილენკო (16 ქ. 6 მ. 4 დ), ბუზერი (15 ქ. 17 მ. 6 პ), ჰარპრინგი (12 ქ).

**მილუოკი–კლივლენდი 86:95**

28:26, 23:22, 23:20, 12:27

**მილუოკი:** რედი (26 ქ), ბოგუტი (16 ქ. 10 მ. 4 ჩ), მატერსონი (13 ქ), მო უილიამსი (11 ქ), სკინერი (8 ქ. 10 მ).

**კლივლენდი:** გუდენი (31 ქ. 16 მ), ჰიუზი (22 ქ. 5 პ), ილგაუსკასი (11 ქ. 8 მ. 5 დ), ლ. ჯეიმსი (8 ქ. 9 პ).

**სიეტლი–ნ. იორკი 93:111**

21:36, 30:32, 19:25, 23:18

**სიეტლი:** უილკოქსი (13 ქ. 6 მ), უილკინსი (12 ქ. 4 პ), უოტსონი (12 ქ. 11 პ), რ. ალენი (11 ქ), ჟელაბალი (10 ქ).

**ნიუ იორკი:** მარბერი (28 ქ), კარი (27 ქ. 6 მ), ჯ. კროუფორდი (22 ქ. 8 მ. 7 პ), ლი (10 ქ. 10 მ).

**ფინიქსი–მაიამი 108:80**

29:24, 31:21, 23:26, 25:9

**ფინიქსი:** ნეში (22 ქ. 4 პ), ა. სტაუდმაიერი (20 ქ. 10 მ), ბარბოსა (18 ქ), ბენქსი (13 ქ. 4 ჩ), მერიონი (11 ქ. 11 მ), ჯ. ჯოუნსი (10 ქ).

**მაიამი:** მურნინგი (15 ქ. 6 მ), პეიტონი (14 ქ), ჯეისონ უილიამსი (14 ქ. 5 პ), კაპონო (10 ქ), დ. რაიტი (10 ქ), ჰასლემი (7 ქ. 13 მ. 7 პ).

**ლეიკერსი–დენვერი 123:104**

35:28, 33:27, 36:26, 19:23

**ლეიკერსი:** ს. პარკერი (23 ქ), ბინუმი (19 ქ. 10 მ. 6 დ), უოლტონი (18 ქ. 8 პ. 5 მ), მ. ევანსი (12 ქ), ბრაიანტი (8 ქ. 10 პ).

**დენვერი:** ბოიკინსი (24 ქ), აივერსონი (16 ქ. 5 პ), კემბი (14 ქ. 12 მ. 4 პ), ნენე (14 ქ. 6 მ), დიავარა (13 ქ. 3 ჩ), კლეიზა (10 ქ. 9 მ), რ. ევანსი (1 ქ. 13 მ).

### 7 იანვარი

**ატლანტა–კლიპერსი 86:74**

25:16, 17:20, 22:23, 22:15

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (27 ქ), **ზაზა ფაჩულია (22 ქ. 8 მ. 2 პ. 2 ჩ).**

**კლიპერსი:** ბრენდი (26 ქ. 7 მ. 4 პ), ტიმ ტომასი (14 ქ. 6 მ).

**კლივლენდი–ნიუ ჯერსი 96:91**

27:21, 19:17, 25:27, 25:26

**კლივლენდი:** ჰიუზი (21 ქ), გუდენი (21 ქ. 12 მ), ლ. ჯეიმსი (19 ქ. 13 მ. 4 პ. 3 ჩ. 3 დ), ილგაუსკასი (16 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (18 ქ. 7 მ), მური (18 ქ. 10 მ), რ. ჯეფერსონი (17 ქ. 5 პ), ნახბარი (12 ქ), კიდი (11 ქ. 9 მ. 6 პ).

**ნ. ორლეანი–ინდიანა 93:100**

18:23, 28:27, 24:21, 23:29

**ნიუ ორლეანი:** მეისონი (28 ქ), პარგო (14 ქ. 6 პ), მ. ჯექსონი (11 ქ), დევინ ბრაუნი (11 ქ. 5 პ), ჩენდლერი (10 ქ. 10 მ. 2 დ), რ. ბატლერი (10 ქ. 5 პ).

**ინდიანა:** ე. ჰარინგტონი (27 ქ), ს. ჯექსონი (27 ქ), ჯ. ონილი (22 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), ტინსლი (13 ქ).

**ჩიკაგო–დეტროიტი 106:89**

32:28, 23:18, 29:20, 22:23

**ჩიკაგო:** დენგი (30 ქ. 7 მ), გორდონი (23 ქ. 3 ჩ), ნოჩიონი (21 ქ), ბ. უოლასი (12 ქ. 14 მ. 6 დ. 5 ჩ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (27 ქ. 6 პ. 3 დ), მოჰამედი (15 ქ. 2 დ), მაქსიელი (13 ქ), დელფინო (10 ქ. 7 მ).

**დენვერი–იუტა 84:96**

16:27, 16:21, 30:17, 22:31

**დენვერი:** აივერსონი (22 ქ. 8 პ. 5 მ), ბოიკინსი (22 ქ), კლეიზა (17 ქ), რ. ევანსი (2 ქ. 11 მ. 3 ჩ).

**იუტა:** დერონ უილიამსი (28 ქ. 12 პ. 4 ჩ), ბუზერი (24 ქ. 11 მ), ოქური (10 ქ. 6 მ), ფიშერი (10 ქ).

**საკრამენ.–პორტლენ. 105:110 (ო)**

31:28, 28:32, 24:19, 12:16, 10:15

**საკრამენტო:** ბიბი (28 ქ), არტესტი (23 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), კევინ მარტინი (22 ქ), უილიამსონი (12 ქ. 5 მ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (32 ქ. 15 მ. 3 პ), როი (23 ქ), ჯეკი (17 ქ. 8 პ), უებსტერი (12 ქ), უდოკა (11 ქ).

**გ. სტეიტი–სიეტლი 108:104**

25:28, 26:29, 27:18, 30:29

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (22 ქ. 11 პ. 7 მ), ელისი (20 ქ), მ. პიეტრუსი (16 ქ. 10 მ), ბიედრინსი (15 ქ. 16 მ. 2 დ), ბარნსი (11 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (11 ქ).

**სიეტლი:** რ. ალენი (38 ქ. 4 პ), უილკოქსი (22 ქ. 7 მ), ჟელაბალი (10 ქ), უოტსონი (8 ქ. 11 პ. 6 მ), კოლისონი (6 პ. 10 მ).

სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი
რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი
ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზეიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე
უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე
რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში
ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი
კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე
გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზუგნიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა